# საერთო გაზეთი

№8 (689)
ოთხშაბათი
15 მარტი,
2023წ.
ფასი 1.50 ლ.


„საერთო გაზეთის“ დამაარსებელი და მისი უცვლელი რედაქტორი, ცნობილი ქართველი პოეტი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე ვახტანგ ხარჩილავა 17 მარტს 75 წლისა შესრულდებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ იუბილეების აღნიშვნის წინააღმდეგი იყო, მოუთმენლად ელოდა ცხოვრების ამ მნიშვნელოვან თარიღს.

ვახტანგ ხარჩილავას საწუხარი, საფიქრალი და სადარდებელი მისი მარადიული ტკივილი, მისი სამშობლო – საქართველო იყო, რაც მის ლექსებსა და პუბლიცისტურ წერილებშიც მძაფრად არის ასახული.

ბატონ ვახტანგს დაბადების დღეს ვულოცავთ ზეციურ საქართველოში, მკითხველებს კი ვთავაზობთ ამონარიდებს 2011-2012 წლებში დაწერილი წერილებიდან, რომლებიც დღესაც ისევე აქტუალურია, როგორც მაშინ, როცა ისინი დაიწერა; აქვე წაიკითხავთ ვახტანგ ხარჩილავას ლექსებს და მის უკანასკნელ ინტერვიუს...



## დაბადების დღე

დაბადების დღეს მილოცავენ მეგობრები,
ვინც არ იცის,
მათთვის ამ დღეს დაბადებული ვეგონები.
ჩვენ ყველანი ერთ დღეს დავიბადეთ...
ჩემი საწყალი ძმები და დები.
ჩვენ ყველანი ერთად დავიბადეთ,
მაგრამ რატომღაც ცალ-ცალკე ვკვდებით.
მილიონი წლის წინათ, მილიარდი წლის წინათ,
ერთხელ დავიბადეთ და ვკვდებით უამრავჯერ...
რამდენი ითოვა,
რამდენი იწვიმა,
რამდენ დღე-ღამეს ვუდარაჯეთ.
დაბადების დღეს მილოცავენ მეგობრები,
ვინც არ იცის,
მათთვის ჩვიდმეტ მარტს დაბადებული ვეგონები.

## საქართველო - ძლიერი მოკავშირე ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებს შორის თანამშრომლობის განმტკიცებაში



საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა საქართველოში სტუმრად მყოფ ევროკავშირის დელეგაციის წევრებს ოფიციალურ ვახშამზე უმასპინძლა.

დიპლომატების პატივსაცემად ოფიციალური ვახშამი მთაწმინდაზე გაიმართა. მთავრობის მეთაურმა ევროპელ დიპლომატებთან საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესი არაფორმალურ გარემოში განიხილა.

რეგიონულ ამბასადორიალში მონაწილეობენ ევროკავშირის საგარეო ქმედებათა სამსახურისა და ევროკომისიის მაღალი რანგის პირები; მათ შორის, აღმოსავლეთ პარტნიორობის და ცენტრალური აზიის ქვეყნებში, ასევე, თურქეთსა და ავსტრიაში ევროკავშირის დელეგაციის ხელმძღვანელები.

ევროკავშირის მაღალი დონის რეგიონული ამბასადორიალი გარკვეული პერიოდულობით იმართება და კონკრეტული რეგიონის ქვეყნების მიმართ ევროკავშირის პოლიტიკის განხილვის მნიშვნელოვან ფორუმს წარმოადგენს.

როგორც ოფიციალურ ვახშამზე აღინიშნა, ამბასადორიალის საქართველოში გამართვა ხაზს უსვამს ევროკავშირისთვის საქართველოს მნიშვნელობას რეგიონში; მათ შორის, საქართველოს, როგორც ძლიერი მოკავშირის როლს ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებს შორის თანამშრომლობის განმტკიცებაში.

## იგორ კვესელავა: მოდი, ყველამ ერთი მიზანი დავისახოთ: საქართველო უპირველეს ყოვლისა!

## სოსო არჩვაძე: ეროვნული ვალუტის გამყარება წარმოების განვითარებას საფრთხეს უქმნის

## ალი ბაბაევი: ქიქე რომ აღმაშენებელზე ლაპარაკობს, მე მრცხვენია...

## უცხოელი აგენტები საზღვარგარეთის კანონმდებლობაში

## „ავს თუ ავი არ ვუწოდე, კარგს სახელად რა დავარქო?“



# ირაკლი ღარიბაშვილი: მინდა, ვუთხრა ჩვენს მტრებს, რომ მათ კიდევ ერთხელ წააგეს



„მინდა, ბოლოს კიდევ ერთხელ შევაფასო, რომ მთლიანობაში კიდევ ერთხელ გამოჩნდა ჩვენი ჰუმანური სახე, ჩვენი დემოკრატიულობა, ამავდროულად, ჩვენი ხელისუფლების სიმტკიცე, სიძლიერე. მინდა, მადლობა გადაუხადო კიდევ ერთხელ ჩვენს მაგარ პოლიციას. მინდა, მადლობა გადავუხადო ჩვენს საპარლამენტო გუნდს, უმრავლესობას, პარტიის, პარლამენტის თავმჯდომარეებს, ყველას, ძალიან რთული დღეები იყო მათთვისაც, მაგრამ ჩვენ ყველამ კოლექტიურად მივიღეთ ეს გადაწყვეტილება და ვთქვით, რომ ეს არის ერთადერთი სწორი, გონივრული და ეროვნული ინტერესების შესაბამისი გადაწყვეტილება. ბოლოს მინდა ვუთხრა ჩვენს მტრებს, რომ მათ კიდევ ერთხელ წააგეს და ვერ შეძლებენ ჩვენი ქვეყნის დანგრევას. მათ ერთხელ უკვე დაანგრიეს ჩვენი ქვეყანა და ჩვენ მეორედ აღარ მივცემთ ამის საშუალებას“.

* * *

„წარმოვიდგინოთ, რომ დღეს, საქართველოში იყოს ომი. აღარ მინდა ახლა დეტალებზე წავიდე, ყველამ კარგად ვიცით აქ რა მოხდება ქვეყანა გადაიქცევა, ჩვენი ლამაზი ქვეყანა გადაიქცევა პოლიგონად, ეს არ არის გადაჭარბებული შეფასება, ეს არის რეალური საფრთხე, რომელიც მე მინდა, ყველამ კარგად გაიაზროს .

უფრო მეტიც, მე ვიტყოდი, არათუ არ მოხსნილა არამედ ჩვენ ამ ბოლო დღეების განმავლობაში კიდევ ერთხელ მე მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ კარგი რაც მოხდა, მოხდა სრული ლუსტრაცია ამ ადამიანების. დავიწყოთ თავიდან, რომ 300 ენჯეო იყო გაერთიანებული. 300 არასამთავრობო ორგანიზაცია შეუერთდა ამ პეტიციას ვინც იყვნენ ჩართული ამ აქციის ორგანიზებაში. ამას დაემატა „ნაცმოძრაობა“, „გირჩი“.

* * *

„რაც შეეხება „გირჩის“ პოზიციას, ჩემი იდეა იყო ასეთი, რომ სტუდენტებს შევთავაზეთ ალტერნატიული სამსახური. თუ სტუდენტი ჩააბარებს უნივერსტეტში და ჩაირიცხება, ჩვენ მათ ვეუბნებით, რომ თუ წელიწადში, ზაფხულში ერთი თვე შენ მოიცლი და წახვალ ჯარში, ერთი თვე რა პრობლემაა ხო, ივარჯიშებ, ისწავლი სროლას, ა.შ. 4 წლის განმავლობაში 4 თვე გამოუვა ჯამში, შენ ჩაგეთვლება ნამსახურებად მთელი ეს პერიოდი. 4 წელიწადში 4 თვე არაფერია რეალურად. ეს არის პასუხი „გირჩის“ მავნებლურ, მკრეხელურ მოძრაობაზე“.

## ნინო გიორგობიანი: ჩვენი დები და ძმები არ უნდა იყვნენ ამ დიდ შეთქმულებაში ნებით თუ უნებლიეთ ჩართულნი

პრემიერის გუშინდელი ინტერვიუს შემდეგ არ წყდება ფეიკ-ნიუსების გავრცელება, კონტექსტიდან ამოგლეჯილი ფრაზებით მანიპულირება. განსაკუთრებით ხდება დეზინფორმაციის გავრცელება ახალგაზრდებში. კიდევ ერთხელ შეგახსენებთ სტუდენტებთან მიმართებაში გაკეთებულ მის განცხადებას: „გარდა ამ დესტრუქციული, ანარქისტული მოძრაობის წევრებისა, იქ ძალიან ბევრი გულანთებული მოსწავლეც იყო, ბევრი სტუდენტიც იყო, მაგრამ არა ასეთი აგრესიული, მშვიდად იდგნენ, აპროტესტებდნენ, უბრალოდ, მხარს უჭერდნენ ევროპის იდეას. მაგრამ მე არ მინდა და არ მსურს, მე მინდა კიდევ ერთხელ დავაფიქსირო ჩემი პოზიცია, რომ ეს ადამიანები, ჩვენი თანამოქალაქეები, ჩვენი შვილები, ჩვენი დები და ძმები არ უნდა იყვნენ ამ დიდ შეთქმულებაში ნებით თუ უნებლიეთ ჩართულნი.“ ეს არის ნათელი მაგალითი იმისა, თუ როგორ ცდილობენ შეიყვანონ შეცდომაში ახალგაზრდები. ამას გარდა გუშინდელი ინტერვიუდან კიდევ ბევრი ფეიკი გავრცელდა, რომლის მიზანი ისევ და ისევ არის საზოგადოების შეცდომაში შეყვანა საკუთარი პოლიტიკური მიზნებისთვის.




## ირაკლი კობახიძე: ის უკვე კვირაზე მეტია აღარაა ბიძინა ივანიშვილის ადვოკატი



„განსაკუთრებით შემაშფოთებელია ფაშისტური კამპანია, რომელიც უნივერსიტეტებსა და სკოლებში წარმოებდა. დაფიქსირდა ისეთი შემთხვევებიც კი, როგორიცაა სკოლის პედაგოგების მიერ საკუთარი მცირეწლოვანი მოსწავლეების მშობლების მოღალატეებად მოხსენიება, რაც ფაშიზმისა და ბოლშევიზმის უმძიმესი გამოხატულებაა. აგრეთვე დაფიქსირდა კამპანია საუნივერსიტეტო სასწავლო პროცესიდან პროფესორების ჩამოშორების მოთხოვნით. ამგვარი კამპანია საქართველოში ბოლოს წარმოებდა ზუსტად ერთი საუკუნის წინათ ახალგაზრდა ბოლშევიკების მიერ, რომლებმაც საწინააღმდეგო შეხედულების მქონე პროფესორები უნივერსიტეტიდან გააძევეს. შემაშფოთებელი იყო ნაციონალი ლექტორების მიერ სახელმწიფო თუ კერძო უნივერსიტეტების პოლიტიკური პროპაგანდისთვის გამოყენება, რაც აკადემიური ეთიკის უხეში დარღვევაა“.

* * *



„ის უკვე კვირაზე მეტია აღარაა ბიძინა ივანიშვილის ადვოკატი. იყო გარკვეული სპეკულაციური მცდელობა, რომ მისი განცხადებები დაეკავშირებინათ ბიძინა ივანიშვილისთვის, კვირაზე მეტია, ის აღარაა ბიძინა ივანიშვილის ადვოკატის და პირდაპირ შევიდა პოლიტიკაში. გარდა ამის, ჩვენ გვაქვს კონკრეტული ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, რომ ის კანონი, რომელიც ჩვენ უნდა მიგვეღო, გავრცელდებოდა ვიქტორ ყიფიანზეც, როგორც უცხოური გავლენის აგენტზეც, ესეც, ალბათ ერთ-ერთი ფაქტორია, რატომაც ის ძალიან სწრაფად ჩაერთო პოლიტიკაში. ჩემი ინფორმაციით, არა ვიქტორ ყიფიანი ჩაეხსნა ბიძინა ივანიშვილის, არამედ ბიძინა ივანიშვილმა ჩახსნა ვიქტორ ყიფიანი. თუმცა ამაზე კომენტარის გაკეთება გამიჭირდება, ამასთან დაკავშირებით, ალბათ, შესაბამისი მხარეები გააკეთებენ კომენტარს“.

## დავით ქართველიშვილი: „ნაცებს“ დაუბრკოლებლად ვაცილებთ კიევში



„ორი ტრუპი“ მერაბიშვილი: „საქართველოს ელოდება ძალიან საინტერესო გაზაფხული და ზაფხული - დარწმუნებული ვარ, ხალხი მხარს დაგვიჭერს, ჩვენ ჩავანაცვლებთ მოქმედ მთავრობას და ქვეყნის სათავეში მოვიყვანთ პრო-დასავლურ და პრო-უკრაინულ ხელისუფლებას, იმიტომ, რომ ჩვენ და უკრაინა მოკავშირეები ვართ”.

მე ერთს დავამატებდი - გაზაფხული და ზაფხული მართლა საინტერესო გველოდება, ოღონდ ასიმეტრიული მოლოდინით. თუ უკრაინის ხელისუფლებამ დათმო ბახმუტი, თუ დასავლეთმა აიძულა ზელენსკის ადმინისტრაცია - დაუჯდეს აგრესორს მოლაპარაკებების მაგიდასთან, თუ საქართველოს მოკავშირე უკრაინამ ხელი მოაწერა ქვეყნის ფაქტიურად ორად დაყოფას, თუ მან არ დაამარცხა რუსეთი, თუ მოქმედ პრეზიდენტს ჩაანაცვლებს უკრაინის სახალხო და სამხედრო გმირი ვალერი ზალუჟნი, მაშინ...

...მტკიცედ უნდა მოვთხოვოთ ქვეყნის სპეცსამსახურებს, შსს-ს - მკაცრი შემშვები რეჟიმი დააწესონ საზღვარზე და არ დაუშვან უკრაინიდან უკონტროლო ადამიანური მასების ქვეყანაში შემოდინება. საზღვარმა ამ შემთხვევაში უნდა იმუშავოს მხოლოდ ერთი მიმართულებით: „ნაცებს“ დაუბრკოლებლად ვაცილებთ კიევში.

თუ სასამართლო და ჩატარებული ექსპერტიზა დაამტკიცებს, რომ „ხალხის ძალა“ „კრემლთან შეთანხმებით“ ცდილობდა საქართველოში „რუსული კანონის“ შემოღებას, აუცილებლად უნდა დადგეს კანონის ინიციატორების სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი. ხოლო თუ ქალბატონი პრეზიდენტი ვერ დაამტკიცებს სასამართლოში თავის მძიმე ბრალდებებს კონკრეტული ფაქტებით, ამის მერე უნდა დადგეს მისი იმპიჩმენტის საკითხი“.

# რაგინდ დიდი და ძლიერი იყოს სახელისუფლო ძალები, მას ხალხის თანადგომა და ხალხის მონაწილეობა სჭირდება

## რამდენიმე ჯგუფად დაყოფილი „თავისუფლების ინსტიტუტი“ გვიტევს ყველა მხრიდან



„საქმე ისაა, რომ ეს პრაგმატული მოსაზრებით „ოცნებაში“ გადმობარგებული ყოფილი „ნაცები“ იმ ადამიანების ადგილებს იკავებენ, ვინც მართლაც გულწრფელად უჭერდა მხარს „ქართულ ოცნებას“, რის გამოც, აწ უკვე „მეოცნებეებად“ ქცეული „ნაცები“ ხან ქვებს „ესროდნენ“ და ხან იარაღს უღერებდნენ „ურჯულოებს.“

თუ ასე გაგრძელდა და ნაციონალების გადმოდინებამ „ქართული ოცნების“ კალაპოტში მასობრივი ხასიათი მიიღო, არ არის გამორიცხული, სახელისუფლებო სტრუქტურებში კვლავ ყოფილი „ნაცები“ დარჩნენ, ხოლო „მეოცნებეებს“ ოცნების უფლებაღა დაუტოვონ.

„თუ სხვა არაფერი დაუშავებია ამა თუ იმ ადამიანს, „ნაციონალური მოძრაობის“ წევრობა დანაშაული არ არის... ვინც საქმე იცის, ვინც პროფესიონალია, ყველა თავის ადგილზე დარჩება, მიუხედავად იმისა, იყო თუ არა ის „ნაცმოძრაობის“ წევრი“, — აცხადებენ „ქართული ოცნების“ მესვეურები.

ჩვენი აზრით, არ არის საკითხისადმი ასეთი მიდგომა მთლად ზუსტი და სამართლიანი.

**„ქართული ოცნების“ ლიდერების მიერ არაერთხელ ხაზგასმით თქმულა, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ დანაშაულებრივი, კრიმინალური ორგანიზაცია იყო.**

**ერთ-ერთი ლიდერი უფრო შორს წავიდა და მას „კალვერას ბანდა“ უწოდა.**

ასეთი ორგანიზაციის წევრობა და მისთვის მხარდაჭერა, თავისთავად, დანაშაულია. შეიძლება, სისხლის სამართლის დანაშაული არა, მაგრამ მორალური და ზნეობრივი თვალსაზრისით, ნამდვილად საჩოთირო და სათაკილო საქციელია.

ჩვენ საკუთარი ხელით ვიყრით თვალში ნაცარს და თავს ნებაყოფლობით მოვისულელებთ ხოლმე, თორემ განა ყველამ შესანიშნავად არ ვიცით, რომ „ნაცმოძრაობის“ ძალადობრივი, მართლაც დანაშაულებრივი რეჟიმი სწორედ მათი ათიათასობით „უცოდველი“ მხარდამჭერისა და აქტივისტის მხრებზე იდგა, რომლებიც სხვაგვარად მოაზროვნეებს ასმენდნენ, აშანტაჟებდნენ, აშინებდნენ, პროვოკაციებს უწყობდნენ.

●

**„რაც შეეხება პროფესიონალიზმს — უამრავი შემთხვევა ვიცით, როცა „ნაციონალები“ სწორედ მაღალკვალიფიციურ პროფესიონალებს ერეკებოდნენ სამსახურებიდან და მათ ადგილზე უწიგნურ, გაუნათლებელ ადამიანებს იღებდნენ.**

„ნაციონალების“ საკადრო პოლიტიკა, კადრების შერჩევა პოლიტიკური სანდოობისა და ერთგულების მიხედვით ხდებოდა და არა კვალიფიკაციის მიხედვით.

ახლა, როცა ქუჩაში გაყრილი პროფესიონალები უკან დაბრუნებას ითხოვენ, მათ ადგილებზე ნაციონალების მიერ მორეკილი არაპროფესიონალები არიან გამაგრებული და მათი იქიდან გამოყვანა, შეიძლება, ვიღაც-ვიღაცებმა პოლიტიკურ დევნად შეაფასონ.

ერთადერთი გზა, რის შესახებაც „საერთო გაზეთს“ ბევრჯერ დაუწერია, წინა ხელისუფლების ნამოქმედარის ობიექტური და პირუთვნელი პოლიტიკური შეფასებაა.

თუ ეს გაკეთდება, ყველაფერი თავის ადგილზე დადგება და მტყუან-მართლის გარჩევაც გაიოლდება“.

●

„ჩვენ ხანდახან მხოლოდ ვფიქრობთ ხოლმე — ავირჩევთ ხელისუფლებას და შემდეგ, ჩვენს მოვალეობებს, მიზნებს და ამოცანებს გადავაბარებთ ადამიანების რაღაც ჯგუფს, ჩვენ კი შორიდან მაყურებლად ვიქცევით. ასე არაფრით არ შეიძლება, რადგან, **რაგინდ დიდი და ძლიერი იყოს სახელისუფლო ძალები, მას სჭირდება ხალხის თანადგომა და ხალხის მონაწილეობა.**

ჩემდა გასაკვირად და გასაოცრად (ალბათ, აქვს ამას თავისი მიზეზები), 1-ელი ოქტომბრის შემდეგ, როდესაც გვეგონა, რომ ჩვენი გამარჯვების შემდეგ, ის პრობლემები, რაც ქართველი ხალხის წინაშე იდგა და რასაც ჩვენ, თითოეული თქვენგანი და მთლიანად ქართველი ხალხი ეწინააღმდეგებოდა ამ 12 წლის განმავლობაში, დღის წესრიგიდან მოიხსნებოდა.

**სამწუხაროდ, ეს ასე არ მოხდა. პირიქით, ალბათ, დამეთანხმებით, რომ სწორედ ის ადამიანები და ორგანიზაციები, რომლებიც შემჩნეულნი იყვნენ ქართველი ხალხის ინტერესების საწინააღმდეგოდ სვლაში, პირუკუ, უფრო გაძლიერდნენ, კიდევ უფრო მოღონიერდნენ და, ლამის არის, მინისტრებიც კი მათ დაგვინიშნონ — მე ვგულისხმობ ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომელიც არის განაყარი „თავისუფლების ინსტიტუტისა“ და ახლა უკვე რამდენიმე ჯგუფად დაყოფილი „თავისუფლების ინსტიტუტი“ გვიტევს ყველა მხრიდან: ეკრანიდან, გაზეთის ფურცლებიდან, სამთავრობო ტრიბუნებიდან, პარლამენტიდან და ა.შ.**

ჩემთვის დავაფიქსირე, რომ ეს ძალა კი არ გაჩერდა და კი არ მიიმალა, პირიქით, წინა პლანზე გამოვიდა და ახლა ყველა საშუალებით ცდილობს იმ მიზნების განხორციელებას, რაც ქართველი კაცის ბუნებასა და ქართული სახელმწიფოს ინტერესებს ეწინააღმდეგება.

ჩვენ პირდაპირ და გულწრფელად უნდა ვთქვათ: ამ ძალების პარპაშს არ მოვითმენთ, ეს უნდა დამთავრდეს ერთხელ და სამუდამოდ!

სამარცხვინო რამ არის, როდესაც ერი ამას ითმენს და კიდევ უარესი, მთავრობის ზოგიერთი წარმომადგენელი რომ მდაბლად უხრის მათ თავს. სამარცხვინო ამბავია და ჩვენ ამას არ შევეგუებით!

●

„ჩვენი ერი ახლაც და წარსულშიც, ყოველთვის იყო უაღრესად ტოლერანტული — არ ვამბობ განსაკუთრებულ ჭეშმარიტებას, ყველამ ვიცით, რა გამოგონილი ილეთებით გვებრძვიან სწორედ ეს ე.წ არასამთავრობო ორგანიზაციები.

**ერთი რამ უნდა ვთქვათ, „არასამთავრობო ორგანიზაცია“ სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ ის არის საზოგადოებრივი ორგანიზაცია. ეს არის ვიღაცების მიერ კარგად დაფინანსებული, მძლავრი სტრუქტურის მქონე რაღაც, აგენტურული ქსელის მსგავსი რამ.**

ჩვენ გაჩუმებულები ვართ, თითქოს რაღაც არასრულფასოვნების კომპლექსით ვართ შეპყრობილები და როდესაც რომელიმე არასამთავრობო ორგანიზაცია (რომლის სათავო ოფისი საქართველოს საზღვრებსგარეთაა) რაღაცას გვეუბნება, ჩვენ პასუხს ვერ ვცემთ. კი, რაღაცას ვამბობთ, მაგრამ არ ჩანს ის საჭირო ხმა, ერის ხმა, რომელიც ხმას ჩააკმენდინებს და ჩააწყვეტინებს აი, ასეთ „ვაი ჭკუის დამრიგებლებს“.

●

„ქართველ ხალხს, რომელსაც თავისი არსებობის მანძილზე არასოდეს უდევნია არცერთი ერი; არავინ დაგვიწვია კოცონზე; არავინ შეგვივიწროვებია, დღეს დემოკრატიულობასა და ტოლერანტობას გვასწავლიან საქართველოში!

ეს, გარკვეულწილად, ჩვენი ბრალია, ქართველების, რადგან ჩვენ ვერ ვაწვდით, ვერ ვაცნობთ მსოფლიოს ჩვენს ისტორიას, ჩვენს ხასიათს, ჩვენს ტრადიციებს, ხოლო ჩვენს წინა ხელისუფლებას კი, რომელიც საკუთარი ერის მტერი იყო და არის დღესაც, ყოველთვის გადაბრუნებულად მიჰქონდა სიტყვა ჩვენს უცხოელ მეგობრებთან. სწორედ აქედან გაჩნდა ის 27 000 პატიმარი და 300 000 პრობაციონერი, ნაცხელისუფლება არწმუნებდა თავის უცხოელ პარტნიორებს, რომ ყველანი ციხეში ჩასაყრელები ვიყავით...

**ახლა გამოჩნდა, რომ, თურმე, წინა ხელისუფლება მხოლოდ საკუთარი ნებითა და საკუთარი სურვილით არ მოქმედებდა, ის ასრულებდა რაღაც დაკვეთებს, რაც დღესაც გრძელდება და ამას თუ წერტილი არ დაესვა, გამარჯვების კიჟინას რომ ვცემთ, შეიძლება, სწორად ახლა დადგეს საბედისწერო მომენტი, საქართველოს ყოფნა-არყოფნის საკითხი!**

**უნდა დავიხსომოთ, რომ ჩვენი წილი საქართველო, სადაც უნდა ვიყოთ: საწერ მაგიდასთან, დაზგასთან თუ ყანაში, ჩვენ უნდა დავიცვათ, მას სხვა არავინ დაიცავს!!!“**

●

„ხანდახან ვფიქრობ, ალყაში ხომ არ ვარ-მეთქი?

თორმეტი წელი ამ „ნაციონალების“ ჭირს ვებრძვი, ანუ თორმეტი წელი ალყაში ვარ და ახლა, 1-ელი ოქტომბრის გამარჯვების შემდეგ, რომელშიც „საერთო გაზეთს“ მცირე, სულ მცირე წვლილი მაინც მიუძღვის, ისევ ალყაში რატომ უნდა ვგრძნობდე თავს?

„ნაციონალური მოძრაობა“ ჯერ კუბოში არ გაციებულა, მაგრამ იქიდან უკვე ამოხტნენ ამ მოძრაობის ყოფილი მეხოტბეები, თანამებრძოლები, თანამოაზრეები და გაშლილი ხელებითა და გაბრწყინებული თვალებით მოიწევენ „ქართული ოცნებისკენ“ — დღედაღამ თქვენზე ვლოცულობდით, მოგვეცით უფლება, თქვენს გვერდით დავდგეთ და ერთგულად გემსახუროთო“.

●

„რაც თავი მახსოვს, სულ მაწვალებს ეს კითხვა: რატომ არის საქართველოში, ამ პატარა ქვეყანაში ამდენი მლიქვნელი, ამდენი მედროვე, რომლებიც ახერხებენ, ყველა გამარჯვებულის ტკიპასავით და ბაღლინჯოსავით მიეკრან.

**მსოფლიოს ტკიპოლოგიურ-ბაღლინჯოლოგიური მეცნიერება ამტკიცებს, რომ ქართული ტკიპა და ქართული ბაღლინჯო — ეს არის განსაკუთრებული ჯიშის ტკიპა და ბაღლინჯო, რომელსაც ადაპტაციის საოცარი უნარი აქვს და ნებისმიერი ჯგუფის სისხლს დედის რძესავით ირგებს.**

„თავისუფლების ინსტიტუტი“ თითქოს გაქრა და იატაკქვეშა მდგომარეობაში გადავიდა, მაგრამ ამ ინსტიტუტის ახლა სხვა „ინსტიტუტები“ ჩაენაცვლა, რომლებიც აბსოლუტურად იგივეს აკეთებენ, რასაც „თავისუფლების ინსტიტუტი“ აკეთებდა, ოღონდ აკეთებენ უფრო შეფარვით, უფრო შენიღბულად, უფრო დახვეწილად.

ისინი ერთ კლანად, ერთ კორპორაციად შეკრულნი, ღიად და დაუფარავად ახდენენ ზეწოლას საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბების პროცესზე; ღიად და დაუფარავად ერევიან საკადრო პოლიტიკაში, იწონებენ და იწუნებენ ადამიანებს იმის მიხედვით, რამდენად ერგებიან ეს ადამიანები მათ მიერ დადგენილ ნორმებს და კლიშეებს.

მათ არ ადარდებთ და არ ანაღვლებთ ის ამბავი, რომ „ნაციონალების“ მიერ გატარებული პოლიტიკის წყალობით, ქართველები საკუთარ სამშობლოში, საქართველოში, ყველაზე უუფლებო, ლამის კანონგარეშე მასად იქცნენ, სამაგიეროდ, განგაშს ტეხენ და ბოდიშის მოხდას აიძულებენ, თუ ვინმეს წამოსცდება, რომ რძლად რაჭველს ირჩევს და არა რომელიმე აფრიკული წარმოშობის მანდილოსანს.

**ისინი, ეს ფსევდოლიბერალები, ეს ფსევდოდემოკრატები მთელ ერს აშანტაჟებენ, საკუთარი თავის, საკუთარი სამშობლოს დაცვის სურვილს კი დანაშაულად გვითვლიან და ქსენოფობიას გვაბრალებენ.**

არასამთავრობო ორგანიზაციათა „ელიტურმა“ ნაწილმა საქართველოში პოლიტპატიმრების არსებობა ეჭვქვეშ დააყენა და სადავო და საკამათო საკითხად გამოაცხადა, რითიც კიდევ ერთთხელ დაამტკიცა, რომ ისინი „ნაციონალების“ ფარული მოკავშირეები იყვნენ, არიან და ასეთად დარჩებიან ბოლომდე.

**მჯერა, დარწმუნებული ვარ, რომ ესენი, ეს პროფესიონალი მოღალატეები და გამყიდველები, დრო მოვა და, თუ გაუვიდათ, პირველნი ჩასცემენ ზურგში მახვილს ქართველ ხალხს.**

მე და ჩემისთანები, შეიძლება, მაშინ მოგვიძიოს ვიღაცამ, მაგრამ უკვე გვიანი იქნება — **ჩვენ ალყაში მოვკვდით...“**

ვახტანგ ხარჩილავა
(2011-2012 წ.წ.)

**მსოფლიოს ტკიპოლოგიურ-ბაღლინჯოლოგიური მეცნიერება ამტკიცებს, რომ ქართული ტკიპა და ქართული ბაღლინჯო – ეს არის განსაკუთრებული ჯიშის ტკიპა და ბაღლინჯო, რომელსაც ადაპტაციის საოცარი უნარი აქვს და ნებისმიერი ჯგუფის სისხლს დედის რძესავით ირგებს.**

**უნდა დავიხსომოთ, რომ ჩვენი წილი საქართველო, სადაც უნდა ვიყოთ: საწერ მაგიდასთან, დაზგასთან თუ ყანაში, ჩვენ უნდა დავიცვათ, მას სხვა არავინ დაიცავს!!!**

# სატირალია, რომ გიჟის ბოდვებსა და ჰალუცინაციებზე მსჯელობს და კამათობს მთელი ქვეყანა



## თემურ ალასანიამ დალუპა მიშაც და ეს ქვეყანაც

**„რაც დღეს ქართულ პოლიტიკაში ხდება, არის სრული სიგიჟე, რომელსაც ახსნა არა აქვს, არანორმალური ადამიანები, აკვიატებული იდეებით, ნებისმიერი მეთოდით ცდილობენ ხელისუფლებაში დაბრუნებას,“** – ასე აფასებს მწერალი, „საერთო გაზეთის“ მთავარი რედაქტორი **ვახტანგ ხარჩილავა „ქართულ აზრთან“**, ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს და არჩევნების არცთუ სახარბიელო შედეგებშიც მმართველ გუნდს ადანაშაულებს:

– არანორმალური ადამიანები, აკვიატებული იდეებით, ნებისმიერი მეთოდით ცდილობენ ხელისუფლებაში დაბრუნებას, არჩევნების შედეგების თუ ხალხის ნების მიუხედავად. იმ პოლიტიკურ ძალაზეა საუბარი, რომელთან ურთიერთობის მწარე გამოცდილებაც აქვს საქართველოს, წლების განმავლობაში და რომელმაც ამ ქვეყანაში ძალიან ბევრი უბედურება დაატრიალა. არსებობს უამრავი მტკიცებულება, უამრავი დაზარალებული ადამიანი, დანგრეული ოჯახები, ტრაგედიები, ტერიტორიის დაკარგული 20 პროცენტი... მაგრამ ეს ადამიანები ისე უტიფრად იქცევიან, თითქოს ბრალი არაფერში მიუძღვით. საკადრისი პასუხი ქვეყანამ მათ მაინც ვერ გასცა, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი დაიჭირეს, ბევრი გაიქცა, დღემდე ქვეყნდება მათი მამხილებელი უამრავი მასალა... ამ ადამიანებზე მაინც არაფერი ჭრის.

„პატივცემული“ პრეზიდენტყოფილი ამბობს, რომ აბსოლუტურად უდანაშაულოა, რის პატიება - რა პატიება! მას არანაირი დანაშაული არ მიუძღვის თურმე, ქვეყნის წინაშე! არადა, ჩვენ ხომ ვიცით, რომ შემზარავი, სასტიკი დანაშაულებია ჩადენილი... მეტი პრინციპულობა იყო საჭირო, მაგრამ ყველაფერი ამ ავადსახსენებელმა კოჰაბიტაციამ გააფუჭა და სწორედ ეს არის დღევანდელი მდგომარეობის საფუძველიც.

– **არჩევნების შედეგებზე, სავარაუდოდ, სააკაშვილის ჩამოსვლამ გარკვეული გავლენა იქონია. როგორ შეაფასებდით ბოლო დროს შექმნილ პოლიტიკურ რეალობას?**

– მიშას ჩამოსვლამაც გარკვეული როლი ითამაშა, მაგრამ, ზოგადად, ხალხს ბევრი პრეტენზია დაუგროვდა მმართველი გუნდის მიმართ. მათ ვერ შეასრულეს მთავარი მოთხოვნა, ბოლომდე ვერ აღადგინეს სამართლიანობა, უამრავი საქმეა პროკურატურაში, რაზეც დღემდე არა აქვთ პასუხი ადამიანებს. გარდა ამისა, ეკონომიკური სიდუხჭირე არის ერთ-ერთი უმათავრესი ფაქტორი, მაგრამ ისიც ამ დესტრუქციულ ძალასთან არის დაკავშირებული. როცა ქვეყანა მუდმივ რყევებში და მოგერიების რეჟიმში იმყოფება, მშენებლობისა და ნორმალური ეკონომიკური განვითარებისთვის დროც არ არის. ამ 8 წლის განმავლობაში ერთი და იგივე სცენარით გვიტევს ათასი ჯურის არამზადა და ცდილობენ ხელისუფლებაში დაბრუნებას. მართალია, ამას ვერ აღწევენ, მაგრამ ასუსტებენ ქვეყანას, მის ეკონომიკას. ესენი არიან ქართული სახელმწიფოს მტრები. ხელისუფლების შეცდომა კი ის არის, რომ ზედმეტად გავერთეთ დემოკრატიის, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების თამაშით და ამ დროს, ფაქტობრივად, გადატრიალების მცდელობის მუდმივ რეჟიმში ვცხოვრობთ. მტერს მტერი უნდა დაარქვა და ისე მოექცე, როგორც მტერს!

არჩევნების შედეგებით კი არ უნდა იმსჯელო, არც იმით, ვინ დაუჭირა მხარი „ქართულ ოცნებას“ და ვინ - „ნაცმოძრაობას“, არამედ, ვინ არ მოვიდა არჩევნებზე, და რა რაოდენობის ხალხია ეს! ეს არის მილიონზე მეტი ადამიანი, რომელიც „ქართულ ოცნებას“ შეიძლება მხარს არ უჭერდეს, მაგრამ კატეგორიული წინააღმდეგია „ნაცმოძრაობის“ ხელისუფლებაში დაბრუნების. ანუ, ეს არის „ნაცმოძრაობის“ სამჯერ მეტი მოწინააღმდეგე ძალა, სინამდვილეში.

პარადოქსი არ არის, რომ საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი, დღეს უკვე უკრაინის მოქალაქე, გვიზის აგერ, რუსთავის ციხეში და აპირებს რევოლუციისა და სახელმწიფო გადატრიალების მოწყობას და მას ისევ ჩვენ ვარჩენთ?!

– **შიმშილობს, ბატონო ვახტანგ, და დიდად რჩენაც არ სჭირდება მაინცდამაინც!**

– როგორც ამბობენ, რაღაც განსაკუთრებული ფორმით შიმშილობს. ვიტამინებით იკვებება და შესანიშნავად მიირთმევს წვენების დიდ რაოდენობას. ჩვენ ვერ გავთქვამთ, მისი პირადი საქმეა ეს და მან უნდა თქვას, რომ არ შიმშილობსო, - ასე გამოგვიცხადეს. სინამდვილეში, ვიტამინებით რომ იჭყიპები, ამას არ ჰქვია შიმშილობა. შეიძლება, სულ არ ჭამო პური, მაგრამ იცოცხლო ადამიანმა.

რაც მთავარია, მოთხოვნა აქვს საინტერესო. კაცი, რომელიც ტრაილერით შემოიპარა, ამბობს, ვიშიმშილებ მანამ, სანამ არ გამათავისუფლებთო. კი მაგრამ, თუ არ გინდოდა ციხეში ჩაჯდომა, რას მოძვრებოდი აქ ცომაიას ტრაილერით! ტრაგიკომედიის სათავე ისაა, თუ რატომ და ვის იმედად დაბრუნდა საქართველოში?! ცხადია, რომ იმედი არ გაუმართლეს. ეს კაცი არ არის ნორმალური, მაგრამ მთლად ისეთი გიჟიც არ არის, რომ უეცრად რაღაცამ დაჰკრა თავში, მოძებნა ტრაილერის მძღოლი, ჩაუხტა და წამოვიდა. ცომაიას იმედად ჩამოვიდა?! აქ არავინ დახვდა და მამა-შვილმა წოწორიებმა ატარეს ზევით-ქვევით. ფაქტობრივად, უპატრონოდ დარჩა საქართველოში და ეს ცომაია იძულებული გახდა, წაეყვანა თავის ბინაში. ვინ ჩამოიტყუა, ან რა ჯგუფია, ვინც ის აქ ჩამოიტყუა, ალბათ, აქვთ პასუხი ამაზე სამართალდამცავ ორგანოებს, მაგრამ მე ეჭვი მაქვს, რომ ეს მოხდა რუსული ძალების წაქეზებით. ამაში მათი ხელი რომ არ ერიოს, წარმოუდგენელია. რადგან, რაც ახლა ხდება საქართველოში, პირდაპირ რუსეთის წისქვილზე ასხამს წყალს. მეტი რა უნდა გააკეთონ, რასაც ეს „ნაცმოძრაობა“ აკეთებს, ანგრევს და ასუსტებს ქვეყანას, გვემუქრება რევოლუციით და ა.შ. ამ გეგმას ახორციელებს სააკაშვილი და მისი ბანდიტური დაჯგუფება.



– **ბატონო ვახტანგ, წალენჯიხელი კაცი ხართ და სწორედ წალენჯიხაში მოიგო მხოლოდ „ნაცმოძრაობამ“. კერძოდ, თქვენმა მოგვარე გია ხარჩილავამ. ვარდების რევოლუციაც, სიმბოლურად, თითქოს წალენჯიხიდან დაიწყო და დღესაც ვრცელდება მიშას ფოტოები წალენჯიხის ავტობუსიდან. როგორ მოხდა, რომ წალენჯიხელთა უმრავლესობა დღესაც „ნაცმოძრაობის“ მხარდამჭერია? იცნობთ გია ხარჩილავას?**

– ვიცნობ, ოღონდ ძალიან დიდი ხანია, არ მინახავს, ალბათ 10 წელი! ნათესავები არ ვართ, მოგვარე კაცია! საქმე ისაა, რომ არავითარი ვარდების რევოლუცია წალენჯიხიდან არ დაწყებულა. (წალენჯიხის ავტობუსით, ისე, როგორც სხვა რაიონებიდან, მოდიოდნენ მიტინგზე - ეს წინადადება ხომ არ ამოვიღოთ?). ზუგდიდში ნახა ეს ავტობუსი სააკაშვილმა, შეახტა და ფოტოც, როგორც ჩანს, მაშინ გადაუღეს.

წალენჯიხაში დღეს რა მოხდა, ამაზე რომ ვუპასუხოთ, უნდა ვიცოდეთ, რა მოხდა იქ 90-იან წლებში. წალენჯიხა იყო რაიონი, რომელსაც ყველაზე სასტიკად, დაუნდობლად და არაადამიანურად დაატყდა თავს ის უბედურება, რასაც „მხედრიონი“ ჰქვია. თითქმის ყოველი მეორე ოჯახი გაძარცვეს. წალენჯიხის სკოლა-ინტერნატში იყო გამაგრებული ჯაბა იოსელიანი, ბანდასთან ერთად, სადაც მიიტანა იერიში ზვიადისტების ჯგუფმა და გაჩაღდა ნამდვილი ომი. ქუჩაში ეყარა მიცვალებულების გვამები... ამას მოჰყვა საშინელი რეპრესიები, ამ დროს წალენჯიხელები იცავდნენ კანონიერი გზით არჩეულ პრეზიდენტს და ჰყავდათ შეფარებული, მეტად მათ არაფერი დაუშავებიათ და არც კანონი დაურღვევიათ. ამ ბანდიტებმა, რომლებიც ვითომდა დემოკრატიის დასამყარებლად გააგზავნა ბატონმა შევარდნაძემ, 5-ჯერ გადაუარეს სამეგრელოს და ააოხრეს დაუნდობლად. ამაზე ლაპარაკი დღესაც არ შეუძლიათ წალენჯიხაში. იმდენად საშინელი სურათია, ისეთი ამბები მოხდა, ხელახლა გახსენება არაფრით შეიძლება.

წალენჯიხა ამ ტრაგედიისგან ძალიან დიდხანს ვერ გათავისუფლდა და ამაში ბრალი მიუძღვოდა თვითონ შევარდნაძეს. ეს უპატრონობის და დაუცველობის შეგრძნება დიდხანს გაგრძელდა და სააკაშვილიც, შევარდნაძის მიერ დარბეულ სამეგრელოს, ვითომდა, მფარველად და პატრონად მოევლინა. მისმა ცოლმა თუ აგენტმა ქალბატონმა მეგრული ისწავლა, მეგრულ ენაზე სიმღერაც დაიწყო და მათი გული მოიგო, მაგრამ, სინამდვილეში, მიშამ საპატიმროები გაავსო მეგრელებით - 10 პატიმრიდან 7 სამეგრელოდან იყო. ასე ვთქვათ, ძალოვან სტრუქტურებშიც მეგრელები ჰყავდა, რითაც ქმნიდა ილუზიას, თითქოსდა, პრიორიტეტს სამეგრელოს ანიჭებდა. ზოგადად, სააკაშვილის მმართველობა არის შესასწავლი. ეს არის საოცარი თვალთმაქცობის, ფარისევლობის, უბედურების ნაზავი და ახსნა სჭირდება. მოსახლეობას ეს უნდა გააგებინო, აუხსნა. ნაკლებად ინფორმირებულ ადამიანებს მისი ქმედებების განსჯის და გაშიფვრის უნარი არა აქვთ, ჩვენ რაც ვიცით მათ შესახებ, ეს კიდევ ძალიან მცირედია, თორემ ამის იქით შემზარავი დანაშაულები იმალება, რაზეც არავინ ლაპარაკობს.

6 წელი აქვს მისჯილი სააკაშვილს, რა ექვსი წელი, – ისეთი სასტიკი დანაშაულები აქვს ჩადენილი! 6 წელი აქვს მისჯილი ჩემს ნაცნობ ნახალოვკელ ნოდარას, რომელმაც 300 ლარი აიღო ქრთამი. ანუ, აქაც ორმაგ სტანდარტთან გვაქვს საქმე. განსაკუთრებული პატიმარიაო, რომ ბრძანა ქალბატონმა პრეზიდენტმა, განსაკუთრებული პატიმარი არ არსებობს! პატიმარი ყველა უნდა დაემორჩილოს იმ წესს, რაც მათთვის, ზოგადად, არსებობს. ეს კაცი კი ციხეში ზის თუ სასტუმროშია, ვერ გავიგე! დაუბრკოლებლივ შედის მასთან დღეში 30–40 კაცი და ის იქედან დირექტივებს აგზავნის. გაგონილა ასეთი რამ? წერა-კითხვა არ იცის და როგორ დაამთავრა ეს სკოლა ოქროს მედალზე, ვერ გავიგე. ეს იყო ბავშვი, რომელსაც ნორმალურად არავინ თვლიდა, რომელიც ოცნებობდა მსახიობობასა და კინორეჟისორობაზე და ბიძამისმა, თემურ ალასანიამ ეს არანორმალური წაიყვანა და „კაგებეში“ უკრა თავი. ბიძამისმა დალუპა ესეც და ქვეყანაც. მან ხომ იცოდა, ვინც იყო მიშა, რომ მისთვის ძალაუფლების მიცემა არაფრით შეიძლებოდა?! მაგრამ სათავისოდ გამოიყენა და მერე ერთად ქაჩეს მილიარდები.

– **რამდენიმე ბიზნესმენი წალენჯიხაში გადასახლებაზე ალაპარაკდა. კერძოდ, მამუკა ხაზარაძემ განაცხადა, რომ წალენჯიხას ოაზისად აქცევს, ანზორ მელია კი წალენჯიხელებს კლინიკის გახსნას დაჰპირდა...**

– წალენჯიხაში ცხოვრობს ნორმალური ხალხი და რაც ამ არჩევნებზე იქ მოხდა, არის მხოლოდ „ქართული ოცნების“ ბრალი. ეს ვიღაც გულორდავა, ვინც მათ მერობის კანდიდატად დაასახელეს, არ არის ადგილობრივი, მას ვერ იტანდა წალენჯიხა, იმიტომ რომ ვერასდროს ვერაფერი გააკეთა მათთვის! ჰკითხეთ ნებისმიერ წალენჯიხელს, ვინ იყო ეს კაცი, ფეხზელიც კი არავის უნახავს, სულ თვალებგადატრიალებული დადიოდა! ის არავის უნდოდა, არც „ქართული ოცნების“ მხარდამჭერებს, არც ნეიტრალურ ამომრჩეველს და „ნაცმოძრაობას“, მით უმეტეს! მაინც მიაძალეს, თითქოს გულორდავას გარდა არ იყო ამ ქვეყანაზე ადამიანი! ამიტომაც, ხარჩილავას ხმა მისცა არა მხოლოდ „ნაცმოძრაობის“ ამომრჩეველმა, არამედ, იმ ადამიანებმა, რომლებიც ვერ იტანენ დასანახად „ნაცმოძრაობას“, მაგრამ უფრო მეტად ვერ იტანენ ამ გულორდავას.

მამუკას და მელიას კი ურჩიეთ, არ ჩავიდნენ წალენჯიხაში - მათნაირ აფერისტებს წალენჯიხელები თავს არ მოაყუებინებენ. რაც შეეხება გია ხარჩილავას, ადრე ის იყო „მრეწველებში“, მაგრამ საიდან და როგორ გაჩნდა „ნაცმოძრაობაში“, ვერ გეტყვით. ერთხანს გამგებელიც იყო, ნორმალური კაცია. მერე, მე მგონი,

„ნაცებმა“ გააგდეს და წავიდა საქართველოდან, როცა დაბრუნდა „ქართულ ოცნებაში“ ვერ იპოვა დასაყრდენი და როგორც ჩანს, „ნაცებს“ შეეკედლა. რამდენი ადამიანია, რომ ასე ძალად „გავანაცეთ“, ხელი ვკარით, გავინაპირეთ და თუ მოსახლეობის 80 პროცენტამდე უჭერდა მხარს „ოცნებას“, აგერ 47- მდეც ჩამოვედით.

„ქართულმა ოცნებამ“ სადაც გაიმარჯვა, იქაც კი, იმდენად უმნიშვნელო შედეგებია, ძალიან დასაფიქრებელია ეს ამბავი და სწორი დასკვნების გამოტანაა საჭირო. ის კი არა, რომ „გავიმარჯვეთ!“ — კი გაიმარჯვე, მაგრამ ვისზე გაიმარჯვე, ერთი თუ 2-პროცენტიანი სხვაობით?! — მკვლელების, ბანდიტების, ყაჩაღების პარტიაზე?! ეს არის სასახელო?! კიდევ ერთი უმსგავსობაა, რომ მეცხრე წელია გვესმის ერთი და იგივე, — მკვლელების, ბანდიტების, მოძალადეების პარტიაა, მაგრამ ჩვენ მათ არჩევნებში დავასრულებთო! მკვლელების და ყაჩაღების გაერთიანებას რა უნდა არჩევნებში? ეს არის ნონსენსი, მკვლელებს არჩევნებში უშვებ?! მკვლელი უნდა იჯდეს ციხეში! სამოქალაქო აქტივისტების სახელით, გაურკვეველი ჯურის ხულიგნები, ცხვირწინ სახელმწიფოს გინგრევენ და ხმას ვერ იღებ! ეს უნდა დასრულდეს, თორემ ჩვენგან აღარაფერი დარჩება იმიტომ, რომ არც ერთი მეგობარი სახელმწიფო არ გვყავს გარშემო, მტრებით ვართ გარშემორტყმული. მეგობრებს რომ ვეძახით, მათაც კი თვალი უჭირავთ, იქნებ, ფეხი დაგვიცდეს, რომ რაღაც წაგვგლიჯონ! ცოტა ხალხიც უნდა გამოფხიზლდეს. მიშა-მიშას რომ გაიძახიან, ეს დალოცვილები, მკვლელია ეს მიშა, ჩვეულებრივი და ამას უნდა მიხვდეს ქართველი ხალხის ის ნაწილი, რომელიც თავისი ქვეყნის წინააღმდეგ მიდის!

**— ერთი თქვენი ლექსი გამახსენდა, ბატონო ვახტანგ: „მე მიყვარდა ეს ქვეყანა, ამ ქვეყანას არ ვუყვარდი“... და, იქნებ, თავისიანებისგან იმედგაცრუებული პატიმარი სააკაშვილი ახლა სწორედ ასე ფიქრობს ციხეში?!**

— მიშასთან არანაირი კავშირი არა აქვს ამ ლექსს! სააკაშვილს საქართველო კი არა, საკუთარი დედა და შვილები არ უყვარს! არავინ უყვარს საკუთარი თავის გარდა! მე არა ვარ ფსიქოლოგი, არც ფსიქიატრი, მაგრამ არსებობს კვალიფიციური ფსიქიატრების მიერ გაკეთებული დასკვნები, რომ ეს ადამიანი ნორმალური არ არის. ეს არის ძალაუფლების ფლობის მანიაკალური ჟინით შეპყრობილი კაცი, მაგრამ ძალაუფლება იმისთვის კი არ უნდა, რომ ქვეყანას ემსახუროს! თავისი სადისტური და მანიაკალური ინსტიქტების დასაკმაყოფილებლად უნდა! ხომ ყველამ ვიცით, რომ უყურებდა ამ ციხის წამების კადრებს და როგორ სიამოვნებას იღებდა? ნორმალურ ადამიანს შეეძლო ეს გაეკეთებინა? ავადმყოფია ეს კაცი და ეს უნდა აღიაროს ჩვენმა ხელისუფლებამ, უნდა დადოს სწორი დიაგნოზი! გიჟია, რომელიც ციხეში გვიზის, მაგრამ ფსიქიატრიულში უნდა იჯდეს სინამდვილეში და სატირალია, რომ გიჟის ბოდვებსა და ჰალუცინაციებზე მსჯელობს და კამათობს მთელი ქვეყანა.

**ნონა ქარქაშაძე**
2021.ნოემბერი
საინფორმაციო
სააგენტო „ქართული აზრი“

## ვახტანგ ხარჩილავა

# ლექსები

### სიტყვები

მე იმ ერთადერთ სიტყვას დავეძებ,
ის ერთადერთი სიტყვა მიშველის,
სიტყვა, ბგერგებით გამოუთქმელი,
ლექსიკონებში აღუნიშვნელი,
რასაც ვერ დაშლის გრამატიკოსი,
ფუძედ, თავსართად, თემის ნიშნებად.
სიტყვა, რომელიც არ გაიყოფა
და მარცვალ—მარცვალ არ დაიშლება,
სიტყვა, რომელსაც სიტყვით ვერ ახსნი,
სიტყვით ვერ იტყვი და ვერ გამოთქვამ,
სიტყვა, რომელიც შედგენილია,
დილის შუქიდან და საღამოდან.
ის, ჩვეულებრივ, სიტყვების შუა
დევს პაუზად და მრავალწერტილად.
დაბერებულან ჩვენი სიტყვები,
როგორ დაღლილან და გაცვეთილან.
ვერ შეისწავლი მათ ფონეტიკით
და ვერც წერილად მისწერ გულისსწორს.
ეს ის სიტყვაა ხმამაღლა თქმული,
სიტყვების იქით რასაც ვგულისხმობთ.
მე იმ ერთადერთ სიტყვას დავეძებ,
ის ერთადერთი სიტყვა მიშველის,
სიტყვა ბგერებით გამოუთქმელი,
ლექსიკონებში აღუნიშვნელი.

### პორტრეტი

მე არასოდეს არ მინახიხართ
და გხატავთ ისე, სხვისი ნათქვამით
და ნაამბობით, მაგრამ არ ვიცი,
რა როგორ არის დასახატავი.
ის ლაპარაკობს, მისი სიტყვები,
უნდა ვაქციო ახლა ფერებად,
მაგრამ არ ვიცი როგორ დავხატო,
თუნდაც ეს სიტყვა -„ბედნიერება“.
ის მეუბნება - „დიდხანს წვალობდა,
დიდხანს ელოდა დილის ხარებას“.
მე მეყინება ფუნჯი ხელებში,
როგორ დავხატო სიტყვა „წვალება“.
„უცებ დაბერდა , სიცოცხლის ბოლოს
გაღიმებული არ უნახავთო“,
სიტყვა „სიყვარულს“ როგორ დახატავ,
სიტყვა „ღალატი“ როგორ დავხატო?
„დგებოდა ღამით, ბარგს ჩააწყობდა,
წერილს დაწერდა და მიდიოდა“,
როგორ დავხატო, ზუსტი ხაზები
არ ამოდიან ურჩი ტილოდან.
გაზაფხულია გარეთ ბრდღვიალა
და ღრიანცელი ისმის ქუჩიდან
და არ ამოდის ფერი ფუნჯიდან,
რომელიც იტყვის სიტყვას „უჭირდა“.
...მე არასოდეს არ მინახიხართ
და მაინც გხატავთ სხვისი ნათქვამით
და მონაყოლით, მაგრამ არ ვიცი,
რა როგორ არის დასახატავი.

### მონოლოგი წარსულიდან

...უკანასკნელად ჩაქრა ვარსკვლავი,
უკანასკნელად ჩაქრა კაშკაშით,
შუბლზე ამაგეს და დროშასავით,
ამაფრიალეს უცხო ლაშქარში.
ვის წაჰყვა ჩემი ცოლი და ძაღლი,
ნეტა ვინ აღებს ბჭისკარს ჭრიალით,
ჩემს ძვლებს, გაჟვერილ თივაზე დაყრილს,
ვისი ურემი მიაჩხრიალებს,
ქვეშ ვის უგია ჩემი ნაბადი,
დევის ტყავივით ტანს რომ მეხვია,
მტრის გუთნისდედა ალბათ მარაბდას
ხნავს და ჩემი ძე მისი მეხრეა.
სამარადისოდ სხვამ დაიტოვა:
(მე მტვრიან ბინდში უნდა ვიარო)
ცა — ნათხოვარი ლურჯი მინდორი,
უფლისგან ღამე სახეტიალოდ,
ჩემი ფიალა აწ ვინ დასცალოს,
ნორჩი ვენახი ვინ გამიხაროს,
ანდა უმზეომ და უვარსკვლავომ,
რით გავითენო, რით დავიღამო.
ვის ერდოზე ჰყეფს ერთგული ძაღლი,
ვიღას უმშვენებს ცოლი მზიანეთს,
ჩემს ძვლებს, გალუმპულ თივაზე დაყრილს,
ვისი ურემი მიაჩხრიალებს.

### ამადეო მოდილიანი

სანამდე ვითმინო ეს ღამე სანამდე,
უნდა გადავღებო ცისფრად,
ბაღში ავადმყოფი ვწევარ ამადეო
და ველოდები ცისკარს.
ეგ სახე რად მინდა,
ეგ თქვენი ნიღაბი,
ის უნდა დავხატო, რაც ნიღბის მიღმაა.
მადმუაზელ, ოდესმე იყავით იმ მხარეს?—
ხედავთ, ცას ცრემლები
ვარსკვლავებად მიმხმარა.
ქარი — მაწანწალა ქუჩის შანსონიე,
შემოდის ჩემს ბაღში და მხრებზე მეხვევა.
თქვენ იცით სიმართლემდე რა შორია?
რა მტკივნეულია სინათლესთან შეხება?
თქვენ აქვე დარჩებით, მე უკვე გაღმა ვარ,
თქვენ აქვე დარჩებით მაგ თქვენი სიმდიდრით.
ცხოვრება ქარაფშუტა პარიზელი კახპაა,
თუ ფული გაქვს — იყიდი,
ვისაც გული აქვს და წაერთვა სასო,
ღვინით კი არა, სევდით ლოთდებიან.
გინახავთ ზამთრის მთვარე პარიზის ცაზე? —
ჩემი პორტრეტია.
ძნელია ეს ღამე მარტომ გაათენო,
ძნელია გადაღებო ცისფრად,
დათოვლილ ფოთლებში ვწევარ ამადეო
და ველოდები ცისკარს...

### ნახევარპატრიოტები

ვუყურებ: გული მისკდება,
უფრო და უფრო ვღონდები,
ერის მამობას ჩემობენ
ნახევრადპატრტიოტები.
აქეთ სიკეთეს უმღერენ,
იქ გორა უდგას ცოდვების.
ნახევრადმამულიშვილნი,
ნახევარპატრიოტები.
დაახვავეს და დახერგეს
ფუყე სიტყვების ლოდები.
ნახევარგულით ცხოვრობენ,
ნახევარპატრიოტები.
საბალახოა იმათი,
მამულის მწვანე კორდები,
ნახევარნამუსიანნი,
ნახევარპატრიოტები.
— ჯერ თავო, მერე ცოლ-შვილო,
ქვეყნისთვის სხვა დროს მოვკვდები.
ნახევრადლომგულები და
ნახევრადპატრიოტები.
ჩვენგან დაკრული ტაშები
სახლში უდგიუათ გოდრებით,
დადიან გაფუყულები,
ნახევარპატრიოტები.

### მადლობელი ვარ!

მადლობელი ვარ, მუხლს გიყრით კრძალვით,
თქვენ, ვინც ჩემს ხსოვნას შემორჩით მარად,
მადლობელი ვარ ლია და მარი,
მადლობელი ვარ მზია და თამარ!
მადლობელი ვარ კეთილი ბედის,
თქვენი ციური შუქით რომ მბანა,
მადლობელი ვარ ეთერ და ქეთი,
ნანა და ნანა და კიდევ ნანა.
მადლობელი ვარ, ნატო და ნატა,
ერთად ათასი ცეცხლი რომ მწვავდა.
ჩემი სიცოცხლე ზღაპარს რომ ჰგავდა,
მადლობელი ვარ მაგდა და თამთა.
ერთად გაბრწყინდა მიწაც და ცაცა,
ცეცხლი მიდგია მკერდს გულის ნაცვლად,
მადლობელი ვარ, ციცო და ცაცა,
გმადლობთ, რომ ვიქეც ფერფლად და ნაცრად.
მადლობელი ვარ, თინათინ, ნესტან,
თქვენს გამო თუნდაც შევებმი ქაჯეთს,
გმადლობთ, რომ ბევრჯერ უწყალოდ შევცდი,
მადლობელი ვარ, ასე რომ მტანჯეთ.
მეც მინდორ-მინდორ მივლია ხელად,
მიყვარდით ყველა!
მიყვარხართ ყველა!
მადლობელი ვარ, ლალი და ლელა,
ამ ქვეყნად მეც რომ მივლია ხელად.
თოვს, ნაღვლიანად ბარდნის და ბარდნის
და ლანდს კვალდაკვალ მიჰყვება ლანდი.
თუ სული მიდგას დღეს,
თქვენი ხათრით,
ხათუნა, ხათო, ნათელა, ნათი.
ბევრჯერ მიგრძვნია მზერა მაცილის
და მაინც გმადლობთ, სუყველას გმადლობთ,
თქვენც, ვინც უეცრად ულვთოდ გამწირეთ
და თქვენც, რომლებმაც მიმაგდეთ მარტო.
თოვს, თოვლისფერი ამოდის მთვარე,
მოედო ქალაქს ათასი წყვილი,
გმადლობთ, რომ თქვენთან დავმარცხდი მწარედ,
გმადლობთ, რომ მწარე ცრემლებით ვტირი.
მადლობელი ვარ იმათიც, ვისაც,
არ ვიცნობ, მაგრამ მინახავს წამით,
გზად მიმავალი
და ახლა სიზმრად
ჩამესმის მათი ნაბიჯის ჩქამი.
თქვენ ხართ სხვადასხვა და არა ერთი
და საერთო გაქვთ გვირგვინი ეკლის.
მე მისხალ-მისხალ და ტანჯვით გკრეფდით,
რომ ნამსხვრევთაგან ამეგო ძეგლი.
ის ერთი ძეგლი — ტაძარი ერთი,
რომელსაც მთელი ცხოვრება ვეძებთ,
სად სიყვარულის მეუფებს ღმერთი,
ღმერთი მაღალი და ყოვლისშემძლე.

### ალტერნატივა

გზაჯვარედინი არის ცხოვრება,
ჩვენი ცხოვრება არის ყოყმანი.
ჩვენი ცხოვრება არის მუსიკა,
ხან — მხიარული, ხან — საოხრავი,
რა ემართება ამ ცას ნეტავი,
ან დაგვაწვიმოს, ან დაგვათოვოს,
დილა ან ღამე, შავი ან ლურჯი,
რომელს აირჩევთ, ჩემო ბატონო?!
ვის დავემსგავსოთ, პირქუშ ღამეებს
თუ დილას, ცისკრის სხივით შემოსილს,
რა შევქმნათ ჩვენი თავისგან ნეტავ,
მასხარა, ლოთი თუ ანგელოზი?!
მშვიდი ყურე თუ ზღვა ბობოქარი,
წყნარი სიო თუ ქარი ხენეში,
ვისი აგური ვიყოთ ნეტავი,
სად ჩავეშენოთ, რომელ კედელში:
რა სჯობს, აქ დავრჩეთ თუ წინ ვიაროთ,
რომ მერე სხვისთვის ვიქცეთ ბილიკად,
ადამიანის თუ ღვთის ენაზე,
რით ავხსნათ წუთისოფლის ბილინგვა;
ამ ერთ სიცოცხლეს რამდენს მოახმარ,
საჩუქრად ყველას როგორ მიუტან,
ამ გზით თუ წახვალ მზეს შეეყრები,
იმ გზაზე სახლი უდგას იუდას;
ბნელის და ნათლის, დღისა და ღამის
დიდი ომია კაცთა ცხოვრება,
და სულ გახსოვდეს, ამ ომში ორი
დროშით თუ ალმით, არ იომება...

# „ავს თუ ავი არ ვუწოდე, კარგს სახელად რა დავარქვო?“

სიმართლე რომ გითხრათ, დავით გურამიშვილს დიდად არ ვწყალობდი. სკოლის პერიოდში საზეპიროების დასწავლა „დავითიანიდან“ სრულებით არ მეხალისებოდა, მაგრამ გამოხ-და ხანი და ნელ-ნელა მივხვდი, რას გვაზეპირებინებდნენ და რატომ. ახლა კი, რაც ის კაკაფონია ატყდა, რის შესახებაც კალამს ვასველებ, მთლად თვალწინ დამიდგა „ქართული ლიტერატურის“ სახელმძღვანელო და ჩემი ქართულის მასწავლებელი, უსაყვარლესი მერი ცხოიძე...

„უცხოური გავლენის აგენტის“ შესახებ კანონპროექტის ჯერ მხოლოდ ხსენებამ ისეთი ამბავი გამოიწვია ცალკეულ პირებში (რომლებიც, უკლებლივ ყველა, საიდანღაც, რომელიღაც ორგანიზაციებიდან თუ ე.წ. პარტიებიდან არიან), რომ ფართო საზოგადოებისთვის არანაირი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, მიიღებდნენ თუ არ მიიღებენ საერთოდ — ინიციატივამ უკვე გააკეთა თავისი საქმე, აყვირდნენ ისინი, ვინც საკუთარ თავზე მიიღო იმ სახელის დარქმევის რეალური განაჩენი, რანიც არიან სინამდვილეში.

კანონპროექტის ვარიანტები გადაეგზავნა „ვენეციის კომისიას“. საქართველოს მხარე მოითხოვდა დაჩქარე-




ბული წესით დასკვნის წარმოდგენას, მაგრამ გამოენთნენ აწ უკვე ნიღაბჩამოხეულები, წინ აიფარეს იმ კატეგორიის ახალგაზრდობა, წერა-კითხვასთან რომ მწყრალად არიან და საოცნებოდ ქცეული სახელმწიფო გადატრიალების წინაპირობის შექმნა დაიწყეს.

„ქართული ოცნება“ რას ფიქრობს და რა მოსაზრებებს იზიარებს, სრულებით არ აინტერესებს საზოგადოების იმ უდიდეს უმრავლესობას, რომელთაც ყოველგვარი „ვენეციის კომისიებისა“ და სხვა „ავტორიტეტ-დამრიგებლების“ გარეშეც კარგად იციან, ვინ არიან უცხო ქვეყნების ინტერესთა გამტარებლები საქართველოში და რის საფასურად ჰყიდიან ყველაფერ ქართულს: ქართულ სახელმწიფოებრივს, ადამიანურს, დაუწერლად დაკანონებულს, ფასეულს, ღირსეულს, საგოგმანებელს......ამ რჩეულ უმრავლესობას სრულებით არ აინტერესებს ისეთი ყურით მოთრეული ფრაზები, რომელთაც ამ კანონპროექტს უკავშირებენ: „სახელმწიფო სუვერენიტეტის დაცვა“, „დემოკრატიული სისტემის გამართულობა“, „უცხოური გავლენის აგენტი“ და მსგავსი. ამ რჩეულმა უმრავლესობამ ძალიან დიდი ხანია, ყველაფერს და ყველას სწორედ ის სახელი რომ დაარქვა, რაც ჰქვია და ახლა გინდა გავლენის აგენტები დაერქვათ და, ნებავთ, „გავლენიანი აგენტები.“ მეგობარმა არცთუ მთლად ხუმრობით თქვა: „მე ერთი აგენტი ვიცი — ჯეიმს ბონდი, „აგენტი 007“, დანარჩენები, ყველანი შპიონები არიანო“. რანი არიან, კი ვიცით, მაგრამ „შპიონები“ მაინც არავის უკადრებია, როდესაც საქართველოდან ქვეყნის შიდა ამბები რატომღაც სასწრაფოდ, სიხარულით, მაგრამ აუცილებლად დამახინჯებულად გაჰქონდათ უცხო ქვეყნებში, რის გამოც ხან „საკუთარი ქვეყნის დამსმენებად“ მოიხსენიებდნენ, ხან „ენატანიებად“, ხან „ჩამშვებებად“, ადრესატებს კი ამაზე არანაირი რეაქცია არ ჰქონიათ. არც იმაზე დაუგლეჯიათ ყველაფერი, როდესაც ცალკეული ცნობილი პირები გრანტებს „საჯაჯუშო ფულად“ მოიხსენიებდნენ, ან გრანტის მიმღებებს „ძღვენიჭამიებს“ უწოდებდნენ.

„აგენტი“ „ჯაშუშთან“ ასოცირდება და ეს არ მოსწონთ თურმე.

ამდენმა ტყუილმა ხომ აგვიკლო! — ჯაშუში არის შპიონი, ხოლო „აგენტი“, ლათინურად **agens** — „მოქმედი“, შეიძლება იყოს: 1. პირი, რომელიც მოქმედებს ვინმეს დავალებით; 2. მოქმედი ფაქტორი, რომელიც იწვევს რაიმე პროცესს ან მოვლენას ბუნებაში, ადამიანის ორგანიზმში და ა.შ. 3. „მაცივარ-აგენტი“ — სამაცივრო მანქანების მუშა ნივთიერება; 4. საიდუმლო აგენტი.

აღნიშნულ ინიციატივას ისეთი მწვავედ კრიტიკული საერთაშორისო გამოხმაურებები მოჰყვა, მრავლისმომსწრე ადამიანიც კი გაოცდებოდი — იმ გაერომაც კი ამოიგდო ბეჭი, რომელიც მსგავსი განცხადებებით არ გამოირჩევა. ევროკავშირი რას ჩააკვნესებდა, ან აშშ თავისი ელჩის პირით („ვფიქრობ, საქართველოსთვის ეს კანონი არ არის საჭირო“), ან კიდევ მის კალთას გამობმული საქართველოს მადამ-პრეზიდენტი („ვეტოს დავადებო“), დიდი გამოსაცნობი არ იყო, მაგრამ გაკაპასებული ქართველი ქალების ისეთი ხავილი და ძალაზე მოსვლა მოჰყვა, ყველა „მსოფლიო დონე“ გადაფარა. ეს რა იყო, სირცხვილდაკარგული გაშიშვლებული ქალები, რომლებიც „ჭკუის საკითხავი ქალებიდან“ ჩვეულებრივ „აშარაშკებად“ იქცნენ როგორც ლექსიკით, ისე მოქმედებით — ასეთი რამ მხოლოდ ვაგზლის მოედანზე მინახავს — კლიენტის აწაპვნის გამო ჭკუიდან გადასული ორი ქალი!.. კარგი სანახავი კი იყო...

მადამ პრეზიდენტიც როგორ გამოენთო: „პირდაპირ ვაცხადებ, რომ კანონს „უცხოური გავლენების გამ-

**ქვეყნის პრეზიდენტი რომ მხარს უჭერდეს საკუთარ ქვეყანაში სახელმწიფო გადატრიალებასა და ომს, ეს მხოლოდ საქართველოში ხდება თუმცა, რა გასაკვირია, ეს ხომ ის მადამია, რომელმაც დიდი მადლობა გადაუხადა 1992 წლის 7 იანვარს სისხლიან „ტროიკას“ ზვიად გამსახურდიას დამხობის გამო...**

ჭვირვალობის შესახებ“ ვეტოს დავადებო“ და აშშ-ში გასამგზავრებელი ბარგის შეკვრა განაგრძო...

**ქვეყნის პრეზიდენტი რომ მხარს უჭერდეს საკუთარ ქვეყანაში სახელმწიფო გადატრიალებასა და ომს, ეს მხოლოდ საქართველოში ხდება თუმცა, რა გასაკვირია, ეს ხომ ის მადამია, რომელმაც დიდი მადლობა გადაუხადა 1992 წლის 7 იანვარს სისხლიან „ტროიკას“ ზვიად გამსახურდიას დამხობის გამო...**

გრიგოლი კარასინმაც არ დააყოვნა და სიტყვა დაადევნა მადამის მუქარას: „სალომე ზურაბიშვილმა ვაშინგტონში მკაცრი ინსტრუქცია მიიღო. იქ ითხოვენ, რომ საქართველო იმ ქვეყნების რიგში ჩადგეს, ვინც რუსეთის წინააღმდეგ სანქციებს აწესებს. მთავარი შეკითხვა: შესძლებს თუ არა საქართველო, რომ დამოუკიდებლად განსაზღვროს თავისი სამოქმედო გეგმა“? პასუხი ცალსახაა: უნდა შესძლოს!

საკვირველია ამბავია სწორედ! რა ფორმულირებით მიიღებს „ქართული ოცნება“ ამ კანონს, მნიშვნელობა არ ექნება, ის მაინც „რუსული კანონი“ იქნება, რომელიც საქართველოს დააშორებს ევროატლანტიკურ პერსპექტივას და თავისუფალ აზრს ჩაახშობსო. რაიმე ლოგიკას ვინც ხედავს ამ განაცხადში, ნამდვილად არაამქვეყნიურია ან იდიოტია და აი, რატომ: საქართველოს კვალდაკვალ კანადამაც წამოიწყო უცხოური გავლენის აგენტის რეესტრის შექმნა და არა მხოლოდ კანადამ. იდიოტია ვინც ახლა ახალ იდიოტობებს თხზავს, რომ თურმე, კანადას მხოლოდ ჩინეთის ეშინია და განიხილავს კონკრეტულად ჩინეთის გავლენის გამჭვირვალობის საკითხს და არა, ზოგადად, უცხო ქვეყნებისას. მაშასადამე, იდიოტთა განმარტებით გამოდის, რომ კანადა იღებს „ანტიჩინურ კანონს“. რეალურად, იმავე კანონს, რაზეც საქართველოში დაიგლიჯეს ყველაფერი. როგორ არის იმათი საქმე? კანადა რუსეთში მიაქანებს კანადელებს? ძალიან მაინტერესებს, რას ამბობენ ოტავაში მცხოვრებლები, არ გვინდა, დილაობით მოსკოვში გავიღვიძოთო?

აზრიანმა ახალგაზრდებმა, როგორც კი „თავისუფლება მიშას და გვარამიას!“ გაიგეს, მყისიერად დატოვეს საპროტესტო აქცია, მიხვდნენ, რომ მათი გამოყენება უნდოდათ, ხოლო ორიოდე დღეში მათ წერა-კითხვის მცოდნე აზრიანი ახალგაზრდებიც მიჰყვნენ, საჯაროდ დასვეს კითხვა და პასუხსაც საჯაროდ ითხოვენ. ვინ უპასუხებს, გიორგი ვაშაძე, თამარ კორძაია თუ აშშ-ის სახელით კელი დეგნანი? ხათუნა სამნიძე ჯერ ვერ მეტყველებს ძარღვიანად, კანადელების კანონს არ გასცნობია თურმე... სავარაუდოდ, ისიც „ანტიჩინური კანონისკენ“ აიღებს გეზს...

გიორგი ბოტკოველი იმედიანად არის, კანადა არ მიიღებს ისეთ კანონს, რომელიც ოკუპანტს აწყობსო. სულითა და გულით მინდა, ჩავწვდე, რა თქვა ვინმე გიორგი ბოტკოველმა, მაგრამ ასეთ „სიღრმეებში“ ჩაღწევა არ გინდა?! რა, კანადა ოკუპირებულია რუსეთის მიერ, თუ, უბრალოდ, ოკუპირებულია რომელიღაც ქვეყნის მიერ და ამიტომ არ მიიღებს (სხვა ვერსიებიც მაქვს, მაგრამ სად ვდიო „ბოტკოებში“)?

**თორნიკე დადუნაშვილი:** „ეხლა ამიხსენით, ეს კანონი თუ რუსულია, კანადა რატომ იღებს? ჩემს მეგობრებთან ერთად სამი დღე აქციებზე ვიარე. ისე არ აღმოჩნდეს, რომ პოლიტიკოსების დეზინფორმაციის მსხვერპლი ვარ, თორემ დედებს მოგ...-.ავთ! არ ვიცი ნაცი და ქოცი. ველოდები პასუხს!!!“

**მარიამ ბოლოთაშვილი:** „ანუ, რა გამოდის? კანადელებიც რუსულ კანონს იღებენ? ჩემი არჩევანი ყოველთვის ევროპა იყო, ამიტომ ყველა ბოლო აქციაზე ვიდექი. ვიდექი ევროპისთვის და მეგონა, რომ ჩემს ევროპულ მომავალს საფრთხე ექმნებოდა ამ კანონით. ახლა წავიკითხე ინფორმაცია, რომ კანადელი ლიბერალები უცხოური გავლენის გამჭვირვალობის რეესტრის შექმნას გეგმავენ, რომელიც კანადას შიდა საქმეებში უცხოური ჩარევისგან დაიცავს. კანადელი ლიბერალები ადამიანის უფლებებს არ იცავენ? რისთვის ვიდექით ჩვენ რუსთაველზე, რას ვაპროტესტებდით? უკვე დარწმუნებული ვარ, რომ პოლიტიკოსებმა ახალგაზრდები თავისი ინტერესებისთვის გამოგვიყენეს — ახალგაზრდების სურვილი, ვიყოთ დიდი ევროპული ოჯახის წევრები!“

აშშ, ავსტრალია, ახალი ზელანდია ისრაელი, უნგრეთი, დიდი ბრიტანეთი და ახლა უკვე კანადა და სრულიად ევროკავშირი...

როგორც განმარტებაში ვკითხულობთ, ამ ტიპის კანონი (**FARA**) აშშ-ში 1938 წელს მიიღეს, რათა ხელი შეეშალათ ნაცისტური პროპაგანდისთვის, მოგვიანებით კი კანონმა ცვლილება განიცადა, მისი მოქმედების არეალი დავიწროვდა და ახლა ის, ძირითადად, უცხოურ ლობისტურ ორგანიზაციებსა და ლობისტებს შეეხება. აი, თურმე რაში ყოფილა საქმე, რამ გადარია გაღმა-გამოღმა ყველა და აკივლა ჩვენი ძღვენისმოყვარენი — რა დემოკრატია და რა ევროპრინციპები, „ფული, ბაბაია, ბევრი ფული“ ეკარგებათ...

ახალი „მიგნება“ გაჩნდა, ისეთი „ბიოგრაფია“ ჰქონია „ამ ქვეყანაში“ (საქართველოში) სიტყვა „აგენტს“, რომ გაიგივებული ყოფილა ჯაშუშთან, მტერთან, მოღალატესთან და რადგან „ღიაობა და გამჭვირვალეობა“ ყოფილა მიზანი, ეს სიტყვა უნდა შეიცვალოს. რაგინდ „ამერიკული კანონი“ იყოს, რადგან საქართველოში ვყოფილვართ, სიტყვაც და მიზანიც აქაურობას უნდა მოერგოს. ამერიკული განმარტებით, „გავლენის აგენტი“ ნიშნავს: პირს, რომელიც, შეიძლება გამოიყენო უცხოელ წარმომადგენლებთან ფარული გავლენისთვის, რომელიც უყალიბებს საზოგადოებრივ აზრს ორგანიზაციებში, გავლენიან წრეებში, რათა ხელი შეუწყოს თავისი ქვეყნის მთავრობის მიზნების განხორციელებას; ან აქვს საშუალება, კონკრეტულად იმოქმედოს ქვეყნის საგარეო პოლიტიკის მხარდასაჭერად.“

კარგი გამახსენა პაატა მანჯგალაძემ: ირაკლი კობახიძეც უცხოეთის გავლენის აგენტი გამოდის, რადგან **USAID**-ის დაქირავებული ექსპერტი იყოო. ირაკლი კობახიძეს პრობლემა არ აქვს, რომ რომელიღაც ორგანიზაციის დაქირავებული ექსპერტი იყო და ისტერიკაში ჩავარდნილ „მკივან-მჩხავანა“ ნაკრებს რა პრობლემა აქვს, ჩაუსვან ერთი სიტყვაც „დაქირავებული“ და იქნებიან „დაქირავებული გავლენის აგენტები“. რეალურად ხომ ასეცაა, ვიღაც საზღაურს გასცემს თავის მიერ დაქირავებული გავლენის აგენტებისთვის...

იქით სხვა ნაკრები ახავლდა, წარმოიდგინეთ, როგორი მძიმეა, შვილები ან შვილიშვილები რომ გაიგებენ, მათი ოჯახის სამაგალითო წევრი აგენტი ყოფილაო. მთლად სასწაული წუხილი თუ გინდათ, ეს არის — **თუ ისეთ სამარცხვინო საქმიანობად ეჩვენება ვინმეს აგენტობა, რომ დასამალი უნდა იყოს, რატომღა გახდა აგენტი? ნუ იქნება სხვა ქვეყნის აგენტი საკუთარ სამშობლოში** კაცი/ქალი და დაიძინებს მშვიდად, ხოლო თუ მიიჩნევს, რომ ქვეყნისთვის სასარგებლოდ იღვწის აგენტობით, უფრო ტკბილად დაეძინება სამშობლოზე ფიქრში დაღლილს — ასე არ არის? კი, ასეა, მაგრამ ეს მაშინ არის ასე, როცა შენს ქვეყანაში შენს ხალხთან ხარ და მათ ემსახურები და არა მაშინ, როცა შენს ხალხს ხალხად არ მიიჩნევ, ცალი ფეხი თბილისში გაქვს, ცალი — ვაშინგტონში და ვიღაც ხაშურიდან გიყურებს ქვემოდან... კიდევ გაუკვირდება ვინმეს, რატომ ვერ მივიღეთ აქამდე ეს აუღებელ ციხესიმაგრედ ქცეული „ლუსტრაციის კანონი“?

რატი იონათამიშვილიც კი დაიღალა ამდენი ახსნა-განმარტებით და მოკლედ თქვა: „ვაქვეყნებ სამ დოკუმენტს. მათგან: 1. ამერიკაში მოქმედი კანონი ინგლისურ ენაზე; 2. ამერიკაში მოქმედი კანონი ქართულ ენაზე; 3. ამერიკაში მოქმედი კანონის გაცილებით ლიბერალური ვერსია. ამას ეძახიან „რუსულ კანონს“. სინამდვილეში, „რუსულიც“ ტყუილია და „კანონის“ მხოლობითში მოხსენიებაც. სწორია — „ამერიკული“ და სწორია „კანონის პროექტები“ და მსგავს საკითხებზე,

**EPP**-ის ინიციატივით ინკლუზიური დისკუსია მიმდინარეობს ევროკავშირშიც.

აი, ამ დონის „ფეიკზე“ დგას არა მხოლოდ „ომის პარტია“, არამედ ის მდიდარი ენჯეოებიც, რომლებსაც მოსწონთ, „გავლენიანს“ რომ უწოდებენ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს მეორეხარისხოვნად მიიჩნევენ.“

გვერდს ვერ ავუვლი ე.წ. რუსულ განმარტებას: „გადაბირებული და სპეცსამსახურების მიერ ჯაშუშურ საქმიანობაში განსწავლული აგენტი, რომელსაც საზოგადოებაში მაღალი მდგომარეობა უკავია და თავისი სამსახურებრივი მდგომარეობით შეუძლია, მიზანმიმართულად უსიტყვო გავლენა მოახდინოს იდეოლოგიაზე, პოლიტიკაზე, ცალკეული მოვლენების განვითარებაზე, მოსახლეობის ან განსაზღვრული სოციალური ჯგუფის აქტიურ მოქმედებაზე, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე, პარტიაზე, ორგანიზაციებზე, ან სასურველი აზრის ჩამოყალიბებაზე ამა თუ იმ კონკრეტულ საკითხზე“. ეს რა ალალი და ადვილად გასაგები განმარტება ჰქონია „რუსულ“ ვარიანტს?!..



ასეთი გნიასი აქვთ ატეხილი, მაგრამ მაინც მოსწონთ ფრაზა „გავლენიანი არასამთავრობო ორგანიზაციები“, თითქოს თვითონ რაიმეს წარმოადგენდნენ, დაქირავებული გავლენის აგენტები რომ არ იყვნენ...

მე ვინ მეკითხება, ან საზოგადოების დიდ უმრავლესობას, თორემ წლებია, გავყვირით იმას, რასაც ახლა „ხალხის ძალამ“ სახელმწიფო დონეზე ჩაჰბერა სული. დიახაც, ყველა, ვინც „უცხოური გავლენის აგენტად“ მოიაზრება, ვალდებული უნდა იყოს, დარეგისტრირდეს საჯარო რეესტრში ამავე სახელობის ბანკში, რა დროსაც აუცილებელი იქნება მიღებული შემოსავლების ასახვა. ამავდროულად კი ამ ორგანიზაციებს უნდა ჰქონდეთ ვალდებულება, რომ საფინანსო დეკლარაცია შეავსონ ყოველწლიურად/ ექვს თვეში.

„არაფერია დაფარული ჩვენს საქმიანობაში!“ — გაჰყვირიან დაზეპირებულ ფრაზას. სანამ მე მოვიძიებდი ფაქტებს, ბატონმა დავით ქართველიშვილმა დადო მრავალთაგან ერთ-ერთი და, აბა, ვნახოთ, ყველა სხვა დანარჩენიც ხომ იგივე „გამჭვირვალობითაა“.

2014 წლის აპრილის შუა რიცხვებში, თბილისში ჩამოიყვანეს „მაიდნის“ ერთ-ერთი პოლიტტექნოლოგი სვიატოსლავ ფედორჩუკი. რა ვიცით ამ ფაქტთან დაკავშირებით?

ვიცით ის, რომ მიმღები ქართული მხარე იყო „ასო“-ორგანიზაცია „თავისუფალი ზონა“ (ხელმძღვანელი — გელა ვასაძე), ანუ ამერიკული კანონის **FARA**-ს მიხედვით, ეს ორგანიზაცია წარმოადგენდა „უცხოურ პრინციპალს.“ ამავე ამერიკულივე კანონის მიხედვით, სვიატოსლავ ფედორჩუკი წარმოადგენდა „უცხოური პრინციპალის აგენტს.“ ვიზიტის პროგრამაში შედიოდა ტრენინგების ჩატარება არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ოპოზიციური მედიასაშუალებების წარმომადგენლებთან თემაზე; „მაიდანი — მისი მოსამზადებელი და განმახორციელებელი ფაზები.“

ამ ფაქტთან დაკავშირებით არ ვიცით, ვინ იყო დამფინანსებელი (დონორი) მხარე; რა რაოდენობის თანხა დაუჯდათ ორგანიზატორებს ამ ტრენინგების ჩატარება; დაფინანსების ფორმა — ნაღდი ფული, გადარიცხვა, რომელი ბანკიდან... ოჰ, ოჰ, რა გამჭვირვალედაა ყველაფერი, ლანდი გასდის...

პირველი — რომელ საიტზე, რომელ რეესტრში, რომელ შარაზე უნდა შეუხვიოს კაცმა, რომ ამ და მსგავს ფაქტებზე პასუხი მიიღოს პასუხგაუცემელ კითხვებზე? ასეთი „შესახვევი“ ჯიბეა და სწორედ ამაშია საქმე, ამიტომ ატეხეს ასეთი ვაი-უშველებელი, რომ არანაირად არ აწყობთ დაფარულის გამჟღავნება და მეორე და უმთავრესი, ანუ, **პირველ საკითხად რომ ვთვლი მე: რატომ უნდა შეეძლოს ვილაც გარეულს ჩემი სამშობლოს შინაურ მტრებთან ქვეყნის ამოყირავებაზე კურსების გავლა, თუნდაც მისხალ-მისხალ იყოს ჩამოწერილი ყველა გროშ-კაპიკის გზა?!**

დავით გურამიშვილის „დავითიანი“ ვახსენე და ასეა ჩვენი ამბავიც; „თურქი, სპარსი, ლეკი, ოსი, ჩერქეზ, ღლიღვი, დიდო, ქისტი,/ სრულად ქართლის მტერნი იყვნენ, ყველამ წაკრა თვითო ქიშტი,/ მერმე შინათ აიშალნენ, ძმამ მოუდო ძმასა ყისტი:/ თავის თავსა ხმალი იცეს, გულთა მოიხვედრეს ხიშტი!/ ვით მამალი სხვის მამალსა დაჰმტერდეს და წაეკიდოს,/ მას სცემოს და თვით იცემოს, დაქოჩროს და დაეკიდოს,/ რა ორნივე დაღალულნი ძალმან ნახოს, პირი ჰკიდოს,—/ ეგრეთ ქართლი და კახეთი დარჩა თურქთა, ლეკთა, დიდოს!“

რა შეიცვალა გურამიშვილის თვალსაწიერიდან დანახული საქართველოსთვის ან საქართველოში? როგორც ვხედავთ — არაფერი! ისევ იგივე სურათი გვაქვს...



ასე რომ, „რუსული კანონი“ ერქმევა, ამერიკული, ჰამურაბის თუ ლემურიელების, რაგინდ მიუღებელი იყოს „შპიონებისა და შპიონაჟისთვის“, მაინც მისაღებია მხოლოდ იმიტომ, რომ ასეთი სასიკვდილოა გაურკვეველი წარმოშობისა და გარკვეული ინტერესების მქონე რამდენიმე „ასო“-სთვის, მათი პარტნიორი რამდენიმე პარტიისთვისა და, უპირველესად, საქართველოს დაუძინებელი მეგობრებისთვის — ისემც უქნიათ, სულაც ველარ დაუძინიათ!

მიუხედავად იმისა, რომ, რიგ შემთხვევებში, საქართველოსთვის საჭირო და საინტერესო საკანონმდებლო ინიციატივებია წარმოდგენილი და აშშ-ის საკანონმდებლო ბაზიდან მომდინარეობს, თუ „ნაციონალური მოძრაობისთვის“ (**„ნაციონალური სირცხვილის“ პარტია უნდა ერქვას**) რამენაირად უხერხულია ან სახიფათო, აშშ-ის ელჩის პირით ვიგებთ, რომ შთაგონების წყაროს კრემლი წარმოადგენს — დიახ, რაგინდ უკან გამოიწვიონ აღნიშნული კანონი, ის სასწრაფოდ და აუცილებლად მისაღებია!

საქართველოს უდიდესი უმრავლესობა ძალიან ნაწყენია „ოცნებაზე“, უკვე მერამდენედ გაუცრუეს იმედი და წაართვეს ქართული ოცნება; დაწყებული თავსმოხვეული კოჰაბიტაციიდან, რომელის დასრულებასაც გონიერი ვადა უნდა ჰქონოდა, თვალსა და ხელსშუა საქართველოს მტერი ძალის დაუსრულებელი გაცოცხლება ხდება, გამუდმებით აჩაგვრინებს მტერ ქართველებსა და მათ უცხოელ თანამზრახველებს საქართველოს ნამდვილ გუშაგებს და აი, გულისტკივილიც: „ეს მართლაც ლუსტრაციის კანონი აღმოჩნდა. სუვერენიტეტის ყოველგვარი ნიშანწყალიც კი გაქრა. ერთი ზარით აშშ-ის სახდეპიდან ყველაფერს უკან აბრუნებს „ხელისუფლება.“ ფურუნკული გასკდა! ახლა ევროვანდალებს გმირებად მონათლავენ. ველოდები შემდეგ ნაბიჯებს სუვერენიტეტის დათმობის მოტივით: „აბა, რა ექნათ“?! როგორც ვატყობ, ამის „გაპრავებაც“ დაიწყება მალე და მე ისევ აღმოვჩნდები ბნელი, ჩამორჩენილი და არაევროპული. უპრინციპობა და უსინდისობა ისევ სიკეთედ და გამჭრიახობად მოინათლება... საქართველო უპირველეს ყოვლისა!“

„როდესაც ათავისუფლებ „მოლოტოვის კოქტეილის“ მსროლელ დაკავებულებს; დედაქალაქის დამანგრევლებსა და წამბილწველებს; კანონი არ მოქმედებს პარლამენტის შენობის „შტურმავიკებზე“ და შტურმის წამქეზებლებზე; უკრაინიდან საგანგებოდ ჩამოყვანილ მებრძოლ ძალაზე და ა.შ.



ამ დროს კი პატიმრობა აქვთ მისჯილი საქართველოს ღირსების დამცველ ბიჭებს, აღარავის უნდა უკვირდეს, რომ „ოცნებას“ დასძახიან „მონებოოო“, მაგრამ ისინი არიან არა „ბიძინასა და პუტინის მონები“, არამედ კელი დეგნანისა და „ასო“-ების მონები, ისევე, როგორც აშშ-ის ბარძაყებსშუა თავამოჩრილი, დამონებული ევროკავშირი, რომელიც, ფაქტობრივად, აღარ არსებობს!“

„ნებაყოფლობით მონობა რომ ჩამიწერა კონსტიტუციაში მთავრობამ — ერთი კავშირიდან ძლივს დავაღწიეთ თავი, თქვე დალოცვილებო და მეორე გაუგებრობაში რატომ მიმათრევ? რისთვის ჩამიწერე ეს ყველაფერი კონსტიტუციაში? ქართველმა ბატონი რომ გამოიცვალოს თავი მართლა თავისუფალი რატომ უნდა ეგონოს, თუ ოდნავი აზროვნების უნარი მაინც შერჩენია?“

ყველაფერი ცუდი, მაგრამ რამენაირი განმარტების ღირსი მაინც აღარ არის საქართველოს უდიდესი უმრავლესობა, რომ ვინმემ აუხსნას: რატომ დაერქვათ „მშვიდობიანი მიტინგის“ მონაწილეები პოლიციაზე თავდამსხმელებს (მოლოტოვის კოქტეილებით, სხვადასხვა საგნების სროლითა და სიტყვიერი შურაცხოფით, შუა თითის ჩვენებითა და გინებით), მათ, ვინც ცეცხლის ალში გახვიეს პარლამენტი და რუსთაველის პროსპექტი წაბილწეს? ან რანაირად არის გაწერილი მსოფლიო კანონი, რომ თუ იგივე სხვაგან, „წინწასულ“ („პრადვინუტ“) ქვეყნებში ხდება, დასაგმობია და პოლიციამ მედუზასავით უნდა გაუერთიანოს ძვალ-რბილი, „ყვითელჟილეტიანი“ იქნება თუ ენის უდიერად შემბრუნებელი, ხოლო საქართველოში ეს დემოკრატიის დარღვევაა? „კატას ეჟვანს“ ვინ შეაბამს — სახეზე იყო ე.წ. „მაიდნის“ მოწყობისა და ლიბერასტულ-ბოლშევიკურ-კომკავშირული სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა. დავით აბულაძე დაუფარავად აცხადებდა: „რევოლუციაა საჭირო. სისხლი გვინდააა თუნდაც ორი გვამი იყოსსს... დამიჯერე, საჭიროააა გვამი გვინდაა პლუს ეს მიშას სიკვდილი საქმეს ჭირდება კონსტრუქციულააათ დაფიქრდით ასეა საჭირო“.

...და „ორი გვამის“ უბადლო შემსრულებელიც იქვე დამორმორებდა იდეით: „ვაპირებთ, დავიწყოთ მასობრივი საპროტესტო აქციები. ჩვენი მთავარი მიზანია მთავრობის შეცვლა და საქართველოში პროდასავლური, პროუკრაინული მთავრობის მოსვლაო“, თბილისში „მოლოტოვის კოქტეილების“ სროლით კი რუსეთს ებრძოდნენ. შარვლის ჩახდითა და რუსი სამხედროებისთვის უკანალის მიშვერით ბრძოლა თუ რუსეთთან ბრძოლაა, აქციის მონაწილეებსაც იგივე გაემეორებინათ, მაგრამ არა, ეს არ იყო რუსეთთან და ყურით მოთრეულ „რუსულ კანონთან“ ბრძოლა...

აშშ-ში შიდა ტერორისტებად გამოაცხადეს ტრამპის მომხრეები და ჩვენ ქართული წარმოშობის უცხო ქვეყნის აგენტებისთვის ხმა ვერ გაგვიცია უბატონოდ...

კი, მაგრამ უკაცრავად და, რა გამოაქვეყნა ოფიციალურ წყაროებზე დაყრდნობით **POLITICO-მ, ევროკავშირი მუშაობს კანონზე, რომელიც აიძულებს არასამთავრობო ჯგუფებს, საკონსულტაციო კომპანიებსა და აკადემიურ ინსტიტუტებს, გაამჟღავნონ დაფინანსება, რომელსაც ევროკავშირის გარედან იღებენო? აიძულებსო — მომესმა? სად არიან ახლა ჩვენი გულანთებული „შინ ევროპელები“, როდის ჩაუვარდებიან „ევროპეზში“ და აუყირავებენ ისედაც აყირავებულ ევროპას, რას ჰქვია „რუსულ კანონს“ იღებთო?**

დიახ, დიახ! სად არიან ჩვენი ნეობოლშევიკი და ნეოფაშისტი კრებსითი ლომჯარიები, სამნიძეები და კორძაიები? - პირველივე დღეს მიფარჩაკებული, თვითონ დასაცავი იოსელიანი რა სახსენებელია ამ „მამალ ქალებთან“...

საქართველოს ხელისუფლებავ! ახლა მაინც დაარქვით ყველაფერს თავისი სახელი, რადგან დამალვას არანაირი აზრი აღარ აქვს, ყველამ დაინახა, რომ მეფე შიშველია!!!

საქართველოს უდიდესი უმრავლესობა კი მაინც ჩვენსას გავაგრძელებთ, რაგინდ გვაწყენინოს „ოცნებამ“, დაველოდებით „ქართული ოცნების“ აღსრულებას და აზრს არ შევიცვლით, „დავითიანის“ კვალდაკვალ ვიტყვით: „მე, თუ გინდაც, თავი მომჭრან, ტანი გახდეს გასაბერად,/ ვინც არა ჰგავს კახაბერსა, მე ვერ ვიტყვი კახაბერად.“

**P.S.** ედუარდ შევარდნაძე უკვე ძალიან მოხუცი პავლე ინგოროყვას მონახულებას აპირებდა და სიძე, გუგული მგელაძე „ავარჯიშებდა“ მოხუცს: შევარდნაძე რომ გკითხავს, ხომ არაფერი გნებავთო, უნდა უთხრა, რომ ბინა გვჭირდება, ვიწროდ ვცხოვრობთ. მოახლოვდა შევარდნაძის სტუმრობის დრო და გამოცდა მოუწყო გუგულიმ სიმამრს, შევარდნაძედ წარუდგა. ისაუბრეს აქეთურ-იქეთურზე და „წასვლისას“ ჰკითხა: რამე სათხოვარი ხომ არ გაქვთო? პავლემ მიიხედ-მოიხედა და იკითხა: ჩემი სიძე აქ არისო? „შევარდნაძემ“ უპასუხა, არაო. მაშინ პავლემ უთხრა: „საქართველოს მიმიხედე, საქართველო! ესაა ჩემი სათხოვარი, მეტი არაფერი მინდაო...“

**ნინო დაუშვილი**

# მოდი, ყველამ ერთი მიზანი დავისახოთ: საქართველო უპირველეს ყოვლისა!



**— ბოლო 30 წლის განმავლობაში საქართველოს განადგურების მცდელობას უკვე მესამედ ვესწრებით და ეს, რატომღაც, „დემოკრატიისა და თავისუფლების“ საფარქვეშ ხდება. კარგად გვახსოვს, ჯერ კიდევ 1991 წელს როგორ მოუწოდა ზვიადმა ყველას, ნუ დააქცევთ საქართველოსო. ჩვენ კი გამსახურდია დიქტატორად შევრაცხეთ, მერე 2003 წელს ვარდების რევოლუციის შედეგი ვიწვნიეთ. ახლა კი ოპოზიციამ „დაუძინებელ მეგობრებთან“ ერთად, უკვე ორჯერ სცადა რევოლუციის მოწყობა...**

**ამ და სხვა საკითხებზე გვესაუბრება ანალიტიკოსი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ИГОР КВЕСЕЛАВА:**

— დიახ, სამხედრო გადატრიალება მოხდა და ჩვენი ქვეყნის უბედურებასაც სათავე დაედო. 30 წელია, ვცდილობთ, მოსეს გზით ვიაროთ, რასაც ვერ მივაღწიეთ. საქართველო განვითარებადი ქვეყანაა, ამიტომ დემოკრატიაც შესატყვისი უნდა ჰქონდეს.. მოწესრიგებული დემოკრატია და თავისუფლებაა საჭირო. როცა ასე არ არის, მაშინ დემოკრატია ქაოსისკენ გზაა, რაც ახლაც სახეზეა. სამწუხაროდ, ჩვენ სახელმწიფოებრიობის განცდა არ გვაქვს. დავითის და თამარის შემდეგ საქართველო ერთიანი აღარ ყოფილა. რაც შეეხება სახელმწიფო გადატრიალებებს თუ მათ მცდელობებს — რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების დროს, რატომღაც, აქცენტს მხოლოდ აგვისტოს ომზე ვაკეთებთ. რეალურად, რუსეთსა და საქართველოს შორის იყო ხუთი ომი, აქედან ოთხი — სახელმწიფო გადატრიალება. პირველი სახელმწიფო გადატრიალება 1799 წელს მოხდა, როცა რუსეთმა ქართლ-კახეთი მიიერთა. მეორე — 1805-10 წლების ომია, რაც ასევე სახელმწიფო გადატრიალებით — სოლომონ მეფის დატყვევებით დამთავრდა. 1810 წელს სოლომონი დაიჭირეს. იმერეთის სამეფო, როგორც ასეთი, გაუქმდა. მესამე — ეს არის 1820 წელს დაწყებული ომი, რომელიც 1824 წელს დასრულდა. აქაც სახელმწიფო გადატრიალება მოხდა — ეროვნული ხელისუფლება გაუშვეს და ბოლშევიკები მოიყვანეს. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ რუსეთმა გააკეთა ის, რაც არცერთ დამპყრობელს არ გაუკეთებია — მან სახელმწიფოებრიობა გააუქმა და საქართველო გუბერნიებად დაშალა, საქართველო რუსეთის ნაწილი გახდა, ხოლო გუბერნიის მმართველად საკუთარი წარმომადგენელი დანიშნა.

სხვათა შორის, რუსეთ-საქართველოს ომების, სახელმწიფო გადატრიალებების თემა ქართულ პოლიტიკაში მე შემოვიტანე. აქ უკვე საქართველო დამთავრდა. კი, ბატონო, სახელმწიფოდ იწოდებოდა, დროშაც გვქონდა, ემბლემაც, ჰიმნიც, მაგრამ საბჭოური ტიპის სახელმწიფოდ იქცა. სამშობლოდ საბჭოთა კავშირს წარმოვიდგენდით. ყველაფერი მოსკოვიდან იმართებოდა.

რაც შეეხება მეოთხე სახელმწიფო გადატრიალებას, ეს ზვიად გამსახურდიას სახელს უკავშირდება. 1991-93 წლებში დავკარგეთ აფხაზეთი, სახელმწიფო გადატრიალების დროს კი ზვიად გამსახურდიას, უცხო ჯარის დახმარებით, რუსეთუმე ძალები ჩაენაცვლა. დიახ, რუსეთის, ასევე, აშშ-ის მონაწილეობით, რაშიც ბეიკერმა ელცინთან და ბურბულისთან ერთად მნიშვნელოვანი როლი შეასრულა, სახელმწიფოს გადატრიალების გზით გამსახურდია ჩამოაგდეს.

მეხუთე, ეს იყო 2003 წლის



ვარდების რევოლუცია. შემდგომ იყო 2008 წლის აგვისტოს ომი, თუმცა, ამ შემთხვევაში, გადატრიალება ვერ მოხდა. გადატრიალების მცდელობა იყო 20 ივნისსაც, მაგრამ, საბედნიეროდ, ვერ მოხერხდა.

მიაღწევენ თუ არა ამჯერად მიზანს, მოხდება კიდევ ერთი გადატრიალება? — რთული სათქმელია. ყურადსაღებია ერთი ნიუანსი: ამ შემთხვევაში ოპოზიციონერი პარტიები გამოკვეთილად არ ჩანდნენ, თუმცა, პროცესს ხელმძღვანელობდნენ. ამ ვითარებაში ოპოზიცია მზად არ არის, ძალაუფლება ხელში აიღოს, რაც უნდა ადვილი მოსაპოვებელი იყოს.

ამერიკის როლი ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების გადატრიალებაში?.. როგორც უკვე აღვნიშნე, აშშ, უშუალოდ, ბეიკერი მონაწილეობდა. იგი მოსკოვში ჩავიდა, გორბაჩოვს შეხვდა, რა დროსაც შევარდნაძის თბილისში ჩამოყვანა გადაწყდა. ამაში მონაწილეობდნენ რუსებიც, რაშიც 65 მილიონი მანეთი დახარჯეს, რაც რუსეთის მაშინდელმა სახელმწიფო მდივანმა ბურბულისმა თავად აღიარა. ასე რომ, ამ პროცესში ორივე სახელმწიფო მონაწილეობდა, ასევე, ედუარდ შევარდნაძის გადატრიალებაშიც. გავიხსენოთ თუნდაც აქ ივანოვის ჩამოსვლა და სოროსის მნიშვნელოვანი როლი. სოროსი რევოლუციამდე შევარდნაძის მხარეს იჭერდა, მაგრამ მერე მას ხელისუფლებიდან წასვლაში „დაეხმარა“. დავსვათ კითხვა: როგორ მოვიდა ივანიშვილი ხელისუფლებაში, ვინ „დაეხმარა“ მიშას ხელისუფლებიდან წასვლაში? — რა თქმა უნდა, აშშ-ც და რუსეთიც.

ერთ საინტერესო დეტალზე გავამახვილებ თქვენს ყურადღებას: როცა მიშა მიხვდა, რომ პრეზიდენტად აღარ აირჩევდნენ ქვეყანა საპარლამენტო რესპუბლიკაზე გადაიყვანა და კონსტიტუციაში შესაბამისი ცვლილებები შეიტანა. ის წასვლას არც აპირებდა. მას ჰქონდა პროექტი 49/51-ზე, რითაც ხელისუფლებას შეინარჩუნებდა. ყოველივე ეს ცნობილი გახდა ერთ-ერთი ქართველი მინისტრისთვის, რომელიც აშშ-ის ელჩთან მივიდა და შექმნილი ვითარების შესახებ აუწყა. მაგრამ მერე კოაბიტაცია მოხდა. მიშას ამერიკელებმა უთხრეს: უნდა წახვიდე, იბრძოლე და ისე მოდი ხელახლა ხელისუფლებაშიო. მანაც დათმო. დღეს საპარლამენტო რესპუბლიკა ვართ, მაგრამ ეკონომიკურად, სოციალურად, კულტურის დონით რამდენად მზად ვართ ამისთვის?! საპარლამენტო რესპუბლიკა განვითარებად ქვეყნებში იშვიათია. განვითარებულ ქვეყნებშიც — ისრაელსა და იტალიაში დიდი გაწამაწიაა, პრემიერს წელიწადში ორჯერ ირჩევენ და ა.შ. ეს ადვილი არ არის.

ნიშანდობლივია, რომ ივანიშვილს ხუთი წელიწადია, ამერიკა საერთოდ არ უხსენებია. იცით, რატომ? — იგი არ არის ამერიკის სახელმწიფოს რჩეული. აქედან გამომდინარე, როგორ განვითარდება მოვლენები, რა პროცესების დასაწყისის მომსწრე ვხდებით, ძნელი მისახვედრი არ არის. სამწუხაროა, რომ ამ დრომდე ისევ გადატრიალებებზე ვსაუბრობთ. რა მოჰყვა წინა გადატრიალებებს, რევოლუციებს, ომები და ათასი უბედურება, ხომ?! გადატრიალებებმა ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური და ვერც მდგრადი სახელმწიფოს განვითარების თვალსაზრისით, სასიკეთო შედეგები ვერ მოიტანა. ყურადღება მიაქციეთ, საიდან დაიწყო ეს პროცესები? — ისევ ამერიკიდან და ევროპიდან. წარმოიდგინეთ, რა ხდება? — 577 ევროპარლამენტარი ჩვენთვის კანდიდატის სტატუსის მონიჭებას ეჭვქვეშ აყენებს და ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ ილაშქრებს. ამ მოვლენებს აშშ-ის ელჩის, ასევე, ევროპის 27 ქვეყნის გაფრთხილება უსწრებდა წინ: სააკაშვილი გაათავისუფლეთ, თორემ სტატუსს არ მოგცემთო. ევროპელი პოლიტიკოსების განცხადებები ქართული ხელისუფლებისთვის სასიამოვნო და სასარგებლო არ არის.

ამ აქციებზე საკმაოდ ბევრი ხალხი გამოვიდა. საინტერესოა, როგორ შეძლეს ათასობით ადამიანის ქუჩაში გამოყვანა?! ეს უცებ არ ხდება, რომ დაიძახო: აბა, ხალხო შევიკრიბოთო და ისინიც სპონტანურად აქციაზე დაიძრნენ! ამის უკან სერიოზული ძალა დგას, რომელიც პროცესებს ტექნიკურად მართავს, რაც კონკრეტული ადამიანების წინააღმდეგ არის მიმართული. ამ პროცესების უკან, პირველ რიგში, ამერიკა დგას. ჩვენ კავკასიაში ამერიკის დასაყრდენი ვართ. მას უნდა, მფარველად მოგვევლინოს. სამწუხაროდ, მთელი ჩვენი განვლილი ისტორია მუდმივად ვიღაცის მფარველობის ქვეშ ყოფნაა. რომელი ერთი ჩამოვთვალო: სპარსეთი, ირანი, ბიზანტია, მონღოლეთი, ოსმალეთი, რუსეთი და ა.შ. რა ამოძრავებს ამერიკას? — გავიხსენოთ ცნობილი გამონათქვამი: სახელმწიფოთა შორის არ არსებობს არავითარი მეგობრობა, არამედ არსებობს ინტერესები, ინტერესები და კიდევ ინტერესები.

**— ხელისუფლების ძალადობრივ ცვლას რა მოჰყვება? 90-იან წლებში ეს ხომ უკვე გავიარეთ, მაიდანიც ვნახეთ...**

— სახეზე გვაქვს „მაიდანის“ განმეორების მცდელობა. გავიხსენოთ, რა მოხდა 2014 წელს უკრაინაში. ასეთი რამ ისტორიას არ ახსოვს — ამერიკის სახელმწიფო მდივანი კიევში ჩავიდა და მოედანზე ხალხს ფუნთუშებს ურიგებდა. ეს მარტივი ამბავი არ არის. ჩემი აზრით, საქართველოს ხელისუფლებებმა — ვერც შევარდნაძემ, ვერც სააკაშვილმა და ვერც „ქართულმა ოცნებამ“ ეროვნული შერიგების, თანხმობის, ერთიანობის კუთხით ქმედითი ნაბიჯები ვერ გადადგეს. დიახ, გამოსავალი ეროვნული შერიგება, ერთობაა. მოდი, ყველამ ერთი მიზანი დავისახოთ — საქართველო უპირველეს ყოვლისა!

**— საუბრობენ, რომ ხელისუფლებამ კონსტიტუციის 78-ე მუხლი — ევროინტეგრაციისკენ სვლა, დაარღვია. როცა ვამბობთ, რომ ევროპული მომავალი საფრთხეშია, ამ დროს ჩვენი ოპოზიციონერების და არასამთავრობოების არაევროპული ქცევები არ გახსენდებათ?**

— სიმართლეს გეტყვით: როცა პრეზიდენტის (სააკაშვილი) ადმინისტრაციაში მრჩევლად ვმუშაობდი, უცხოურ დაფინანსებას ჩვენც გვთავაზობდნენ. ევროპის წარმომადგენლებს და არასამთავრობოებს ჩვენთან კონტაქტში შემოსვლა სურდათ, სანდო ადამიანებს ეძებდნენ — ფინანსები მათი იყო, მაგრამ აქ საქმეები ჩვენ უნდა მოგვეგვარებინა. დასამალი არ არის, რომ თანხას თავადაც იღებდნენ. ახლაც ასეა. მაშინ ასეთი შემთხვევა იშვიათი იყო. მეც მქონდა მსგავსი შემოთავაზება. ეს პროცესი მიშას დროს დაიწყო. პირადად მე ამაში არ ჩავები. ბევრი ჩაება და თანხების მოზიდვა შეძლო. ახლა ზოგი გაიძახის პრო-დასავლელი ვარო, ზოგიც ხელისუფლებას რუსეთისკენ სვლაში ადანაშაულებს. ჩვენ ბალანსირების პოლიტიკა უნდა შევინარჩუნოთ და ყველასთან ვიყოთ: რუსეთთანაც, ამერიკასთანაც, ევროპასთანაც.

**— რას ფიქრობთ, კანონმა „უცხოური გავლენის აგენტების რეგისტრაციის შესახებ“?**

— ამ კანონმა აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. ოპოზიციამ, ჩვენმა საერთაშორისო პარტნიორებმა, მას რუსული კანონი უწოდეს. კარგი იქნება, თუ „საერთო



გაზეთი“ გამოაქვეყნებს ამ კანონპროექტს. დაე, გამოქვეყნდეს ყველა ვერსია და ვიმსჯელოთ. ჩემი აზრით, კანონპროექტის შემოტანა იმიტომ მოხდა, რომ ხელისუფლებას არ უნდა, არჩევნების წინ ფულიანი, მდიდარი არასამთავრობოები ჰყავდეს, რომლებიც არჩევნებზე გავლენას მოახდენენ. ნჯო-ებს ფული რომ აღარ ექნებათ, ამდენ აგიტაცია-პროპაგანდას ველარ გასწევენ და ამომრჩეველზე ეკონომიკურ ზეგავლენას ვეღარ მოახდენენ. მეორე მხრივ, რუსებიც გამოფხიზლდნენ, ლავროვის, კარასინის განცხადებებს ვგულისხმობ. ეს საარჩევნო პერიპეტიები, ტექნოლოგიებია. კიდევ ვიმეორებ, გამოსარკვევია: ვინ მართავს სტუდენტებს, როგორ მიმდინარეობდა ეს პროცესი. წესით, ამის შესახებ, სპეცორგანოებს ინფორმაცია უნდა ჰქონოდათ. ხელისუფლება, რატომღაც, მოუმზადებელი აღმოჩნდა. ჯერ კანონი მიიღეს, მერე უკან გაიწვიეს. მათი პოლიტიკური გათვლა არ მესმის. მინდა გითხრათ, რომ ამ გაზაფხულზე, ასევე, ზაფხულშიც მოვლენები



ძალიან მწვავედ განვითარდება. აშშ და ევროპა, როგორც ჩანს, საქართველოში მათი მხარდამჭერი ძალების მოსაყვანად ემზადებიან. ამის საშიშროება რეალურია. ფაქტია, რომ არც ევროპა და არც ამერიკა „ქართული ოცნების“ მხარდაჭერას არ აპირებს.

**— სახელმწიფო გადატრიალება საქართველოს ომში ჩაბმას ხომ არ გამოიწვევს?**

— ასეთი მცდელობა არსებობს. გეთანხმებით, თუ ასე გაგრძელდა, შესაძლოა, ეს შედეგი მართლაც დადგეს. ხელისუფლებას მივმართავ: არ შეიძლება ასეთი ზღვარგადასული კამპანიის წარმართვა, თუნდაც მიშას მიმართ. მიმაჩნია, რომ მიშა ხელისუფლების თავის ტკივილია და სამკურნალოდ უნდა გაუშვან. დააკვირდით ერთ რამეს: აქციაზე სააკაშვილი არავის უხსენებია. რაშია საქმე? განა გამომსვლელებში მიშისტები არ იყვნენ?! ისინი გაფრთხილებულნი იყვნენ, რომ სააკაშვილის ხსენებით საქმე არ გაეფუჭებინათ, არც პოლიტიკურ პარტიებს ახსენებდნენ. ეს შემთხვევითი კი არა, არამედ საოცრად გათვლილი ნაბიჯი იყო. რაც შეეხება ომში ჩაბმას, ერთი წუთით დავუშვათ, რომ ამდენი ლანძღვის შემდეგ რუსეთი ჩვენს ტერიტორიაზე შემოვიდა. ვინ დაგვიჭერს მხარს? უკრაინის მიმართ მხარდაჭერა სხვა საკითხია. იქ სხვა ინტერესებია. რატომ გვავიწყდება, რომ რუსის ჯარი თბილისიდან 40 კილომეტრში დგას! ვინმეს ჰგონია, რომ საფრთხის შემთხვევაში ევროპა აქ ჯარს გამოგზავნის? არც დასავლეთის, არც რუსეთის ზედმეტი ქება ან ძაგება არ შეიძლება. ზოგი რუსეთს ლანძღავს, ზოგი — დასავლეთს. პატარა სახელმწიფოსთვის, დიპლომატიური ურთიერთობებისთვის ეს მიუღებელია. სახელმწიფოს შენიანებად და სხვისიანებად დაყოფა არ შეიძლება. ყველას აზრი უნდა გავითვალისწინოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, საქართველო საკუთარ გზას ვერ გაიკვლევს. ქართულმა პოლიტიკამ ვერ გაითავისა, რომ, რასაც დათესავენ, იმასვე მოიმკიან. **ამ ეტაპზე ხელისუფლების პანდორას ყუთი გახსნილია, სადაც მხოლოდ ერთი უცოდველი ბინადარი — იმედილა დარჩა. დიახ, ქართველმა საზოგადოებამ იმედი არ უნდა დაკარგოს. ახალგაზრდობა ითხოვს, რომ მათი ხმა ხელისუფლებამ გაიგონოს.** ახალგაზრდობამ ხელისუფლების თავზე დაკიდა დამოკლეს მახვილი... ეს პროცესი გვაწყობს?

— არც მე და არც საზოგადოების დიდ ნაწილს ეს არ აწყობს, მაგრამ პროცესი დაიძრა, ლოდი დაგორდა და მისი შეჩერება ძნელი იქნება. ქართველებო, შერიგებისკენ გზების ძიება დავიწყოთ, თორემ რუსეთისა და დასავლეთის „დახმარებით“ მძიმე შედეგებს მივიღებთ. ნურავის ექნება იმედი, თუ რუსეთი ჩვენკენ გამოიწევს, ჩვენ ვინმე მოგვეშველება. არც ამ მთავრობის დასახმარებლად გაანძრევს ვინმე ხელს, შეიძლება, ყველაფერი პირიქით მოხდეს.

**— იმისთვის ხომ არ გვსჯიან, რომ ხმამაღლა განვაცხადეთ: ჩვენი თავი ჩვენადვე უნდა გვეყუდნოდესო.**

— ვისჯებით იმისთვის, რომ ამ ვითარებაში რუსეთისკენაც გავიხედეთ, მაგრამ განა სხვა გზა გვაქვს?! ხომ გახსოვთ, 2008 წელს, აგვისტოს ომის დროს ამერიკამ წყალი გამოგვიგზავნა და ეს იყო მისი „დახმარება“. კიდევ იცით, რისთვის ვისჯებით? — იმისთვის, რომ „ქართული ოცნების“ სახელმწიფოებრივი პოლიტიკა არც საგარეო და არც საშინაო მიმართულებით გამართული არ არის.

**— აქციების დროს გაჟღერდა, რომ ერი გამოფხიზლდა და ისტორიის სწორ მხარეს დადგა...**

— აქცენტი ახალგაზრდობაზე გაკეთდა. სპეციალურად სტუდენტები გამოიყვანეს სხვადასხვა უნივერსიტეტებიდან. მათ თქვეს: მამები სახლში დარჩნენ, ჩვენ კი აქ ვართო. ახალი თაობა გვეუბნება: ჩვენ უნდა მოვიდეთ, გამოგვიყენეთო. რა გითხრათ, ძალიან რთული სიტუაციაა. ბევრი ხალხი გამოვიდა, თან მხოლოდ თბილისიდან. თქვენ ახლა ძალიან საინტერსო კითხვა დასვით, რასაც პასუხი სჭირდება. ჩემი აზრით, ხელისუფლება და ოპოზიცია მოლაპარაკების მაგიდასთან უნდა დასხდნენ და იმსჯელონ, თუ როგორ იხსნან საქართველო იმ მდგომარეობიდან, რაშიც არის ჩავარდნილი. ესენი «Лебедь, рак и щука»-სავით არიან. ასეთი რამ არასდროს მომხდარა. პრეზიდენტი და მთავრობა სხვადასხვა მესიჯებს ახმოვანებენ. სახელმწიფოებრივი მიდგომაა საჭირო. ქვეყანაში ეროვნული სახელმწიფოებრივი პოლიტიკური ხაზი უნდა გატარდეს. მე საქართველოს, ხელისუფლების წინააღმდეგი ვერასდროს ვიქნები. ხელისუფლებას, უბრალოდ, რჩევას ვაძლევ. გამსახურდია ამბობდა: ჩვენ უნდა ვითანამშრომლოთ ყველასთან, მაგრამ ცალსახად არც რუსეთს მივებათ, არც ამერიკას და არც ევროპასო. ასე რომ, უპრიანი იქნება, ყველასთან ვითანამშრომლოთ და ყველა გამოვიყენოთ ისევე, როგორც ისინი იქცევიან. საქართველო, ზოგადად, კავკასია დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის ხიდი, დერეფანია, რომელიც სამყაროსთვის ძალზე მნიშვნელოვანია. ახლა, შეიძლება, ძალიან გამაკრიტიკონ, მაგრამ მიმაჩნია, რომ ჩვენ რუსეთთან დიალოგი უნდა დავიწყოთ და გავარკვიოთ, მას რა უნდა. სხვათა შორის, რუსეთის დუმაში უკვე გაიჟღერა საქართველოს წინააღმდეგ ომის თემამ. კიდევ კარგი, ჟირინოვსკი ცოცხალი არ არის, თორემ, ალბათ, უარესს იტყოდა. ჩვენ უნდა გავიაზროთ, რომ დიალოგი მტერთანაც შეიძლება. მასაც კავკასიაში თავის მიზნები აქვს. და, რაც მთავარია, ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ, რომ სხვების მოსაზრებებზე ნაკლები ვიფიქროთ და ჩვენი ქვეყნისთვის — საქართველოსთვის, საქართველოსთვის, საქართველოსთვის ვიბრძოლოთ! აი, რა არის მთავარი!

**თამარ შველიძე**
555 23 28 24

# ქიჭე რომ აღმაშენებელზე ლაპარაკობს, მე მრცხვენია



**ჩვენ ვნახეთ ყველაფერი და ვიცით, ვინ არის „რუსის“ და ვინ არა: ვინ გაასხვისა სტრატეგიული ობიექტები რუსებზე; ვინ აჩუქა ტერიტორიები; სად წავიდა ამერიკული არსენალი; ეს ყველაფერი ვინ გაატანა რუსებს. ამ და სხვა თემებზე საუბრობს "საქართველოს აზერბაიჯანელთა ეროვნული კონგრესის" თავმჯდომარე ალი ბაბაევი. ის საქართველოში ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებს აფასებს. მისი თქმით, რეგიონში არსებული რთული ვითარების ფონზე, საქართველოს ხელისუფლება გამოწვევებს ღირსეულად უმკლავდება.**

— პირველ რიგში, მინდა ჩემი მეგობარი, ღირსეული ქართველი, ბატონი ვახტანგ ხარჩილავა მოვიხსენიო და უფალს მისი სულის ცათა სასუფეველში დამკვიდრება შევთხოვო. 17 მარტი ამ დიდებული ადამიანის, ნიჭიერი შემოქმედის და საზოგადო მოღვაწეს, ქვეყნის პატრიოტის დაბადების დღეა და მინდა, მივულოცო მას ეს დღე ზეციურ საქართველოში, მის გზას კი ღირსეული გაგრძელება ვუსურვო...

გეოპოლიტიკური სიტუაცია მთელ რეგიონში მძიმეა, უკრაინა-რუსეთის ომი, მიწისძვრა თურქეთში, სომხეთ-აზერბაიჯანის მრავალწლიანი დაპირისპირება... ეს ყველაფერი დაძაბულ ფონს ქმნის და, გარკვეულწილად, ჩვენი ქვეყნის სტაბულურ განვითარებაზეც აისახება. თუმცა, გარეშე და შიდა მტერების მცდელობის მიუხედავად, ქვეყანაში მშვიდობასა და სტაბილურობას ვინარჩუნებთ, გვაქვს ეკონომიკური მიღწევები, რაც იმას ნიშნავს, რომ ქვეყანა სწორი გზით მიდის.

**— ბატონო ალი, აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის დაპირისპირება წლებია, გრძელდება, თუმცა ბოლოდროინდელი პროგნოზი, როგორც ვიცი, საიმედოა... რა ეტაპზეა ახლა ამ ორ ქვეყანას შორის მოლაპარაკება?**

— უთანხმოება ორ ერს შორის ჯერ კიდევ 90-იან წლებში დაიწყო და საქმე იქამდე მივიდა, რომ, როგორც საქართველომ, აზერბაიჯანმაც ტერიტორიების გარკვეული ნაწილი დაკარგა. რა თქმა უნდა, ამის უკანაც რუსული პოლიტიკა იდგა. აზერბაიჯანშიც იგივე ტრაგედია დატრიალდა, რაც აფხაზეთსა და სამაჩაბლოში, რის საფუძველზეც მილიონამდე აზერბაიჯანელი სამშობლოდან იქნა განდევნილი. იმ პერიოდში მსოფლიოს წამყვანი ქვეყნები არ იყვნენ დაინტერესებული მსგავს კონფლიქტებში ჩარევით და ასე გახდა 30 წლის განმავლობაში აზერბაიჯანელი ხალხი სეპარატისტული რეჟიმის მსხვერპლი...

2020 წლის ზაფხულში კი, აზერბაიჯანმა ფართომასშტაბიანი ანტიტერორისტული ღონისძიება ჩაატარა თავის მიწაზე. სეპარატისტების მიერ დაკავებულ ტერიტორიებზე (მთიანი ყარაბაღის მხრიდან) 44-დღიანი ბრძოლის შედეგად, აზერბაიჯანმა მთლიანად დაიბრუნა ტერიტორიის 7 დაკარგული ნაწილი და ქალაქი შუშა. სომეხი სეპარატისტები განდევნეს და სომხეთმა, რუსეთთან შეთანხმებით, კაპიტულაციას მოაწერა ხელი. პუტინის, ალიევისა და ფაშინიანის მოლაპარაკების შედეგად, ვალდებულება იქნა აღებული, რომ სეპარატისტულ ბანდფორმირებას დაეტოვებინა აზერბაიჯანის ტერიტორია. ანუ, მათ აღიარეს აზერბაიჯანის ტერიტორიული მთლიანობა.

დაიწერა ოთხი რეზოლუცია ჩარჩო-ხელშეკრულების ფარგლებში, აზერბაიჯანის ტერიტორიის მთლიანობასთან დაკავშირებით. უკვე მესამე თვეა, აზერბაიჯანული რესურსი ქვეყნიდან აღარ გაედინება. დღესდღეობით მშვიდი სიტუაციაა. კონფლიქტის მოგვარების მთავარი ამოცანაც ეს არის, რომ რეგიონში იყოს მშვიდობა. ამის მისაღწევად, საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება, სომეხ და აზერბაიჯანელ ხალხთან ერთად, ყველაფერს აკეთებს.

11 გვ. →



# თესლები, ასოები და „ასო“-ები




**„— ბიჯო, საქართველო რა მაგრად ჰგავს საზამთროს, არა?**

**— საზამთროს?**

**— დასტურ! ისეთი მიმზიდველია, იფიქრებ, იფ, ჩავიტკბარუნებ პირსო, მაგრამ რათ გინდა, შიგნით სულ თესლები და თესლები!**

**— მე ეგ ამბავი, ქუთაისში რომ პარლამენტი იყო, იმაზე ვიცოდი...**

**— რომელიმე ტყუილია თუ?!“**

**ქართული ხალხური დიალოგი**

* * *

ქუთაისის პარლამენტი, საქართველო, საზამთრო და თესლები იმ პლაკატმა გამახსენა, სოციალურ




ქსელში „რუსული კანონის“ წინააღმდეგ გამართულ საპროტესტო აქციაზე გოგონას რომ დააკავებინეს ხელში.

კი, მიხვდები კაცი, რას გულისხმობდა ამ პლაკატის „დიდი შემქმნელი“, მაგრამ ვინ შემედავება — თესლები ვართო, საქართველოში რომ იძახო, მთლად კარგად არ იკითხება და არ ისმის. ნოდარ დუმბაძის „თეთრი ბაირაღები“ გაახსენდება აუცილებლად წიგნის მკითხველს, დევდარიანისა და გოგოლაძის დაპირისპირების ეპიზოდი, „ლიმონა“ რომ ეუბნება, შენს საქმეში გასული გვარამაძე დამპალი თესლიდან არის ამოსულიო; შენც დამპალი თესლის ნაყოფი ხარო. გოგოლაძე რომ შეეტლიკინება, არც შენ ხარ ანგელოზი და ოქროს თესლიდან აღმოცენებულიო,

„ლიმონა“: „ვინ გითხრა, რომ ანგელოზი ვარ და ოქროს თესლიდან აღმოცენებული? მე ერთი უნაყოფო კაცი ვარ, მოვკვდები და დევდარიანების ეს შტოც მოკვდება. შენ კი ის არ გყოფნის, ორი შენსავით ნაბიჭვარი რომ გეზრდება; აქედან რომ გახვალ, ცოლის გაშვებას და ვიღაც სირანუშას მოყვანას აპირებ, გემრიელი ტოლმა რომ ჭამო და ახალი ნაბიჭვრები აჩინო...“

„ლიმონა“ რასაც პასუხობს, ის არის მნიშვნელოვანი — თესლი რომ ხარ, ადამიანად უნდა აღმოცენდე, თესლად არ უნდა დარჩე, მით უმეტეს, დამპალ თესლად...

მოგეხსენებათ, ეს ახლადაგორებული სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა, გნებავთ, „მაიდნის“ მოწყობის მცდელობა, ასო-ების (არასამთავრობო ორგანიზაციების) მათთან გაიგივებული ძღვენიჭამიებისა და ძღვენისგამცემების გაგულისების ფორმატი და, შესაბამისად, გამოხატვაც მათთვის მისადაგებული იყო: ფრიად „ხატოვანი“ — ვეღარ გაიგებდი, ვინ თესლი იყო, ვინ — ასო. „ტაბულა ბიცოლა“, იგივე „მანგუსტა“ „ეკოლოგიურ კატასტროფაში მოყოლილ ფრინველს“ იგივე „ჭიჭეს“, იგივე „ჯუნიორას“ დაჰკიოდა, ისეთი „ასო“ ხარ, ნი გავარიო!

ეს კოტე ყუბანეიშვილიც მთლად გამოიმასქნა, ვეღარ გაიგებს პატიოსანი ადამიანი, საით უბერავს, ოღონდ ერთად შეკრებილი ბევრი ხალხი დაინახოს და მსმენელ აუდიტორიას დანატრებული, ეგრევე „ლექსავს“:

**„ბოზები შეკრულები არიან**
**ჯიგრები გახსნილები**
**ომი პერფორმანსია**
**ბრძოლა ცეკვა**
**როცა თესლი ხარ,**
**ვერ დაგმარხავენ**
**რადგან ამოხვალ**
**დაუსრულებლად.“**

ეგ კი არა, 8 მარტის მილოცვა გართულდა: „ვითომ პატრიოტო, 8 მარტი რუსული რომ არის, ვითომ არ იცი?! მიულოცე შენს ფანებსო“, — გაგულისდა ქალი და კაცმა მიუგო: „8 მარტი საერთაშორისოა, ქალბატონო. რუსული არის „იდი ნა ხუიო,“ — იმდენი ვიცინე ამ ჯენტლემის სხარტ პასუხზე, თავი ამტკივდა.

ემზარ პაქსაძემ ცალკე მაცინა: „რუსთაველზე, ერთ-ერთ ჩასახვევთან ორ პოლიციელთან ვიღაც რუსულენოვანი ქალი მივიდა და თავაზიანად იკითხა, აქ რა ხდებაო? 8 მარტს აღვნიშნავთო — მიუგო ერთ-ერთმა. ამდენი ხალხიო? კი, ჩვენ ყოველთვის ასე აღვნიშნავთო, — გაანათლა მეორემო“.

ასეთი რყევის შემდეგ, ჩანს, მხოლოდ მე არ ვარ ნართაულებისა და ერთგვარი ოხუნჯობის ხასიათზე. აგერ, ვიღაცამ ჩამოგვიწერა:

„რა გვასწავლა აქციების დაშლის პრაქტიკამ და რა უნდა გავითვალისწინოთ მომავალში: 1. იწყებენ წიწაკის სპრეით. ამ დროს წინა როგებში, სპეცრაზმისკენ დგებიან მეგრელები; 2. როცა უკვე შეუძლებელი ხდება სუნთქვა, წინა რიგებში ინაცვლებენ: რუსთაველები, კასპელები, ზესტაფონელები და ჭიათურლები; 3. წყლის ჭავლს რომ გამოუშვებენ, წინა რიგებში ინაცვლებენ ბათუმელები; 4. როცა შემაწუხებელ სირენებს რთავენ, ამ დროს ინიციატივას ხელში იღებენ გურული ქალების ქმრები; 5. როცა სპეცრაზმი იწყებს დარბევას და ვხედავთ, ფიზიკურად ვერ მოვერევით, ამ დროს ქუთაისელები უდგებიან წინ და „ებაზრებიან“; 6. თუ არაფერი ჭრის და გაზს, წყალს, იარაღს ერთად იყენებენ, უტევენ სვანები, მთიულები, ხევსურები, ხოლო გორელები მოულოდნელად ესხმიან თავს ტროტუარებიდან. ძალა ერთობაშია!“

მეზობელი რომ მყავს, ერვანდა, გამტკნარებული სახით ჩამეკითხა: სად ხართ ოშხერელები ამ ჩამონათვალშიო და დიდი ფიქრის მერე ვუპასუხე, რომ არც კახელები ჩანან, ქვე შენი ჭირიმე-მეთქი... ისინი ხაშლამასა ჭმენ და არა სცალიანთ, თქვენაო? ჩვენ ხვანჭკარის ბოლლიწოსა ვჭამთ, ქვე შენი ჭირიმე და დინჯად ვარკვევთ, რა სახის გადამდები სენია ეს „რუსული კანონი“, კოვიდისკენ იხრება თუ ტრიპერისკენ, რატომ გადაედო ასეთი სისწრაფით ჩვენი გაფართხალება-მიჟიმვისთანავემეთქი. იმდენი იცინა, დაავიწყდა, რის სათქმელად მოვიდა, ძლივსღა გაიხსენა: ჩვენი მიჰას სიკვდილი რათ გადაიდოვო? გავარიატ, ეგრე თქვა, რა ტყუილად მაშიმშილეთ, ერთი თქვენი კარგიცო, ჰოდა, ბასტურმა და სუჯუხის ჭამა დაიწყოვო.

ხომ ვერ დავაკმაყოფილე ერვანდას ინტერესი: ზურაჯან, ეხლა კანადა რომ მიიღებს მაგ „რუსულ კანონს“ და იქიდან რომ „კაპიროვკით“ გადმოვიღოთ, მაინც რუსული იქნებაო? საბერძნეთიდან გადმოღებულიცო? ჰოოოო-მეთქი. ტო, ლენინაკანიდან მითხრეს, „ბეზ პიწი მინუტ“ ყველა ევროპამ უნდა მიიღოს ეგ „რუსული კანონი“ და ეგ ჰამბავი როგორ იქნება, მაგნები მერე იმიტომ არ მიგვიღებენ, პარიზში რო ეგ კანონი არ გვექნებაო? ეგრეა-მეთქი. აჰა, ზნაჩიტ, ამ „ოცნებას“ დიდი გოთვერნები ჰყამს, იცოდნენ, რო ეგ კანონი უნდა მიეღო ევროპებს და ამათ დაასწრებინეს, რო მასხრად აეგდოთ და თან ბუნტი მომხდარიყო, სპეციალნად „ჩაგვიდეს“ ეგ კანონი, აი, პლანის პონტში, რააა... ეეეე, ის უცხვირო კაროჟნა იმიტო ამბობდა, „ოცნება“ ვერ ეღირსება ევროკავშირსო, მოლ, ჩვენ შევიყვანთო? ბუნტი, რამე, ამათი გადაგდება, იმათი მოსვლა და შიგ ევროპაში ვიქნებოდით? მე პრადედუშკა მყამდა საფრანგეთში, იქა მარხია — კარგია, ვნახამ, — დასკვნა დადო ერვანდამ.

ისე, მაგრად უხერხულად რომ არ ვიყოთ, ჩურჩხელები და ლელვის ჩირი მაინც გავუგზავნოთ „ვენეციის კომისიას“, რა ვიცი, შევაწუხეთ ტყუილად და...

არადა, ვიღაცები უკვე ცალ ფეხზე დგანან, ვიღაცებს კი უხარიათ, რა მაგარია აქ (პარლამენტის წინ, „მშვიდობიან“ აქციაზე), ერთმა თქვა ჩავიკუზოთ და ყველა ჩავიკუზეთო; რათ გვინდა „კანონის“ წაკითხვა, ამერიკა ამბობს, რომ რუსულია, ესე იგი რუსულიაო — ასეთი ხალხი კაიფშია , თუ დაბადებიდანვე დაბოლილები არიან?

„ცისფერი მთები, ანუ ტიან-შანი“ გამახსენდა, სოსოს ნაწარმოების განხილვა რომ არის და არავის აქვს წაკითხული — ტაში გენიალურ სცენარისტებს და რეჟისორს!

ის ტიპი მთლად „იმედის ბუკეტი“ იყო, აქციის დაშლის დროს ჟურნალისტს რომ ეკითხებოდა გამწარებული, „ხაბეიშვილი სად არის, ხაბეიშვილიო“? — ხაბეიშვილი რომ იმედად გეგულება და შენი დირიჟორია, რომელი ევროპა გინდა, საით არის ევროპა, ევროპას აზიისგან გამოყოფით რუკაზე მაინც თუ მოხაზავ, ვიღაცა ხარ...

ღორის თავების მიტანა რაღა იყო, „ხალადეცი“ მადაზე მოსული მიჰასთვის უნდა შეეგზავნათ, თუ რას ნიშნავდა, ვერ ჩავწვდი ამ გემრიელ სიმბოლოს...

ხაბეიშვილის, ჭიჭე ვაშაძისაა და სხვა ასოებისა და „ასო“-ების დაძახილზე რომ გაენთები, საკუთარ დედაქალაქს დალეწავ, ცეცხლს წაუკიდებ, „ასო, ასოს“ გაიძახი და 2+1 გვამი გინდა ევროპაში შესასვლელად, შენ თავად ხარ ვიღაცა, ხარ ასოც და ის თესლიც, საშველი რომ არ ადგება...

2016 წელს არის დაწერილი „თბილისის ფორუმზე“, მაგრამ ყავლი არ გასდის: „ფაქტი ფაქტია! მონოლითური პარტია, რომელსაც მთელი ქვეყანა ხელში ეჭირა თავის ფულიან-ჯარიან-ზონდერებიანად; რომელსაც მაქსიმალურად ლობირებდა დასავლეთი თავის ამერიკიან-ევროპიანად, ამ ჭორვილელმა ხიხომ წამოგიჭიმათ სიკოს პრეზერვატივივით. ეგაა, რომ გაგიჟებთ, იმის აღიარება, რომ თავი მეგატვინები გეგონათ და სინამდვილეში ყოფილხართ ბანძები. შინაგანი ბოღმა და საკუთარი ხელმოცარულობა გაგიჟებთ. რატომ, იცით? იმიტომ, რომ, რაც თქვენი მიღწევა გგონიათ, სინამდვილეში, დასავლეთის მიერ მორთმეული და ჯიბეში ჩატენილი იყო და როცა თქვენს ჭკუაზე მიგიშვეს, ვერ შეირგეთ, იმიტომ რომ ხიხოები, ჰარიფები, ქაჯები და ბანძები ხართ.

ძალადობითა და ტერორით ნებისმიერი მთავრობა დადებს სწრაფ შედეგს, მაგას არ უნდა დიდი ფილოსოფია. ამ ელემენტარულ მოცემულობას ვერ ხვდებით და კიდევ პრეტენზიები გაქვთ!“

კარგად ჩამოარაკრაკა ლალიკომ:

მანქანების დაწვა — ფრანგული პროტესტი.

საბავშვო ბანაკის ჩახოცვა — ნორვეგიული პროტესტი;

სამეფო ოჯახის გაწყვეტა — რუსული პროტესტი;

მთავრობის დახვრეტა — რუმინული პროტესტი;

მაიდანი და ნგრევა— უკრაინული პროტესტი;

სკოლების ჩაცხრილვა — ამერიკული პროტესტი;

ლიდერის ჩაქოლვა — ლიბიური პროტესტი;

ელჩის შეჭმა — აფრიკული პროტესტი.

არ ჩამორჩე, განაგრძე მსოფლიო ისტორია...



# ჭიჭე რომ აღმაშენებელზე ლაპარაკობს, მე მრცხვენია...

← 9 გვ.

საქართველოს ხელისუფლების მოლაპარაკების შედეგად, შედგა თბილისში აზერბაიჯანისა და სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრა, ჩვენი პრემიერ-მინისტრის შუამდგომლობით გაათავისუფლეს სომეხი სეპარატისტი მძევლები და აზერბაიჯანს გადაეცა რუკა, სადაც აღიარებული იქნა მისი ტერიტორიული მთლიანობა. ბოლო დროს კი, მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციაზე, პირველად ისტორიაში, სამი რესპუბლიკის: რუსეთის, აზერბაიჯანისა და სომხეთის მეთაურების ერთობლივი შეხვერდა გაიმართა, სადაც ასევე, საქართველოს, როგორც ერთ-ერთი ყველაზე მშვიდობისმყოფელი ქვეყნის როლი გამოიკვეთა...

**— ვნახეთ ოპოზიციის რეაქცია, “უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ” კანონის გამო... კანადის პარლამენტიც ანალოგიური კანონის განხილვას აპირებს... და რა გამოდის, კანადასაც “რუსული კანონის” მიღება სურს?**

— რეალობა ისაა, რომ მთავარ ოპოზიციურ ძალად წოდებულმა “ნაციონალურმა მოძრაობამ” დღემდე ვერ გადაიტანა, რომ უბრძოლველად გადააბარა ხელისუფლება “ქართულ ოცნებას” 2012 წელს. დღემდე აქვთ გულში ბოღმა და ამიტომაც, წელიწადში რამდენჯერმე, სხვადასხვა მანიპულაციით ცდილობენ, “გადატრიალება მოახდინონ”. მათი მიზანი და ამოცანა ამჯერადაც ნათელი იყო...

ესენი არიან ადამიანები, რომელთაც გამუდმებით სისხლი და ტერორი სწყურიათ. მოენატრათ ის, რასაც 9 წლის განმავლობაში აკეთებდნენ და ყველაფერს კადრულობენ მიზნის მისაღწევად. მათ შორის, განუბაჟებელი ტვირთით კრიმინალი ყოფილი პრეზიდენტის შემოპარება, რითიც არეულობის მოხდენა სურდათ ქვეყანაში, მაგრამ არ გამოუვიდათ და სხვადასხვა მეთოდით მანიპულირება დაიწყეს.

ბევრი არასამთავრობო ორგანიზაციისთვის მიუღებელი იქნებოდა ეს კანონი, რადგან გამჭვირვალე გახდებოდა მათი ფინანსები. ენჯეოების უმეტესობა უზარმაზარ გრანტებს იღებს იმისათვის, რომ სახელმწიფოს და ხალხის წინააღმდეგ იმოქმედოს, ნაცვლად იმისა, რომ ქართველი ხალხის ინტერესები დაიცვან... იმ არასამთავრობოებმა, რომლებიც არჩევნების დროს ხელისუფლებას აკრიტიკებენ, იმპიჩმენტს უცხადებენ და ხელისუფლების წინააღმდეგ ყველაფერს აკეთებენ, ნუთუ ვერ დაინახეს ის ბარბაროსობა, რასაც აქციის მონაწილეები სჩადიოდნენ? როგორ ექცეოდნენ პოლიციას, როგორ მოექცნენ ახალარჩეულ ომბუდსმენს? — თავს დაესხნენ ადამიანს, როცა ის ხალხთან დასალაპარაკებლად მივიდა... ამ შემთხვევაში არ დაირღვა ადამიანთა უფლებები? რატომ არავინ გამოვიდა და არ გააპროტესტა ომბუდსმენზე თავდასხმა?

რუსი და რუსული კანონიო, რომ გაჰყვირიან, მიკვირს! ნუთუ ამ ადამიანებს სინდისი საერთოდ არ გააჩნიათ?! ფიქრობენ, რომ ეს ქვეყანა ჩალითაა გადახურული? ხალხი ვინ ჰგონიათ? — ჩვენ ვნახეთ ყველაფერი, ვინ იყო “რუსის” და ვინ არა, ვინ გაასხვისა ამდენი სტრატეგიული ობიექტი რუსებზე და ვინ ჩააგდო რუსეთის ხელში! ბენდუქიძე ვინ იყო, ვისი კაცი იყო? ანდა, რუსებს ვინ აჩუქა 2008 წელს ლენინგორი, კოდორის ხეობა?! სად წავიდა ის სიმდიდრე, ამერიკული არსენალი, რაც რუსებმა წაიღეს სენაკის ბატალიონიდან?.. ეს ყველაფერი ვისი ხელით გასხვისდა? ვინ გაატანა რუსებს? — სწორედ იმ სააკაშვილმა, მერაბიშვილმა, კეზერაშვილმა, ახალაიებმა... ვინც დღესაც დესტაბილიზაციას ქმნის ჩვენს ქვეყანაში.

ნაძირალა “ნაცებო”, გნახეთ, როგორ გარბოდით 2008 წელს საზღვარზე. ქართველმა ხალხმა კარგად იცის, ვინ ვინ არის! ზუსტად თქვენი დამსახურებით დავკარგეთ ყველაფერი და დღეს ისევ თქვენ გინდათ ქვეყანაში დესტაბილიზაცია!

**გამუდმებით რომ გვტუქსავენ უცხოელი დიპლომატები მათთვის მიუღებელი გადაწყვეტილების გამო, საინტერესოა, კანადის ხელისუფლებასთანაც რაიმე პრეტენზია ხომ არ ექნებათ ამ კონკრეტულ შემთხვევაში?**

ვინაა ამერიკის ელჩი, რომელიც ჩვენი ქვეყნის ხელისუფლებას ჭკუას ასწავლის? თუ ისინი აღიარებენ ჩვენს ტერიტორიულ მთლიანობას, ჩვენს დამოუკიდებლობას, მაშინ მათი ჭკუის სწავლება არ გვჭირდება. ჩვენ გვინდა სტაბილურ ქვეყანაში ცხოვრება, გვინდა ევროპაში ინტეგრაცია, გვინდა, დაინახონ და დააფასონ ყველაფერი, რაც კარგი გვაქვს. მათი ლიბერალობა, ლგბტ-ები და ნარკომანები, რომლებიც რამდენიმე დღის წინ, პარლამენტის წინ ვნახეთ, ჩვენ არ გვაინტერესებს. არ თქვათ, რომ ის ვანდალები, ვინც სახელმწიფო ქონებას ასე მოექცა, ვინც “მოლოტოვის კოქტეილებს” ისროდა და პოლიციას შეურაცხყოფას აყენებდა, ნარკოტიკული თრობის ქვეშ არ იყვნენ!.. ვინ არიან ეს ქაჯები? სირცხვილი არ არის? ხომ უყურებდა ევროპა ამას? ასეთი “სტაბილურობა” უნდათ საქართველოში?



**ვანო მერაბიშვილი უკრაინელ ჟურნალისტთან, სადაც ის კონკრეტულ “გეგმაზე” საუბრობს და არც თბილისურ მაიდანს გამორიცხავს. აქვე აღნიშნავს, რომ მხოლოდ მიშას შეუძლია, “ივანიშვილის რეჟიმი ნახევარ საათში დაასრულოს”... ლოგიკურია, რომ ამ აქციების უკანაც მერაბიშვილი დგას...**

— მინდა ერთი რამ აღვნიშნო, ძალიან დიდ პატივს ვცემ უკრაინელ ხალხს, მაგრამ, როგორ უნდა ვუწოდო ზელენსკის ხელისუფლებას “მეგობარი”, როცა ეს ხალხი ყველანაირად ცდილობს, რუსეთის წინააღმდეგ ომში ჩაითრიოს საქართველო. ან ის როგორ გავიგოთ, რომ აქედან გაქცეული კრიმინალები, რომლებსაც პატიმრობა აქვთ მისჯილი ჩვენს ქვეყანაში, მიდიან და უკრაინის სახელმწიფო სტრუქტურებში მუშაობენ. როცა უკრაინაში ომი დაიწყო და აქედან ესენი, ვითომ ვაჟკაცები ჩავიდნენ: ოქრუაშვილი, მერაბიშვილი, ვაშაძე... ეს რომ აღმაშენებელზე ლაპარაკობს, მე მრცხვენია... ასეთ სადისტ ადამიანებს რა უნდათ საქართველოს ხელისუფლებაში, ან რისთვის “ემეგობრება” ამ კრიმინალებს უკრაინა? ამათი ადგილი ფაშისტი სააკაშვილის გვერდითაა...

არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, რას იტყვის მერაბიშვილი. ცუდი ისაა, რომ ის კვლავ და კვლავ აკნინებს თავის სამშობლოს მეზობელი ქვეყნის თვალში, თორემ სააკაშვილი რისი დამბრუნებელი და “გადამტრიალებელია”, ყველამ ვიცით!

“ნაციონალურ მოძრაობას” და მიშა სააკაშვილს უამრავი დანაშაული აქვთ ჩადენილი ქართველი ხალხის წინაშე. დღეს მათ მხოლოდ ის ადამიანები იცავენ, ვინც მიშას დროს ფუფუნებაში ცხოვრობდა, თანამდებობის პირი იყო, ვისი შვილებიც საზღვარგარეთ სწავლობდნენ და ცოლები ევროპაში მიდიოდნენ სამშობიაროდ, ვინც სხვის ბიზნესებს ატერორებდა... დღესაც, ნაძირალა კორუმპირებულები მოუწოდებენ ქართველ საზოგადოებას დესტაბილიზაციისკენ, პატარა ბავშვები გამოჰყავთ და იყენებენ თავიანთი ინტერესებისთვის, იმ ბავშვებს, რომელთაც არ უნახავთ და არც ახსოვთ მათი სისხლიანი რეჟიმი.

მიხეილ სააკაშვილი არის კრიმინალი ისევე, როგორც მერაბიშვილი, ადეიშვილი, ახალაიები და სხვები, რომლებიც გაქცეული არიან. ეს ხალხი საქართველოს ხელისუფლებაში ვერასდროს დაბრუნდება. ჩვენ ყველანაირი ბერკეტი გვქონდა, რათა ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნის სტატუსი მიგვეღო, მაგრამ სწორედ ამ კრიმინალთა დიდი ძალისხმევის გამო გვითხრეს უარი. მე ქალაჩუნებს ვუწოდებ ამ უსამშობლო ადამიანებს, შეხედეთ, რას კადრულობენ? ქათმებივით უკან დგებიან და ქალები აქციეს “მამლებად”, ისინი გამოჰყავთ წინა პლანზე, აჩხუბებენ და აყვირებენ, თვითონ კი ჩრდილში დგანან და ხალისობენ. ჩვენ უდიდესი უმრავლესობით მოვედით ხელისუფლებაში. ეს ხელისუფლება არაფერს აშავებს, მხოლოდ საქართველოს გაბრწყინება უნდათ, ცდილობენ, რომ საქართველო ევროპული ოჯახის წევრი გახდეს და გვაცადონ, ბატონო, ნუ ცდიან საზოგადოების მოთმინებას!

**ნონა ქარქაშაძე**

---



**P.S.** ახლა კი სავსებით სერიოზულად, როცა აბსოლუტურად ვეთანხმები!

„სულიკო კედელაშვილი“: მოდი, ახლა ჩემს აზრს დავწერ ამ კანონზე და თუ ვინმეს საკამათო თემა გაუჩნდება, ვიკამათოთ. დავიწყებ იქიდან, რომ არანაირი 12 პუნქტი რეალურად არ არსებობს. არსებობს მხოლოდ ეკონომიკურად და სამხედრო პოტენციალით ძლიერი სახელმწიფოების ინტერესები, რაც შემდგომში განაპირობებს გეოპოლიტიკას. იმათ თუ სჭირდებათ რომელიმე ქვეყნის მიღება (საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე), მიიღებენ — აგენტების კანონი კი არა, კანიბალიზმი რომ დააკანონოს პარლამენტმა. თუ არ უნდა, ასკინკილაზე და 12 პუნქტი კი არა, ტრაკით ლაპარაკი რომ დაიწყო, მაინც არ მიგიღებენ. ასე რომ, ეს თემა უკვე გადაწყვეტილია და ბეჭედდასმული. ჩვენი ინტერესი უნდა იყოს მხოლოდ ერთში — საკუთარი ქვეყნის სტაბილურად განვითარება, ეკონომიკის გაძლიერება და, საბოლოო ჯამში, ქვეყნის ტერიტორიების დაბრუნება.

რაც შეეხება ამ „კანონს“ — ყველა ცენტი, რაც შემოდის უცხოეთიდან, უნდა იყოს გამჭვირვალე იმიტომ, რომ საფუძვლიანი ეჭვები არსებობს საზოგადოებაში იმის შესახებ, რომ ამ ფულის ძალიან დიდი ნაწილი ხმარდება ქვეყნის კულტურული და რელიგიური ღირებულებების დაკნინების პროპაგანდას; ასევე კონკრეტული პოლიტიკური ძალების მოძლიერებას და მათი ხელისუფლებაში მოყვანის მცდელობებს. ვინმეს არ აქვს მსგავსი განცდა?

მერე კიდევ, ბიძინამ რომ საკუთარი სახსრებით აღუდგინა და შეუნარჩუნა ქვეყანას კულტურული და რელიგიური ძეგლები, ჯარი, სპორტი და ა.შ. ამაში მილიარდები რომ დახარჯა, ეს ამ პროპაგანდისტების ცნებებით, ანგარებით იყო და უცხოეთის რაღაც ორგანიზაციებიდან შემოსული ასეულობით მილიონი დოლარი, რომლის მხოლოდ 10% ხმარდება ჰუმანიტარულ და კულტურულ თემებს, დანარჩენი კი პოლიტიკურ პროცესებში იხმება, ეს უანგაროდაა, ხო? ამდენ „მაყუთს“ პროსტა ისე გვჩუქნიან, ლამაზი თვალებისთვის და არა საკუთარი ინტერესებისთვის, ხო? ბიძინამ საკუთარი ინტერესებისთვის გასწია ქველმოქმედება და ვიღაც გადამთიელი ტიპები ჩემი ქვეყნის მომავლაზე ზრუნავენ?

ტაში, ქალებო, ჩემი მაზლი ცეკვავს!

მე ამიტომაც ვარ მომხრე, რომ ეს კანონი მივიღოთ! ჩანდეს, ვინ რამდენს იღებს და რაში ხარჯავს. და ამ ბენეფიციარ ორგანიზაციებს აგენტები ერქმევათ, ბენეფიციარები თუ რეზიდენტები, მაგას ჩემთვის არსებითი მნიშვნელობა არ აქვს, მთავარია, რომ ჩანდეს, რას ან ვის ემსახურებიან...

ახლა მითხარით, რომელი ხართ ეგეთი ყ... და გჯერათ, რომ:

1. ამერიაკაში მოქმედი კანონი რუსულია;

2. ევროპაში „ბეზ პიწი მინუტ მიღებული“ იგივე პათოსის კანონი — არარუსული;

3. ჩვენი მთავრობა მოღალატეა და ეს ჯოჯოხეთის ჭინკები კიდევ — პატრიოტები.

დანარჩენზე ვიკამათოთ...“

**ზურაბ ოქხერელი**

# ეროვნული ვალუტის გამყარება ადგილობრივი წარმოების განვითარებას საფრთხეს უქმნის



*გვესაუბრება ეკონომისტი სოსო არჩვაძე:*

**— ბატონო სოსო, საქართველომ ბერლინში ITB-ს ტურისტულ გამოფენას უმასპინძლა. რას მოგვცემს ეს ეკონომიკური თვალსაზრისით?**

— ზოგადად, ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში დიდ როლს არამარტო მის შიგნით მიმდინარე პროცესები ასრულებს, არამედ საერთაშორისო ცნობადობა, აღიარება. ასევე, თუ რამდენად აქვთ ინფორმაცია პოტენციურ ინვესტორებს, ბიზნესმენებს, ტურისტებს საქართველოზე, მის ისტორიაზე, წარსულზე, გეოგრაფიულ მდებარეობაზე, ისტორიულ-კულტურულ ძეგლებზე, ბიზნესზე, საინვესტიციო გარემოზე და ა.შ. ამიტომ პიარი, ამ შემთხვევაში, საუკეთესო საშუალებაა, რათა ზემოთ დასახელებულ ჯგუფებს, რომლებიც აქ ჩამოსვლით არიან დაინტერესებულნი — საქმიანი თუ სხვა სახის ვიზიტით, ჩვენს ქვეყანაზე სრულყოფილი წარმოდგენა შეექმნათ. შესაბამისად, ამან ქვეყანაში ეკონომიკური აქტივობის გაძლიერებას სტიმული უნდა მისცეს. ITB-ის ტურისტული გამოფენა, რომელიც ბერლინში ჩატარდა, საკმაოდ წარმომადგენლობითი იყო. ბატონ პრემიერ-მინისტრს საკმაოდ საინტერესო, კომპლექსური გამოსვლა ჰქონდა, რამაც საქართველოს მიმართ ნდობა მსოფლიო მასშტაბით ერთიორად გაზარდა. **ირაკლი ღარიბაშვილმა ნათლად დაანახა მსოფლიოს, რომ ჩვენ ევროპული, ქრისტიანული ცივილიზაციის ნაწილი ვართ. ფაქტობრივად, მისი გამოსვლა მძლავრი მესიჯი იყო.** მან ყველას აღუძრა სურვილი, მოინახულონ საქართველო და მასთან საქმიანი, კულტურული ურთიერთობები დაამყარონ. თანაც, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ, როდესაც ქვეყანა ცნობადია, ჰყავს ბევრი სტუმარი — ბიზნესმენი თუ უბრალოდ, დასასვენებლად ჩამოსული ტურისტი, ეს, გარკვეულწილად, ქვეყნის ეკონომიკური სიძლიერის პირობა და მისი უსაფრთხოების გარანტიაა. დიახ, როცა ქვეყანას სხვადასხვა საქმიანი სფეროს წარმომადგენელი სტუმრობს, მისი ეკონომიკური სიძლიერეც იზრდება, ქვეყნის წონაც და საერთაშორისო სტატუსიც. შედეგად, ეს საქართველოს მიმართ გარე ძალების მიერ გამოვლენილი აგრესიას შეასუსტებს. ამიტომაც, ITB-ის ტურისტული გამოფენა მნიშვნელოვანი მრავალი ასპექტით იყო. თუმცა, ყველაზე მთავარი ის არის, რომ ამით საქართველოს პოპულარიზაცია, მისი ცნობადობის ამაღლება ხდება. ეს ერთგვარი ჟესტიცაა იმისთვის, რომ ქვეყნის ისტორიის, კულტურის, ეკონომიკის უკეთ გასაცნობად უცხოელები საქართველოში მოვიწვიოთ.

**— ოპოზიციურმა სატელევიზიო არხებმა ეს მოვლენა ასე გააშუქეს: ღარიბაშვილმა ცეკვაზე, სიმღერაზე ილაპარაკაო...**

— ბოლო დროს ოპოზიციის ფუნქციად იქცა, ნებისმიერი სახის პოზიტიური მოვლენა ყოველთვის ნეგატიურად, შავ ფერებში წარმოაჩინოს და ფასი დაუკარგოს ქვეყნის მიღწევებს, წარმატებებს და წინსვლას. ფაქტი ისაა, რომ საქართველოს ცნობადობა საერთაშორისო ასპარეზზე იზრდება. ასევე, გაიზარდა ჩვენს ქვეყანაში უცხოელი ტურისტების რაოდენობა და აქ მათ მიერ გატარებული დროის ხანგრძლივობა. ასევე, აღსანიშნავია, რომ დღე-ღამის განმავლობაში ტურისტები საქართველოში გაცილებით მეტ ფულს ხარჯავენ. ოფიციალური სტატისტიკით, ბოლო მონაცემებით, საქართველოში ერთი უცხოელი ტურისტის მიერ გაღებული ხარჯების მოცულობა, დაახლოებით 8,5-ჯერ აღემატება ჩვენი ტურისტების მიერ უცხოეთში შესაბამისი ხარჯების მოცულობას. ფაქტობრივად, შეიძლება თამამად ითქვას, რომ ტურისტული ინდუსტრია ეკონომიკის განვითარებას ემსახურება. ამაში მხოლოდ ტურისტების მიღება როდი შედის. ეს, დაახლოებით, 14-15 დარგს მოიცავს და ამ დარგებში დასაქმების, ეკონომიკური აქტივობის ზრდას უზრუნველყოფს. ეს დარგებია: კვების, გადამამუშავებელი მრეწველობა, ტრანსპორტი, საავტომობილო ბიზნესი, სუვენირების წარმოება, ექსკურსიები და ა.შ. ამიტომ ყოველი დამატებითი ტურისტი, ვიზიტორი საქართველოს ეკონომიკის ზრდაში შესაბამისი წვლილის შეტანას ნიშნავს.

**— ზოგადად, საუბრობენ, რომ ტურიზმი ეკონომიკის განვითარების მთავარი განმაპირობებელი ფაქტორი არ არის. თქვენ რა მოსაზრება გაქვთ?**

— ტურიზმის დინამიკა, მისი მასშტაბები დიდწილად ეკონომიკის რეალური სექტორის განვითარებაზეა დამოკიდებული. ზოგადად, რაც უფრო ძლიერია ეკონომიკა, მისი ინდუსტრია და დარგებში პროდუქციის წარმოების შესაძლებლობა — მრეწველობიდან დაწყებული, მომსახურებით დამთავრებული, ასევე, რაც უფრო მაღალია შრომის მწარმოებლობა, მით უფრო მზარდია ტურისტების რაოდენობაც. მაგალითად აშშ-ში ერთი უცხოელი ტურისტი, დაახლოებით, საშუალოდ 1800 დოლარს ხარჯავს, მგზავრობის ხარჯების გამოკლებით. იგივე იაპონია რომ ავიღოთ, იქ მრეწველობა, ინდუსტრია, თანამედროვე მომსახურება განვითარებულია. შედეგად, იქ ჩასული ტურისტები საკმაოდ სოლიდურ თანხებს ხარჯავენ. ჩვენთან ეს თანხა 700 დოლარს ასცდა. ანუ, როცა ქვეყანა ვითარდება, მას საშუალება აქვს, უცხოელ ტურისტებს ბევრად მეტი სახის კომპლექსური მომსახურება გაუწიოს. შესაბამისად, ეს ფინანსებში აისახება. განვითარებულია ეკონომიკა? — შედეგად, უცხოელი ტურისტები ჩვენს ქვეყანაში ბევრად მეტ ხარჯებს გაიღებენ.

**— ბოლო კვირაა, ლარის გამყარების ტენდენცია შეინიშნება...**

— წესით, ეროვნული ვალუტის გამყარება ეკონომიკის სიჯანსაღის ადეკვატური გამოხატულება უნდა იყოს. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ეკონომიკა იზრდება, ლარის გამყარების პროცესი, დინამიკა ჩვენი ეკონომიკის ზრდას რამდენადმე წინ უსწრებს. დღეისთვის კურსი დოლართან მიმართებით 2.6-ის ფარგლებშია. ჩემი შეფასებით, ახლა, წესით, ეს მაჩვენებელი 2.9-ის ფარგლებში უნდა იყოს. ანუ, ლარი იმაზე მეტად არის გამყარებული, ვიდრე ამის ეკონომიკური საფუძველი და შესაძლებლობა არსებობს. ეს დამატებითი, ჭარბი ფულადი მასის შემოდინების ხარჯზე ხდება, რაც ეკონომიკისთვის მაინცდამაინც კარგი არ არის. ადამიანის ორგანიზმისთვის ზედმეტი შიმშილი ხომ არ ვარგა, ასევე, ჭარბი ნაყროვანებაც დამაზიანებელია. როდესაც ქვეყანაში ეკონომიკისგან დამოუკიდებლად ფულადი მასის შემოდინება, ტრანზაქციები იზრდება, გრძელვადიან პერიოდში ქვეყანაში ე.წ. ჰოლანდიური დაავადების საფრთხე ჩნდება. როცა ქვეყნის ეკონომიკა დიდწილად რომელიმე ერთი სახის პროდუქციის რეალიზაციისგან მიღებულ შემოსავალზეა დამოკიდებული, ნებისმიერი სხვა სახის წარმოება ნაკლებად რენტაბელური ხდება. ანუ, ეროვნული ვალუტა იმდენად ძლიერია, რომ შეგიძლია, საკუთარი ფულადი სახსრებით ნებისმიერი რაოდენობის იმპორტული საქონელი შემოიტანო. ანუ, როცა ეროვნული ვალუტა მყარდება და უცხოური საქონლის შეძენა — ბანანიდან დაწყებული, ავტომობილით დამთავრებული, უფრო იაფი გიჯდება, ქვეყნის შიგნით პროდუქციის წარმოება უკვე აზრს კარგავს. ასეთ დროს, გირჩევნია, პირობითად, კარტოფილი სხვა ქვეყნიდან შემოიტანო — ეს უფრო იაფი დაგიჯდება, ვიდრე საქართველოში იმავე კარტოფილის წარმოება. ასე თანდათანობით, ადგილობრივი პროდუქციის წარმოება ეკონომიკურ მიზანშეწონილობას კარგავს. ერთ მშვენიერ დღეს, შემოდინებული ჭარბი ფულადი მასის — ამ ვულკანის გადაკეტვამ, საბაზრო კონიუნქტურის ცვლილებამ, შეიძლება დიდი კრიზისი გამოიწვიოს, რისი მაგალითებიც ისტორიაში მრავლადაა. ამ მიმართულებით არსებობს კიდევ ერთი საფრთხე: როდესაც ეროვნული ვალუტა მეტისმეტად მყარდება, ექსპორტს დამატებითი პრობლემები, ბარიერები ექმნება. ამის მაგალითია ის, რომ შარშან ოქტომბერ-დეკემბერში ჩვენი ადგილობრივი ექსპორტი კი არ გაიზარდა, არამედ შემცირდა. მთელი ექსპორტის ზრდა მხოლოდ და მხოლოდ რეექსპორტის მნიშვნელოვანმა, სოლიდურმა მატებამ უზრუნველყო. ანუ, რეექსპორტი იზრდებოდა, მაგრამ ეს ჩვენი ექპორტის ხარჯზე ხდებოდა. მაგალითად, შემოტანილი ავტომობილების სხვა ქვეყნებში შემდგომი რეალიზაციის ხარჯზე. იანვარში მივაღწიეთ ადგილობრივი ექსპორტის ზრდას, დაახლოებით, 12%-ით. იმავე პერიოდში, რეექსპორტის მოცულობა 101%-ით გაიზარდა. ერთი მხრივ, საქართველო ადასტურებს, რომ მისი სატრანსპორტო, საკომუნიკაციო ფუნქცია იზრდება. ის მეზობელი და არამეზობელი ქვეყნებისთვის ეკონომიკური ჰაბი ხდება. მაგრამ თვითონ საქართველოში წარმოებული პროდუქციის რეალიზაციას უცხოეთში დამატებითი პრობლემები ექმნება, რადგან ჩვენი ექსპორტი ეროვნული ვალუტის მეტისმეტი გამყარების გამო ძვირდება. ვალუტის გამყარება უნდა იყოს, მაგრამ ეს ადეკვატურად, ნაბიჯ-ნაბიჯ, ეკონომიკის რეალური სექტორის ზრდის პარალელურად უნდა ხდებოდეს და არა ისე, რომ ქვეყანაში ფულადი მასის დიდი ოდენობით შემოსვლამ ეროვნული ვალუტის კურსის გამყარება უზრუნველყოს.





**— ახლა ახსენეთ, ეროვნული ვალუტის გამყარება ადგილობრივი წარმოების განვითარების აზრს კარგავსო. რაში ხედავთ გამოსავალს?**

— ამის ბერკეტია სუბსიდირება, ასევე, სხვადასხვა პროგრამები, რასაც უკვე წლებია, საქართველოს ხელისუფლება ახორციელებს. მაგალითად, „აწარმოე საქართველოში“, „დანერგე მომავალი“, ჩაის პროგრამა და სხვა. ქართული პროდუქციის წარმოება უფრო რენტაბელური უნდა გახდეს. ამისთვის საჭიროა, პროდუქციამ კონკურენტუნარიანობა შეინარჩუნოს და საგარეო ბაზრებზე გაძლიერდეს. ცხოვრება ვითარდება, დინამიკური პროცესები მიდის, ამიტომ ეკონომიკას, ბიზნესის წარმოებას უფრო მეტი ხელშეწყობა სჭირდება, რათა ქართული პროდუქცია მსოფლიო ბაზარზე კიდევ უფრო მეტად კონკურენტუნარიანი გახდეს. ჩვენი ეკონომიკა მცირეა, მაგრამ მისი განვითარების ორიენტაცია საექსპორტო ბაზრები უნდა იყოს. მხოლოდ შიდა ბაზრის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე რომ ვიყოთ ორიენტირებული, ჩვენ განვითარების ტემპს დავკარგავთ. მოგეხსენებათ, რომ ჩვენი მოსახლეობის გადახდისუნარიანობა, ჯერჯერობით, მაღალი არ არის. ჩვენ იმ პროდუქციის წარმოებაზე უნდა ვიზრუნოთ, რომელზეც მაღალგადახდისუნარიან ქვეყნებში მოთხოვნილება არსებობს, როგორიც არის, მაგალითად, ევროკავშირის ნახევარმილიარდიანი მოსახლეობა თავისი გადახდისუნარიანი მოთხოვნით. სწორედ ამით უნდა შევძლოთ წარმოების ზრდისთვის გრძელვადიანი სტიმულების მოძიება და შენარჩუნება.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24

# ხელისუფლებასთან „მოხმალავეებს“ ამნეზიაც სჭირთ

შვიდი მარტის საპროტესტო აქციაზე სიტუაცია მას შემდეგ გამწვავდა, რაც შეკრებილთა ნაწილმა სადავო კანონპროექტების მხარდამჭერი დეპუტატებისთვის სირცხვილის დერეფნის მოსაწყობად პარლამენტის გვერდითა შესასვლელებისკენ გადაინაცვლა. რამდენად პროპორციული იყო პოლიციის მიერ გამოყენებული ძალა – ამის თაობაზე სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა ძიება უკვე დაიწყო. მანამდე კი ეს საკითხი არაერთგვაროვანი შეფასებების თემაა. ოპოზიცია ისევე, როგორც არასამთავრობო ორგანიზაციები, სამართალდამცავებს უფლებამოსილების გადამეტებაში ადანაშაულებენ. ძალის გამოყენების პროპორციის დარღვევის ფაქტებზე მიუთითებს ახლადარჩეული სახალხო დამცველიც, რომელიც დემონსტრანტების ნაწილის თავდასხმის ობიექტი გახდა. „პროტესტანტების“ ქცევით გაოცებული საზოგადოება სოციალურ ქსელში უარყოფითად აფასებდა იმ ახალგაზრდებს, რომლებმაც „განათლებით“, მეტყველებით, ღვთისა და ერის გმობით გამოიჩინეს თავი. ერთ-ერთი მომხმარებელი წერდა: „არ ვიცი, ვინ როგორ ხედავთ გუშინდელ ღამეს ...მე ძალიან, ძალიან ვარ გაბრაზებული. ყველას არ მოვხარშავ ერთ ქვაბში, მაგრამ ახალგაზრდები კი არა, ახალგაზრდა ვანდალები ვნახე გუშინ, არ გამოვა მაგათგან კარგი კაცები და ქალები, არ არსებობს! შენი ქალაქი გკიდია? შენს თანამოქალაქეს მოკლავ და ევროპული მომავალი გაწუხებს, დავიჯერო? რუსთაველის თეატრმა დააშავა რამე? ზუსტად თეატრზე მიხატული სიმბოლოები ხართ ამის ჩამდენები! ხელისუფლებაზე მერე ვიტყვი ჩემს აზრს... და კიდევ, მოვითხოვ, ყველა მოღალატე გამოავლინეთ, თუ არა ჩვენ ძალიან ბევრნი ვართ...“

სოციალურ ქსელში და ასევე ოპოზიციურ მედიაში, „აღშფოთებულები“ აღნიშნავდნენ, რომ პოლიციამ ცრემლსადენი გაზი გამოიყენა. ერის სახელით მოუბარი, დაშლილი და „მომენტჩაბღუჭებული“ ნაცები ცივი წყლის ჭავლით „გამასპინძლებამ“ აღაშფოთა. პოლიციელების შეურაცხყოფა, ქვების სროლა, მოლოტოვის კოქტეილების გამოყენება, მომიტინგეების „დაბოლება“, პოლიციელებისა და პოლიტიკოსების უცენზურო სიტყვებით შემკობა და სხვა უზნეო საქციელი კანონიერი ყოფილა, ხოლო მათგან მართული, მოძალადე ბრბოს დაშლა - დანაშაული.

სხვა უბედურებასთან ერთად, ხელისუფლებასთან „მოხმალავეებს“ ამნეზიაც სჭირთ და არ ახსოვთ უახლესი ისტორია. კანონში „პოლიციის შესახებ“ცვლილებები 2009 წელს შეიტანეს ქვეყანაში მასობრივი საპროტესტო ტალღისა და პოლიტიკური კრიზისის პასუხად. პარლამენტმა ისე დაუჭირა ცვლილებებს მხარი, რომ ვენეციის კომისიის აზრი არ გაითვალისწინა, მანამდეც უკანონოდ არაერთგზის გამოიყენეს „ნაცებმა“ არალეტალური იარაღი, თუმცა, მაშინ არც დასავლეთი აღშფოთებულა და არც ახალგაზრდობის პროტესტი ახსოვს საზოგადოებას.



სწორედ ნაცკანონმდებლებმა დააწესეს საჯარო დაწესებულების შენობიდან ოცი მეტრის რადიუსში აქციის გამართვის აკრძალვაც. 2009 წლის საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტში „პოლიციის შესახებ“ კანონით განისაზღვრა იმ სპეციალური საშუალებების სია, რომელთა გამოყენება შეიძლება საჯარო წესრიგის შესანარჩუნებლად: „კერძოდ, ეს არის არალეტალური იარაღი (მათ შორის, არალეტალური ჭურვი), რეზინის ხელკეტი, ცრემლსადენი გაზი, წიწაკის გაზი, აკუსტიკური საშუალება, ფსიქოლოგიური ზემოქმედების შუქბგერითი მოწყობილობა, დაბრკოლების დამანგრეველი და ტრანსპორტის იძულებითი გაჩერების საშუალება, წყალსატყორცნი, ჯავშანმანქანა და სხვა სპეციალური სატრანსპორტო საშუალება, სპეციალური საღებავი, სასამსახურო ძაღლი და ცხენები, ელექტროშოკური მოწყობილობა. “შესწორებები შევიდა ასევე კანონში „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ.“ ადმინისტრაციული დაკავების მაქსიმალური ვადა ოცდაათი დღიდან ოთხმოცდაათ დღემდე გაიზარდა.



შედარებით გრძელვადიანი ადმინისტრაციული პატიმრობის გამოყენებამ დემონსტრანტთა წინააღმდეგ ზოგიერთ შემთხვევაში საფრთხე შეუქმნა მათი შეკრების უფლებას დაგეგმილი ღონისძიების ფარგლებში 2009 წლის 6 მაისს. საზოგადოებრივ წესრიგის დამყარების მიზნით პოლიციამ გამოიყენა პლასტიკური და რეზინის ტყვიები დემონსტრანტების წინააღმდეგ, რომელთა გამოყენებაც იმ დროს აკრძალული იყო. დაშავდა ოცდაცხრა ადამიანი. დაშავებულებს შორის იყო რამდენიმე პოლიტიკური ლიდერი და ოპოზიციის მხარდამჭერი: გია მაისაშვილი, დავით გამყრელიძე, შალვა ოგბაიძე, ლევან გაჩეჩილაძე და გია გაჩეჩილაძე. ასევე, საზოგადოებრივი მაუწყებლის ჟურნალისტი, ტელეკომპანია „კავკასიის“ ოპერატორი, „რუსთავი-2“-ის ოპერატორი; გაზეთ „ვერსიის“ ჟურნალისტი. იმ „ნათელ დროს“, შინგან საქმეთა სამინისტრომ ჩაატარა გამოძიება პოლიციელების მიერ გადამატებული ძალის გამოყენების ფაქტებზე და დაადგინა, რომ პოლიცია მოქმედებდა კანონის ფარგლებში. არადა, კანონში ცვლილებები აღნიშნული ქმედების შემდგომ შევიდა. თუმცა, არავინ დასჯილა აკრძალული იარაღის გამოყენების გამო და არც დასავლელი პარტნიორები აღშფოთებულან.

2009 წლის 15 ივნისს რეზინის ხელკეტებით შეიარაღებული პოლიციელები, რომელთა ნაწილს სამოქალაქო ტანსაცმელი ეცვა და ნიღბები ეკეთა, თავს დაესხნენ აქციის მონაწილე ოპოზიციური ჯგუფების ახალგაზრდული ფრთის ათეულობით წარმომადგენელს, რომლებიც მშვიდობიან საპროტესტო აქციას აწყობდნენ თბილისის პოლიციის მთავარ სამმართველოსთან. სამართალდამცველები ათეულობით მშვიდობიან მომიტინგეს სასტიკად გაუსწორდნენ, უფრო მეტიც, ზოგიერთი ჟურნალისტი და ოპერატორი დაშავდა; ჟურნალისტებს ასევე წაართვეს აპარატურა, ოცდაცხრამეტ ადამიანს, ოპოზიციური პარტიების ახალგაზრდული ფრთის ხუთ აქტივისტს ერთთვიანი პატიმრობა მიუსაჯეს, სხვები კი ჯარიმის გადახდის შემდეგ გაათავისუფლეს.

სახალხო დამცველის ოფისის წარმომადგენელი ვახტანგ მენაბდე პოლიციამ სცემა, პოლიციამ და არა მომიტინგეებმა, მიუხედავად იმისა, რომ მას სპეციალური ფორმა ეცვა „სახალხო დამცველის“ წარმომადგენლის ნიშნით. „ადამიანის უფლებათა ცენტრის“ მონიტორებმა იხილეს, როგორ გაიყვანეს დაპატიმრებული მოქალაქეები, ზოგიერთ მათგანს სცემეს, ან მათ უკვე ჰქონდათ ფიზიკური ზიანის კვალი. დაკავებული პირების ზუსტი რიცხვი უცნობია. „ადამიანის უფლებათა ცენტრის“ მონიტორები დააკვირდნენ სიტუაციას აქციის დაშლის შემდეგ. სპეცრაზმმა დაკავებული პირები მიწაზე დაანარცხა. მათ ხელ-ფეხი შეუკრეს, სცემდნენ და სიტყვირ შეურაცხყოფას აყენებდნენ. სხვადასხვა წყაროების მიხედვით, დაახლოებით ორმოცი ადამიანი გაუჩინარდა. სახალხო დამცველის სამსახურმა შეძლო ზოგიერთი მათგანის პოვნა საქართველოში არსებულ დაკავების სხვადასხვა იზოლატორებში. არსებობს არაერთი ვიდეომასალა, როგორ ისვრის პოლიციელი რეზინის ტყვიებს ახლო მანძილიდან.



ნაცზონდერებმა 2007 წელს დიდი „გამოცდილება“ შეიძინეს, როდესაც ოპოზიციამ კვლავ მოახერხა გაერთიანება. სახალხო პროტესტი გამოიწვია გადაუჭრელმა სოციალურმა პრობლემებმა, ასევე ელიტური კორუფციის ბრალდებებმა. ხელისუფლებამ 7 ნოემბერს ფართომასშტაბიანი დემონსტრაცია დაარბია. დარბევის პროვოცირება ადრე დილით აქციის მონაწილეთა მცირე ჯგუფსა და პოლიციას შორის მომხდარმა უმნიშვნელო ინციდენტმა გამოიწვია. სპეცსამსახურების რაზმებმა გამოიყენეს რეზინის ხელკეტები, ცრემლსადენი გაზი და სხვა საშუალებები. რისი კანონიერი უფლებაც მათ არ ჰქონდათ. მათ გარდა, დარბევაში მონაწილეობას იღებდნენ სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმული ნიღბიანი დაუდგენელი პირები, კრიმინალებისგან ჩამოყალიბებული, ოპოზიციაზე დაგეშილი ზონდერჯგუფები, რომლებიც წარმატებით ატერორებდნენ „მოწინააღმდეგეებს“. მოგვიანებით, დემონსტრანტები პარლამენტის შენობიდან დაახლოებით ორი კილომეტრის მოშორებით რიყეზე შეიკრიბნენ. პოლიცია ისევ დაესხა თავს მათ ორივე მხრიდან. გავრცელდა ვარაუდები, რომ ამ დროს გამოიყენეს ცეცხლსასროლი იარაღიც.

## პოლიციელების მიერ სწორად გათვლილმა გეგმამ გაამართლა და ქვეყანა კიდევ ერთხელ გადაურჩა უბედურებას

2009 წლის აპრილიდან ივლისამდე დაუდგენელი პირები დროდადრო თავს ესხმოდნენ და ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებდნენ აქციის ათეულობით მონაწილეს. მსგავსი ფაქტები თითქმის ყოველდღე ხდებოდა. ყველა ამ ფაქტს საერთო მახასიათებელი ჰქონდა —ნიღბიანი მამაკაცების ჯგუფი ღამით თავს ესხმოდა აქციის მონაწილეებს არა იმ ტერიტორიაზე, სადაც დემონსტრაცია მიმდინარეობდა, არამედ ახლო მდებარე ქუჩებზე. ყველა თავდასხმა ერთი ნიშნით ხასიათდებოდა: თავდამსხმელების სამიზნე ხდებოდნენ ოპოზიციური პარტიების კონკრეტული წარმომადგენლები და აქტივისტები. ჩვენებებში ნათქვამია, რომ პოლიცია რეაგირებას არ ახდენდა მსგავს ფაქტებზე. სასტიკი დარბევით დასრულდა აფხაზეთის პირველი ომისა და 2008 წლის რუსეთთან ომის ვეტერანების საპროტესტო აქცია გმირთა მოედანზე. მათი მოთხოვნა ვეტერანთა სოციალური დაცვის გაუმჯობესება იყო. უამრავი ფაქტი არსებობს, კანონის გვერდის ავლით როგორ უსწორდებოდა ნაცხროვა მშვიდობიან მომიტინგეებს, ჟურნალისტებს და სხვა პოტენციურ მოწინააღმდეგეებს... ის მტკიცებულებებიც არსებობს, რისი მიღწევა სურდათ „მამალ ნაცებს“ შვიდი მარტის „სტუდენტურ-ახალგაზრდული“ აქციით, თუმცა, პოლიციელების მიერ სწორად გათვლილმა გეგმამ გაამართლა და ქვეყანა კიდევ ერთხელ გადაურჩა უბედურებას.

ქეთევან ზარნაძე

# აშშ-ჩინეთს შორის ომის კონტურები გამოისახა



საერთაშორისო სამიტები ბოლო წლებში სულ უფრო უშინაარსო ხდება. ახლახან გამართული „დიდი ოცეულის“ ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების სამიტს, როგორც თავმჯდომარე ქვეყანა, ინდოეთი მასპინძლობდა. G-20-ის მეთაურები სექტემბერში შეიკრიბებიან, ისევ ინდოეთში. ახლა ძნელია პროგნოზირება, რა შედეგს მოუტანს სამყაროს შემოდგომაზე დაგეგმილი შეკრება. დიპლომატები, ტრადიციულად, განსაზღვრავენ ხოლმე მეთაურების შეხვედრის დღის წესრიგს. ამჯერად მონაწილეებს საერთო აზრი არ ჰქონდათ. გავრცელებული ინფორმაციით, სამიტი მწვავე დაპირისპირების ფონზე ჩატარდა. ამ ფაქტს ადასტურებს ის გარემოებაც, რომ მინისტრებმა ერთობლივი კომუნიკეს მიღებაც ვერ შეძლეს.

G-20-ს სამიტის დადებით შედეგად მიმომხილველები ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის, ენტონი ბლინკენისა და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის, სერგეი ლავროვის ათწუთიან პირისპირ საუბარს მიიჩნევენ. აღსანიშნავია, რომ რომ ორი დიდი ქვეყნის პირველი დიპლომატები ერთმანეთს შარშან იანვრის შემდეგ არ შეხ-




ვედრიან. ინდოეთში გამგზავრებამდე ბლინკენი კატეგორიულად გამორიცხავდა ლავროვთან რაიმე სახის კონტაქტს, თუმცა ინდოეთში აზრი შეიცვალა და ხანმოკლე შეხვედრა მისი ინიციატივით შედგა. ბლინკენი თავად მივიდა ლავროვთან. რა თემაზე ისაუბრეს დიპლომატებმა, უცნობია. ლავროვი და მისი უწყება დღემდე დუმილს ინარჩუნებენ. კომენტარი მხოლოდ ბლინკენმა გააკეთა ჟურნალისტებთან: „...უკრაინიდან ჯარების გაყვანა და ომის დასრულება მოვთხოვე“, — განაცხადა მან. აშშ-ის პრესა კმაყოფილი დარჩა ბლინკენ-ლავროვის საუბრით: „...მადლობა ღმერთს, რომ თუნდაც ხანმოკლე, კულუარული შეხვედრა მაინც შედგა“, — აცხადებენ ჟურნალისტები.

კურიოზული შემთხვევა ჯერ კიდევ G-20-ის დაწყებამდე მოხდა. ინდოეთში ჩასულ გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრს ანალენა ბერბოკს მასპინძელი ქვეყნის ოფიციალურ პირთაგან აეროდრომზე არავინ დახვედრია. იგი მორიგე პოლიციელს მიესალმა. გერმანიის ელჩმა ინდოეთში დააგვიანა უშუალო ხელმძღვანელთან დასახვედრად მისვლა. ახლა მსჯელობენ, თუ ვის გამო მოხდა ინციდენტი. მართალია, ბერბოკმა არ შეიმჩნია გარეგნულად, მაგრამ ფაქტმა სამყარო გააოცა.

უცნაურ ვიზიტად შეაფასეს პოლიტოლოგებმა გერმანიის კანცლერის ოლაფ შოლცის აშშ-ში სტუმრობა, სადაც დაგეგმილი ჰქონდა პრეზიდენტ ჯო ბაიდენთან შეხვედრა. შოლცი აშშ-ში გერმანელი ჟურნალისტებისა და, საერთოდ, ამალის გარეშე ჩავიდა. რა იყო ვიზიტის მიზანი, არც წინასწარ და არც შემდეგ, მხარეებს არ გაუმხელიათ. შოლცმა მხოლოდ ის თქვა, რომ ნატოს აძლიერებენ. სტუმრის პატივსაცემად ტრადიციული სადილ-ვახშამი კი არა, ერთობლივი ბრიფინგიც არ გაუმართავთ ერთსაათიანი შეხვედრის შემდეგ. ბაიდენი, ტრადიციულად, გაექცა ჟურნალისტებს.

ექსპერტ-პოლიტოლოგები მხოლოდ ვარაუდებს გამოთქვამენ ვიზიტის მიზანზე. ერთნი ვარაუდობენ, რომ შოლცმა და ბაიდენმა განიხილეს სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის ევროპიდან ამერიკაში გადატანის საკითხი. ასევე, ვარაუდობენ, რომ განიხილეს უკრაინის საკითხიც — როდის და როგორ დამთავრდება ომი უკრაინაში. თუმცა საუბრის თემა დღემდე საიდუმლოდ რჩება. მსგავსი უჩვეულოდ საიდუმლო უცნაური ვიზიტი გერმანიის რომელიმე კანცლერს ათწლეულების განმავლობაში არ განუხორციელებია. ანალიტიკოსებისთვის გაუგებარია, რაში დასჭირდა შოლცს 18-საათიანი მგზავრობა, რომ ერთი საათით შეხვედროდა ბაიდენს და შემდეგ არაფერი ეთქვა საუბრის შინაარსზე. შოლცის აშშ-ში ჩასვლამდე ცნობილი გახდა, რომ ბაიდენი უკრაინას დამატებით 400 მლნ დოლარის დახმარების ახალ პაკეტს გამოუყოფს, თუმცა შეპირებულ „აბრამსის“ ტიპის ტანკებს არ გადასცემენ.

ხელისუფლების კოსმეტიკური ცვლილება განხორციელდა ჩინეთში. შარშან შემოდგომაზე კომუნისტური პარტიის ყრილობაზე გადაწყდა, რომ სი ძინპინი მესამე ვადით განაგრძობდა ქვეყნის მართვას. თუმცა, დღემდე ასეთი ხანგრძლივი ვადით მაო ძედუნის შემდეგ ჩინეთისთვის არავის უხელმძღვანელია. ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი ვან ი პოლიტბიუროს შემადგენლობაში გადაიყვანეს. მისი ადგილი ცინ განმა დაიკავა. ჩინეთსა და აშშ-ს შორის ურთიერთობა მარტივი ნამდვილად არ არის და ყოველდღიურად იძაბება. ამერიკული გამოცემა „ფაინეიშნლ თაიმსის“ ინფორმაციით: „...აშშ ჩინეთს კატეგორიულად სთხოვს, შეწყვიტოს რუსეთის დახმარება“. ცინ განმა განაცხადა: „...აშშ-ისგან განსხვავებით, ჩინეთი არცერთ ქვეყანას არ აწვდის იარაღს. ვაშინგტონს უფლება არ აქვს, ვინმეს უსაყვედუროს, როდესაც თავად აიარაღებს უკრაინას... რატომ ხდება, რომ აშშ ზრუნავს უკრაინის ტერიტორიულ მთლიანობაზე და პატივს არ სცემს ჩინეთის ერთიანობას... აშშ-ჩინეთს შორის სიტუაციამ კრიტიკულ ზღვარს მიაღწია, რაც, შეიძლება, კონფრონტაციაში გადაიზარდოს. რჩება მხოლოდ დიალოგის გზა, რომელსაც ჩინეთი ემხრობა, აშშ კი — არა“.

შინაური პოლიტიკური ვითარება აშშ-ში საპრეზიდენტო არჩევნების მოახლოებასთან ერთად გამწვავდება, თუმცა კანდიდატების ვინაობა ჯერ არ დაუსახელებიათ. მოქმედ პრეზიდენტს უშუალო კონკურენტის დონალდ ტრამპის გარდა სხვა კრიტიკოსებიც გამოუჩნდნენ. კონსერვატორები ღიად საყვედურობენ ბაიდენს უკრაინისთვის გულუხვი დახმარების გამო და მის შეწყვეტას ითხოვენ. ტრამპი კვლავ აცხადებს, რომ „ბაიდენის ადმინისტრაციას სამყარო ბირთვული აპოკალიფსისკენ მიჰყავს“. მისივე თქმით, გაპრეზიდენტების შემთხვევაში, ინაუგურაციამდე 24 საათში დაამთავრებს ომს უკრაინაში.

თავად ჯო ბაიდენი ჯერ არ ამბობს, დააყენებს თუ არა საკუთარ კანდიდატურას არჩევნებში. სამაგიეროდ, მის მეუღლეს, ჯილ ბაიდენს იმედი აქვს, რომ ჯო ბაიდენი მეორე ვადით კვლავ გახდება პრეზიდენტი. ტელეინტერვიუში ჯილმა განაცხადა, რომ ჯო ფიზიკურად ჯანმრთელია და შეძლებს მოვალეობის შესრულებას: „...ჯანმრთელი რომ არ იყოს, ვერ ჩავიდოდა პოლონეთსა და უკრაინაში“, — განაცხადა ჯილ ბაიდენმა. პოლიტოლოგების პროგნოზებით, საპრეზიდენტო არჩევნებში ის კანდიდატი მოიპოვებს უპირატესობას, რომელიც ამომრჩეველს ქვეყანაში ფულის დაბანდებას და საზღვრების გამაგრებას შეჰპირდება.

თავდასხმა განხორციელდა ბელორუსის დედაქალაქ მინსკის მახლობლად მდებარე სამხედრო აეროდრომზე, სადაც ადგილობრივმა პარტიზანებმა რუსეთის კუთვნილი სადაზვერვო თვითმფრინავი **А50-У** დააზიანეს, რომლის ღირებულებაც 300-400 მილიონ დოლარს აღწევს. პრეზიდენტ ალექსანდრ ლუკაშენკოს განცხადებით, დამნაშავეები დაკავებული არიან. ის ტერაქტის ორგანიზებაში უკრაინის ხელისუფლებას, კერძოდ, ვლადიმერ ზელენსკის ადანაშაულებს: „თან კუდში დაგვდევს, გვეხვეწება, გავაფორმოთ ხელშეკრულება თავდაუსხმელობაზე და, იმავე დროს, პროვოკაციებს გვიწყობს! გამოწვევა მიღებულია! ზელენსკი „გნიდაა“! — თქვა მან.

შემაშფოთებელი ცნობები გავრცელდა მოლდოვიდან. უკრაინა საკუთარ ჯარს თავს უყრის დნესტრისპირეთის სიახლოვეს. სამხედრო ექსპერტები მიიჩნევენ, რომ უკრაინელების სამიზნე ევროპაში ერთ-ერთი დიდი სამხედრო საწყობია. აღმოსავლეთ ევროპიდან გატანილი საბჭოთა ჯარების იარაღი იქ ინახება. საწყობის აფეთქების შემთხვევაში, დამანგრეველი ძალა ხიროსიმაში აფეთქებულ ატომურ ბომბზე ორჯერ (!) უფრო ძლიერი იქნება.

გამოცემა „ნიუ-იორკ თაიმსმა“ გასულ კვირას გამოაქვეყნა წერილი, სადაც წერია, რომ შარშან გაზსადენებზე („ჩრდილოეთ ნაკადი“) აფეთქება, სავარაუდოდ, პროუკრაინულმა ძალებმა განახორციელეს. ჟურნალისტები დაუკავშირდნენ სკანდალური წერილის ავტორს, საიმონ ჰერშს, რომელმაც ჯერ გულიანად იცინა და შემდეგ განაცხადა, რომ მალე ახალ ფაქტებს გამოაქვეყნებს. ექსპერტების ვარაუდით, ბაიდენ-შოლცის შეხვედრაზე სწორედ ამ ვერსიაზე შეჩერდნენ.

ორშაბათს, **CNN**-მა გაავრცელა ინფორმაცია, რომ რუსები უკრაინელებისთვის წართმეულ ამერიკულ იარაღს ირანელებს აწვდიან. პენტაგონს ამის თაობაზე ჯერ კომენტარი არ გაუკეთებია. აშშ-ის თავდაცვის მინისტრი, ლოიდ ოსტინი აცხადებს, ქალაქ ბახმუტს, რომლისთვისაც ექვსი თვე მიმდინარეობს ბრძოლები, სტრატეგიული მნიშვნელობა არა აქვს...



**გია ბურდული**
551 71 27 07

# უცხოელი აგენტები საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობაში



**საქართველოში „უცხოელი აგენტების რეგისტრაციის შესახებ“ კანონპროექტის პარლამენტისთვის წარდგენას არაერთგვაროვანი რეაქცია და არეულობები მოჰყვა... კანონი უცხოელი/უცხოური აგენტების შესახებ მსოფლიოს რამდენიმე ქვეყანაში მოქმედებს, რაც მათი ქვეყნების უსაფრთხოების დაცვით არის განპირობებული...**

## ამერიკის შეერთებული შტატები

უცხოელ/უცხოურ აგენტებთან დაკავშირებული კანონმდებლობა ყველაზე კარგად არის შემუშავებული ამერიკაში, სადაც აგენტების მოღვაწეობას არეგულირებს კანონი უცხოელი აგენტების შესახებ (FARA), რომელიც 1938 წელს იქნა მიღებული იმ პროპაგანდის საწინააღმდეგოდ, რომელსაც გერმანია მეორე მსოფლიო ომამდე ახორციელებდა. რამდენიმე ცვლილების შემდეგ (ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილებები 1996, 1995 და 2007 წლებში განხორციელდა), დოკუმენტი უცხოური პოლიტიკური ინტერესების ლობირებასთან ბრძოლის ინსტრუმენტად იქცა.

კანონის თანახმად, პირები (იურიდიული და ფიზიკური, მათ შორის, ამერიკის მოქალაქეები), რომლებიც უცხოური მთავრობების, პარტიების, ორგანიზაციების, კომპანიების ან კერძო პირების ინტერესებს წარმოადგენენ (უცხოელი პრინციპალები) და მათი ბრძანებით, თხოვნით მოქმედებენ მოქმედებენ, ვალდებულნი არიან, დარეგისტრირდნენ ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის სამინისტროში, როგორც უცხოელი აგენტები.

კანონმდებლობა ვრცელდება ისეთ სფეროებზე, როგორიცაა პოლიტიკური მოღვაწეობა, საინფორმაციო მომსახურება, პოლიტიკური კონსულტაციები, ფინანსური სახსრების შეკრება და განაწილება, ასევე, ნებისმიერი უწყების, ამერიკის სახელმწიფო მოსამსახურეების ან კონგრესის წევრთა წინაშე უცხოელი შემკვეთის ინტერესების დაცვა-წარმოდგენა.

რეგისტრაციის დროს აგენტმა უნდა წარმოადგინოს სრული ინფორმაცია საკუთარი თავის შესახებ, აღწეროს საქმიანობის სფერო, საკუთრების სტრუქტურა, შეატყობინოს ინფორმაცია უცხოელი შემკვეთისა და მის მიერ მიღებული თანხების (მათ შორის, იმის აღნიშვნით, რაზე დაიხარჯა ისინი მიმღებთა მითითებით) და გავრცელებული საინფორმაციო მასალების შესახებ. კანონი არ ვრცელდება იმ პირებზე, რომლებიც არაკომერციულ საქმიანობას ახორციელებენ რელიგიის, განათლების, მეცნიერებისა და ხელოვნების სფეროებში. კანონი არ ვრცელდება, ასევე, საზღვარგარეთის ქვეყნების ოფიციალურ წარმომადგენლებზე, მათ შორის, დიპლომატებზე.

კანონის დარღვევისთვის გათვალისწინებულია ჯარიმა დაახლოებით 10 ათას დოლარამდე და/ან ხუთ წლამდე პატიმრობა. უცხოელს, რომელიც ამ კანონის დარღვევაში იქნება შემჩნეული, დეპორტაცია ელოდება.



უცხოელი აგენტების მოღვაწეობა იზღუდება, აგრეთვე, ამერიკის შეერთებული შტატების კოდექსის 951-ე პარაგრაფის მე-18 კოდექსითაც. რომლის თანახმადაც, პირები, რომლებიც ამერიკის ტერიტორიაზე უცხოეთის მთავრობების კონტროლის ქვეშ მუშაობენ, ვალდებულნი არიან, შეატყობინონ ამერიკის გენერალურ პროკურორს საკუთარი საქმიანობის შესახებ. კანონის დამრღვევებს ემუქრებათ ჯარიმა ან 10 წლამდე პატიმრობა. შესაძლებელია სასჯელის ორივე ზომის ერთდროულად გამოყენებაც.

2019 წლის დეკემბრისთვის ამერიკის იუსტიციის სამინისტროს მოქმედი უცხოელი აგენტების საიტზე 464 ფიზიკური და იურიდიული პირი იყო დარეგისტრირებული.

## ავსტრალია

2018 წელს ავსტრალიაში მიიღეს კანონი უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ, რომელიც იმავე წლის 10 დეკემბერს შევიდა ძალაში. კანონის თანახმად, უცხოელი აგენტები — პირები, რომლებიც უცხოური მთავრობების კონტროლქვეშ მუშაობდნენ, ვალდებულნი არიან, დაწვრილებით აღწერონ საკუთარი მოღვაწეობა და ინფორმაცია საჯარო რეესტრში შეიტანონ. ეს იმისთვის გაკეთდა, რომ მთავრობის წევრებს, რომლებიც გადაწყვეტილებებს იღებენ და საზოგადოების წარმომადგენლებსაც, შესაძლებლობა ჰქონდეთ, მიიღონ ინფორმაცია ქვეყანაში უცხოეთის გავლენების შესახებ. კანონი ვრცელდება პარლამენტსა და მასმედიაში ლობირებასა და დაფინანსებაზე.

რეგისტრაციის გარეშე მოღვაწეობის, გამჭვირვალობის პროგრამის ვალდებულებების შეუსრულებლობის ან ცრუ, ან შეცდომაში შემყვანი ინფორმაციის წარმოდგენა სისხლის სამართლის დარღვევაა, რისთვისაც გათვალისწინებულია ჯარიმა ან თავისუფლების აღკვეთა 5 წლამდე.

დღეისათვის ავსტრალიაში გამჭვირვალობის რეგისტრში აღნუსხულია დაახლოებით 50 უცხოური კომპანია და კერძო პირი.

## უნგრეთი

2017 წლის ივნისში ქვეყნის პარლამენტმა მიიღო კანონი, რომელიც იმ არასამთავრობო ორგანიზაციებზე კონტროლს ამკაცრებდა, რომლებიც წელიწადში 24 ათას ევროზე მეტით ფინანსდებოდნენ საზღვარგარეთიდან. კანონის თანახმად, ეს არასამთავრობო ორგანიზაციები უნდა დარეგისტრირებულიყო, როგორც „ორგანიზაციები, რომლებიც უცხოურ დაფინანსებას იღებდნენ“, აღენიშნათ ეს ფაქტი ყველა ღონისძიებაზე და პუბლიკაციებში, წარმოედგინათ ყოველწლიური დაწვრილებითი ინფორმაცია საკუთარი საქმიანობის შესახებ. ამ მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში კანონი ითვალისწინებს ორგანიზაციის დახურვას.

უნგრეთში რეგისტრაცია გაიარა 152-მა არასამთავრობო ორგანიზაციამ, რომლებიც დაფინანსებას უცხოეთიდან იღებენ, თუმცა ბევრმა ორგანიზაციამ კანონი უგულებელყო (სულ ქვეყანაში 56 ათასზე მეტი არასამთავრობო ორგანიზაციაა).

## ისრაელი

2016 წლის ივლისში ისრაელში მიიღეს კანონი არასამთავრობო ორგანიზაციების დაფინანსების გამჭვირვალობის შესახებ. ამგვარად, თუ ორგანიზაცია უცხოური წყაროებიდან იღებს დაფინანსების ნახევარზე მეტს, ის ვალდებულია, შესაბამის დოკუმენტებში შეიტანოს თავისი უცხოელი სპონსორების ვინაობა. ასევე, ეს უნდა გაცხადდეს მასმედიაში, თუ ეს არასამთავრობო ორგანიზაციებს ეხება.

ამ კანონის დარღვევის შემთხვევაში გათვალისწინებულია ჯარიმა დაახლოებით 9 ათასი დოლარის ოდენობით.



2018 წელს ისრაელში უცხოელი აგენტის სტატუსით 27 არასამთავრობო ორგანიზაცია დარეგისტრირდა.

## დიდი ბრიტანეთი

2021 წლის მაისში დედოფალმა ელიზაბეთ II-მ პარლამენტს წარუდგინა კონსერვატორების მთავრობის პროგრამა, რომელიც უცხოელი აგენტების შესახებ დამატებითი კანონის მიღებას ითვალისწინებდა.

პირველი დოკუმენტი ითვალისწინებდა დიდ ბრიტანეთში მყოფი იმ პირების აღნუსხვას, რომლებიც უცხოური სახელმწიფოების ინტერესებს წარმოადგენდნენ. საუბარია, აგრეთვე, სახელმწიფო ღალატის კანონის იმგვარად გამკაცრებაზე, რომ მისი საშუალებით შესაძლებელი გახდეს ამ ბრალდებით უცხოეთის მოქალაქეების დასჯაც.

როგორც გაზეთი „თაიმსი“ აზუსტებს, უცხოელი აგენტების რეგისტრაცია ამერიკის მაგალითზე განხორციელდება. ადამიანები, რომლებიც სხვა სახელმწიფოების ინტერესების გამტარებლები არიან, ვალდებულნი იქნებიან, დარეგისტრირდნენ დიდი ბრიტანეთის ტერიტორიაზე და იუსტიციის სამინისტროს წარუდგინონ ანგარიშები საკუთარი მოღვაწეობის შესახებ.

2019 წელს დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ „აუცილებელია უცხოელი/უცხოური აგენტების რეგისტრაციის პრაქტიკის შემოღება, სხვადასხვა სახელმწიფოების მხრიდან „დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ მტრული მოღვაწეობის შემცირების ან აღმოფხვრის მიზნით“.

საკუთარი ქვეყნის გარე და შიდა საფრთხეებისგან დაცვაზე ზრუნავენ დიდი და პატარა სახელმწიფოები. კიდევ რომელი ქვეყნები შეუერთდება მათ და კანონმდებლობით გაამყარებს საკუთარი ქვეყნების ინტერესების დაცვას, მომავალი გვიჩვენებს.

იმედი ვიქონიოთ, რომ ჩვენს ქვეყანაშიც სწორად აფასებენ არსებულ საფრთხეებს და ქვეყნის უსაფრთხოებიდან გამომდინარე, სწორ გადაწყვეტილებას მიიღებენ.

ბელა გველესიანი
568 901 81 22

# განუმეორებელი ქართველი ფალავანი

## ლევან თედიაშვილი – 75

საქართველოში ოდითგანვე ჭიდაობის კულტი იყო და ახლაც არის. ქვეყანაში ბევრი ოლიმპიური, მსოფლიოს, ევროპის ჩემპიონი გვყოლია. ბედის ირონიით, საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა რიგებს გასული საუკუნის 70-იან წლებში მხოლოდ ლევან თედიაშვილი წარმოადგენდა, რომელმაც ესტაფეტა გურამ საღარაძისგან, შოთა ლომიძისგან და სხვათაგან გადაიბარა.

ჩემპიონთა კარიბჭე ერთბაშად არ გაუღია ლევან თედიაშვილს. როგორც მისი თაობის ყველა ახალგაზრდა, ისიც ფეხბურთელობაზე, მძლეოსნობაზე ოცნებობდა... თუმცა, საბოლოოდ, ლეგენდარული ქართველი ფალავნის, არსენ მეკოკიშვილის ბიძაშვილთან, ვალერიანთან მიიყვანა ბედმა. პირველმა დამრიგებელმა აჩუქა ლევანს საჭიდაო ჩოხა და ამის შემდეგ დაიწყო მისი აღმასვლა.



შესაძლოა, ვინმეს მოეჩვენოს, რომ მოჭიდავე ლევან თედიაშვილის სპორტული ოლიმპისკენ მიმავალი გზა იოლი, ია-ვარდით იყო მოფენილი, მაგრამ ძალიან შეცდება. ლევანის თანამედროვეებს ბევრჯერ უხსენებიათ ჩემთან საუბარში, როგორ ჩაეძინებოდა ხოლმე ვარჯიშით გადაქანცულს პირდაპირ საჭიდაო ლეიბზე...

ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა შეამჩნია „ჭიდაობის პროფესორად" აღიარებულმა ვახტანგ ბალავაძემ. სწორედ მან ჩამოიყვანა საგარეჯოდან თბილისში მომავალი ჩემპიონი, ზრუნვასა და პატრონობას არ აკლებდა მას. ლევანმა არ გააწბილა მასწავლებელი — მისი ერთ-ერთი პირველი წარმატება საკავშირო პირველობაზე გამარჯვება იყო.

მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებისკენ გზის გასაკვლევად ლევანმა იმდროინდელი ლეგენდარული მოჭიდავე, იური შახმურადოვი დაამარცხა. ლევან თედიაშვილი 13 წლის განმავლობაში საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრი, აქედან 8 წელი გუნდის უცვლელი კაპიტანი იყო...

აი, რა თქვა იური შახმურადოვმა 1978 წელს ლევან თედიაშვილის შესახებ: „...თედიაშვილი იდეალური მოჭიდავეა, მისი მსგავსი არ ჰყავს ფალავანთა სამყაროს. მასში საოცრადაა შერწყმული უმდიდრესი ტექნიკურ-ტაქტიკური არსენალი და ის, რასაც უბადლო საჭიდაო აზროვნებას ვუწოდებთ. დიახ, თედიაშვილი, უპირველეს ყოვლისა, ნოვატორი, მოაზროვნე მოჭიდავეა..."

ლევან თედიაშვილის მთავარი ჯილდო, როგორც თავადაც არაერთხელ აღუნიშნავს, მშობლიური ხალხის სიყვარულია. თბილისის სპორტის სასახლე პირთამდე ივსებოდა, როდესაც ლევანი ასპარეზობდა.

ხალხის, გულშემატკივრების აზრს ლევანი ყოველთვის ითვალისწინებდა. ერთ-ერთ ინტერვიუში მან მიამბო: „...საკმაოდ ძლიერ მოწინააღმდეგეს ვხვდებოდი თბილისის ტურნირზე. მაყურებლები, განსაკუთრებით კახელები, მსაყვედურობდნენ, ჭიდაობას არ გვაყურებინებ, მალე ამთავრებო. გავითვალისწინე მათი თხოვნა და კინაღამ ძვირადაც დამიჯდა... თუმცა ის ორთაბრძოლა მაინც მოვიგე..."

ლევან თედიაშვილის თვისებებს შორის განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს უშუალობა და ტრადიციების ერთგულება. არც ფიზიკური შრომაა მისთვის უცხო.

ლევანმა ჩემთან ინტერვიუში 1998 წელს გაიხსენა: „...სიმართლე გითხრა, არ მინდოდა სახლში წასვლა, ვიცოდი, მუშაობა მომიწევდა. ვთხოვე გუნდის უფროსებს, შეკრების ადგილზე დავრჩები-მეთქი, მაგრამ კატეგორიული უარი მითხრეს. რას ვიზამდი, ჩავედი სახლში. მამაჩემი ვენახს წამლავდა. ისე ხომ არ გავჩერდებოდი, გამოვართვი შესაწამლი აპარატი და გავაგრძელე. თან წავიწუწუნე, — მამა, ახლა ჩემი მოწინააღმდეგე პეტერსონი განცხრომით ემზადება ოლიმპიადისთვის — მასაჟი, აუზი, ქალები... მე კი აქ ვარ-მეთქი. იმ შენი პეტერსონის დედაც, მე ამ ყურძნით საუკეთესო ღვინო უნდა დავაყენოო, მითხრა. შაბმა და კირმა კანი დამიწვა, ჩაცმული ვვარჯიშობდი. მწვრთნელებს რომ ენახათ, მომხსნიდნენ შეჯიბრებიდან".



სიმართლე და სამართლიანობა ლევან თედიაშვილის ერთ-ერთი მთავარი პრინციპია. ერთხელ, ირანში სთხოვეს, არ დაემარცხებინა იმდროინდელი შაჰის საყვარელი მოჭიდავე, ლევანმა ეს „გაითვალისწინა" და ზედ შაჰის ფეხებთან გააგორა მისი ფავორიტი ფალავანი. დარბაზში სიტუაცია უკიდურესად დაიძაბა, რომელიც ისევ თავად შაჰმა განმუხტა — გამარჯვებულ ლევან თედიაშვილს მიულოცა, ბეჭედიც აჩუქა.

გასახსენებელი, იცოცხლეთ, ბევრია ლევან თედიაშვილის ცხოვრებაში. მახსენდება 1990 წლის თბილისის საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობში. მოულოდნელად ლევანის ერთ-ერთი მთავარი მეტოქე ჯონ პეტერსონი ეწვია შეჯიბრს. მასპინძლებმა, ტრადიციულად, თავი გამოიდეს, სტუმარს ღირსეულად დახვდნენ. თუმცა პეტერსონმა ყურადღება არავის მიაქცია და, პირველ რიგში, ლევანი მოიკითხა. ჩვენც თვალი მოვავლეთ ტრიბუნებს, ლევანი თავის საყვარელ სექტორში არ იჯდა. მოსვლისთანავე მივახარეთ, პეტერსონია ჩამოსული და შენ მოგიკითხაო. ჩვეული იუმორით გვითხრა: „მელას თავისი მახრჩობელა უყვარსო..."

ძმები პეტერსონებისა და ლევანის ორთაბრძოლები განსაკუთრებით საგულისხმოა. მან ბენ პეტერსონთან შერკინებისას, შესვენებაზე მწვრთნელებს უთხრა: „...კარგი ბიჭია, მეცოდება კიდეც, მაგრამ უნდა მოვუგოო". პეტერსონების მწვრთნელმა გულისტკივილით აღნიშნა: „...ჯონისა და ბენის ბედი რომ ჰქონოდათ, ლევანისგან განსხვავებულ წონით კატეგორიებში იასპარეზებდნენო".

სპორტი რეკორდებით არის საინტერესოო, ამბობენ. ჭიდაობაში რეკორდები ოფიციალურად არ აღინუსხება. არსებობს გარემოებები, რომლებიც რეკორდებზე მეტია. რად ღირს თუნდაც ლევანის ფინტი, როდესაც მან სამ წამში დაამარცხა იმდროინდელი გამოჩენილი მოჭიდავე მარტინეტი. რეკორდად არის მიჩნეული, როდესაც ლევან თედიაშვილმა ირანში გამართულ ორ მსოფლიო ჩემპიონატში ოქროს მედლები დაისაკუთრა. თავდაპირველად საკუთარ სახეობაში, თავისუფალ ჭიდაობაში გახდა ჩემპიონი. წასასვლელად გამზადებულს ვახტანგ ბალავაძემ სთხოვა: სამბისტებს პრობლემა აქვთ, მონაწილე ავად გაუხდათ და შენ იასპარეზეო. ლევანი დათანხმდა. მან ღამის ორ საათზე გაალვიძა უკვე მსოფლიო ჩემპიონი გენადი გიორგაძე და სპეციფიკური ილეთების გახსენება სთხოვა. ლევანი სამბოშიც მსოფლიო ჩემპიონი გახდა. დარბაზში მაყურებელი სკანდირებდა: „აღა ლევან, კლასიკურშიც, კლასიკურშიც"-ო! ანუ, იქნებ, კლასიკურ ჭიდაობაშიც იასპარეზოო.



ჩვეულებრივი ამბავია, რომ ლევან თედიაშვილს ოჯახი განსაკუთრებულად უყვარს. ჩვენი სახელოვანი ფალავანი სამშობლოს გულმხურვალე პატრიოტია. აფხაზეთში ომის დროს მისი უფროსი ვაჟი ვახტანგი მოხალისედ იყო წასული, აეროდრომზე საქართველოს თვითმფრინავი ააფეთქეს. ვახტანგი უმალ ხალხის გადასარჩენად გაემართა. სწორედ ამ დროს მტრის მიერ ნასროლმა ჭურვმა არტერია გაუგლიჯა. ამას შეესწრო ლევან თედიაშვილი, რომელსაც მებრძოლებისთვის საკვები ჰქონდა ჩატანილი — შვილმა მამის ხელებში დალია სული...

დღეს დაბადებიდან 75 წელი შეუსრულდა ლეგენდარულ ლევან თედიაშვილს, რომელიც საქართველოში განსაკუთრებულად უყვართ მისი დიდსულოვანი ბუნების, ხალასი ხასიათისა და უამრავი გამარჯვებით მონიჭებული სიხარულის გამო.

„საერთო გაზეთი" დაბადების დღეს გილოცავთ, ბატონო ლევან! ჯანმრთელობას, ბედნიერებას და დიდხანს სიცოცხლეს გისურვებთ, განუმეორებელო ფალავანო!

**გია ბურდული**

„საერთო გაზეთის" მხარდასაჭერი ფონდი ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი". კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

საერთო გაზეთი
შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა"
მთავარი რედაქტორი: გვანცა ხარჩილავა 599 03 43 06
ნომრის რედაქტორი: თამარ ბერძენიშვილი 555 33-44-14
სარედაქციო კოლეგია: თამარ ბერძენიშვილი (გამომცემელი); თამარ შველიძე, გია ბურდული, ზურაბ ოშხერელი, ნინო დაუშვილი, ლევან ბოჭორიშვილი (კომპ. უზრუნველყოფა), ბელა გველესიანი, ლევან ჭიღლაძე (სამართალი);
ბესიკ ცარციძე (გავრცელების სამსახური 599 58 72 50).
http://www.saertogazeti.ge

მის:. თბილისი, ა. წერეთლის გამზ.103;
ტელ.: 593 44-04-01; 234-45-35 (რედაქცია)
E-mail: saertogazeti@yahoo.com. http://www.saertogazeti.ge
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158
გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი"-ს მეშვეობით +995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISSN 2233-3983
ISBN 977-22333-9800-1

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის" სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99